ISSN 0130 1624

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა

ივნისი
№ 6 1981 წ.



თბილისი, 21 მაისი. აერო-პორტში შეხვედრის დროს.



ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირ-გვინებით შემკობის დროს.

უცნობი ჯარისკაცის საფ-ლავთან.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღესასწაულობს საქართველო



## საქართველო

საქართველოვ, შვილთა შენთა
თვალისჩინო, მზევ, ჯავარო,
ხხვას თუ ეთქმის, შენცა გეთქმის,
ბედნიერი დედა ვარო.

შენი დიდი განთიადი
ვინც კი უნყის სად ინყება, —
იმ თებერვლის ოცდახუთი
არცა ოდეს ავინყდება.

იმ თებერვლის დღიდან მოდის,
ლეგენდებად რაც დარჩება —
ურიცხვი და უთვალავი
საამაყო გამარჯვება.

იმ ქარიშხლის ძახილია,
რომ ეფრქვევა გზებს ნათელი, —
განახლება დღევანდელი,
ამაღლება დღევანდელი!

60

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№6 (534). ივნისი, 1981

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, 22 მაისი. საზეიმო სხდომა მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი.

ლ. ი. ბრეჟნევს მცირე მიწის ბრძოლების მონაწილე შ. თათარაშვილი საჩუქრად გადასცემს ინკრუსტირებულ ხმალს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



60

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძვირფასო ამხანაგებო!**

სულითა და გულით მოხარული ვარ გულწრფელად, გულითადად მოგილოცოთ თქვენ და რესპუბლიკის ყველა მშრომელს სახელოვანი იუბილე — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

თქვენი დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის დღესასწაულია. ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძნელი იყო საქართველოს ისტორიული სვე-ბედი. საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა იგი უცხოელ დამპყრობთა შემოსევებს, რომლებიც აჩანაგებდნენ ქვეყანას, მაგრამ თქვენი წინაპრების თაობები კავკასიონის კლდესავით მტკიცენი აღმოჩნდნენ. მათ დაიცვეს დამოუკიდებლობა, შექმნეს და შეინარჩუნეს თავისთავადი, მრავალმხრივ უნიკალური ეროვნული კულტურა. **(ხანგრძლივი ტაში).** ამაში სასიკეთო როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითმა შეერთებამაც, დიდ რუს ხალხთან მეგობრობამ, საუკუნეთა მანძილზე რომ ღრმავდებოდა. **(ხანგრძლივი ტაში).**

საუკეთესო ქართველი მამულიშვილები ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილენი იყვნენ, ვაჟკაცურად იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ხოლო დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში საქართველოს შვილები თავდადებით აღდგნენ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. 270 ათასმა მათგანმა — რესპუბლიკიდან ფრონტზე წასულთა თითქმის მესამედმა — თავი გასწირა აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ადამიანთა ხსოვნა წმიდათაწმიდაა. **(ტაში).**

სოციალიზმმა საქართველოს ნამდვილი თავისუფლება მოუტანა, გამოაღვიძა მისი ხალხის წიაღში მთვლემარე შემოქმედებითი ძალები. ისევე როგორც ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველომაც ძირეულად იცვალა სახე.

ფაქტობრივად ხელახლა შეიქმნა რესპუბლიკის მრეწველობა — მეტალურგიული, საავტომობილო, მანქანათსაშენებელი, ქიმიური და მრავალი სხვა დარგი. ახლახან კი თქვენმა მადლიანმა მხარემ საკუთარი ნავთობის აღმოჩენითაც გაგვახარა. დღეს საქართველოს არსებითად დაუდგა ინდუსტრიალიზაციის ახალი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, თანაც ყველაზე მაღალი ტექნიკური დონისა. **(ტაში).**

სიახლის ასეთსავე სურათს ვხედავთ სოფლის მეურნეობაშიც. თქვენ მეათე ხუთწლედში მიაღწიეთ ჩაის, ციტრუსის, ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის რეკორდულ მოსავალს. ქვეყანაში გულისყურით აკვირდებიან რესპუბლიკაში მიმდინარე საინტერესო ექსპერიმენტებს, მე მხედველობაში მაქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მართვის სრულყოფა, შრომის სტიმულირება, კოოპერაცია საზოგადოებრივ და პირად მეურნეობებს შორის.

ანდა ავიღოთ საქართველოს მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება. რესპუბლიკის მეცნიერებს ბევრი უთვალსაჩინოესი აღმოჩენა ეკუთვნით. საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა. მხატვრული შემოქმედების საგრძნობი აღმაფრენით აღინიშნა უკანასკნელი წლები. და აქ, რა თქმა უნდა, თავის როლს ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი საქმიანობა, რომელმაც კულტურის ოსტატებთან მუშაობაში სწორ ტონს მიაგნო, ეხმარება მათ, აქტიურად უწყობს ხელს შემოქმედებითს ძიებას. **(ტაში).**

ყველა საბჭოთა ადამიანი იცნობს საქართველოს როგორც ჩვენს საკავშირო ჯანმრთელობის კერასაც. ისინი თქვენი მადლიერნი არიან გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის, იმისათვის, რომ მილიონობით მშრომელის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად იღვწით. **(ტაში).**

მთლიანად რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ იზრდება. ათი წლის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. მეათე ხუთწლედის დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შესრულდა. ეს, ამხანაგებო, კარგი მიღწევებია! **(ტაში).**

მტკიცე სტარტი აიღო საქართველომ ახალ, მეთერთმეტე ხუთწლედშიც. თქვენი იუბილესათვის დავალების გადამეტებით უკვე 80 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია გამოგიშვიათ. გილოცავთ ამ წარმატებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოში ნამდვილი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს. ქართველები და რუსები, აფხაზები და უკრაინელები, ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და ქურთები — სამოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. **(ხანგრძლივი ტაში).** თქვენი რესპუბლიკის გამოცდილება კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორისა. **(ტაში).**

თქვენი მიღწევები რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელის შეუპოვარი მუშაობის შედეგია, ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველას გვახსოვს, რა უარყოფითი მოვლენები იყო თავის დროზე ფეხმოკიდებული რესპუბლიკაში. ისინი აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა საქართველოს კომუნისტებსა და მშრომელებს. ამ დოკუმენტების მიზანი, უწინარეს ყოვლისა, ის იყო, რომ ძირეულად გაგვეჯანსაღებინა ვითარება რესპუბლიკაში, განგვემტკიცებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დავხმარებოდით მშრომელებს უფრო წარმატებით გადაეჭრათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნები გამოიტანა. თქვენ შეძელით, გაგეჩაღებინათ პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის. ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში პოზიტიური პროცესები დამკვიდრებულიყო. **(ტაში).** კვლავაც ნიადაგ უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ საქართველოში მორალური ატმოსფერო ისეთივე წმინდა იყოს, როგორიც თქვენებური მთის ჰაერია, ხოლო ახალგაზრდობა კარგად იცნობდეს და განაგრძობდეს უფროს თაობათა, თავდადებულ მშრომელთა და სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ პატრიოტთა საუკეთესო ტრადიციებს. **(ტაში).** საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანები ჩვენს საერთო სიამაყესა და დიდებას შეადგენენ და იუბილეს დღეს ქვეყანა მათ საყოველთაო-სახალხო მადლობას ეუბნება. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ყოველივე ზემონათქვამი როდი ნიშნავს, რომ თქვენ არა გაქვთ სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებანი მუშაობაში. სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც საკმაოდ არის. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

უახლოეს წლებში საქართველო უნდა დაწინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით. მაგალითად, თქვენ ჩამორჩით სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მეტადრე ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მხრივ. მრეწველობაში ჯერ კიდევ დიდი გაქვთ კადრების დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები. უფრო სწრაფად გმართებთ ახალ სიმძლავრეთა ათვისება. დაჩქარებულ ტემპს მოელის მთელი რიგი მსხვილი საწარმოების რეკონსტრუქცია. ახალგაზრდა ნავთობმრეწველობის, მანგანუმის, სპილენძის მადნის მომპოვებელ სიმძლავრეთა განვითარება. ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი აგრეთვე საბინაო და მთელი რიგი სხვა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. თქვენი ძალზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენება. საჭიროა ისინი უფრო აქტიურად ჩააბათ საკვანძო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში როგორც თქვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თქვენ აყენებთ საკითხს კავკასიონის უღელტეხილის გავლით რკინიგზის გამჭოლი ხაზის გაყვანის შესახებ. ეს იდეა დიდი ხანია არსებობს. ასეთ მშენებლობას უდიდესი სიძნელენი ახლავს. მაგრამ ნაკლებ სიძნელეებს არც რკინიგზის უქონლობა ქმნის. ალბათ, დადგა დრო მტკიცედ მოვკიდოთ ხელი ამ უაღრესად რთული ინჟინერული, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტის საქმეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა მისი სოფლის მეურნეობის ინტენსიურობისა და სპეციალიზაციის ამაღლებას მოითხოვს. მეტი წვლილის შეტანა გმართებთ საერთოსაკავშირო სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. საამისოდ რეზერვები თქვენ მოგეპოვებათ.

მოკლე ვადაში საიმედოდ უზრუნველვყოთ ხალხი სასურსათო პროდუქტებით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით — აი ამოცანა, რომელიც ახლა პარტიამ დააყენა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ იგი და უსათუოდაც გადავწყვეტთ. **(ტაში).** ახლა სასურსათო პროგრამა ყალიბდება. იგი კაბინეტური გაანგარიშების ნაყოფი როდია. იგი მეურნეობის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს უნდა ემყარებოდეს, ამიტომ ძალზე საჭიროა, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, რაიონებმა, ოლქებმა, ყველა რესპუბლიკამ კონკრეტულად განსაზღვრონ, თუ რა მაქსიმალური, ხაზს ვუსვამ — მაქსიმალური წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ უპირველესი მნიშვნელობის საქმეში. კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მანეთი კაპიტალური დაბანდება, თითოეული დამატებითი ტონა სასუქი სრულად ნაზღაურდებოდეს ყანების, ბაღებისა და ფერმების პროდუქციის ზრდით.

კოლმეურნეობებიც, საბჭოთა მეურნეობებიც, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ყველა ადამიანი ნამდვილად უნდა იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ საერთო-საკავშირო სუფრაზე უფრო უხვად იყოს მათი პროდუქცია. უნდა იყვნენ დაინტერესებული მორალურადაც და მატერიალურადაც. მარჯვედ გამოიყენოთ ადგილობრივი რესურსები, ზუსტად გაითვალისწინოთ მოცემული ზონის კლიმატური და სხვაგვარი თავისებურებანი, სწორად ვან საზღვროთ მოსაყვანი კულტურები — ყოველივე ეს უმჯობესია ადგილზე გაკეთდეს. წესად უნდა შემოვიღოთ — კი არ შევუშალოთ ხელი ადგილობრივ ინიციატივას, არამედ წავახალისოთ, თუ, რა თქმა უნდა, იგი არ ეწინააღმდეგება საერთოსახელმწიფოებრივ ინტერესებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

სასურსათო პროგრამის უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაწილია მეცხოველეობა. XXVI ყრილობამ ტყუილად როდი უწოდა მას დამკვრელური ფრონტი. არადა, თქვენთან, რესპუბლიკაში, ამ დარგის შედეგები უნდა გაუმჯობესდეს. ჯოგის პროდუქტიულობა საკმაოდ სწრაფად ვერ იზრდება, ამიტომ სწორად მოქცეულხართ, რომ დასდგომიხართ კურსს, რათა საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადააქციოთ. **(ტაში).** მეცხოველეობის აღმავლობის საკვანძო ამოცანაა საკვები ბაზის განმტკიცება. ამ თვალსაზრისით ახლანდელი ხუთწლედი მნიშვნელოვანწილად საკვების ხუთწლედი უნდა გახდეს.

სოფლის მეურნეობა არ არის იზოლირებული ეკონომიკის დანარჩენი სფეროებისაგან. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას ახლა უზრუნველყოფს არა მარტო შრომა მინდვრებსა და ფერმებში, არამედ აგრეთვე ასობით ქარხნისა და ფაბრიკის მუშაობა, ტრანსპორტის უზადო ორგანიზაცია. ამიტომ ცხადია, ამხანაგებო: ყველა სამინისტროს, გაერთიანებას, საწარმოს უნდა ახსოვდეს პარტიის მიერ დასახული სურსათის პრობლემის გადაჭრის ამოცანა და ითვალისწინებდეს თავის გეგმებში საამისოდ ხელშემწყობ კონკრეტულ ღონისძიებებს. მხედველობაში მაქვს სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის, მინერალური სასუქების, საწვავის, წარმოების სხვა საშუალებების მიწოდების ზრდის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, სოფლად საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოების მაჩვენებლები.

განსაკუთრებით მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, რომელიც ქალაქსაც ეხება და სოფელსაც. ეს გახლავთ მატერიალური რესურსების რაციონალური, მომჭირნე გამოყენებისათვის ბრძოლა, ყოველგვარი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ განუზომლად ბევრ პროდუქციას ვკარგავთ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ვერ გვისწავლია სახალხო დოვლათის მოფრთხილების ყადრი. ვკარგავთ წარმოებაში ცალკეულ ადამიანთა უნიათობის გამო, კონსტრუქტორთა ხარვეზების გამო, იმის გამო, რომ საწარმოთა ამა თუ იმ ხელმძღვანელებს არ ჰყოფნით სახელმწიფოებრივი მიდგომა, ვკარგავთ პროდუქციის გადაზიდვისა და შენახვის უხეირო ორგანიზაციის გამო.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწეული მთელი მოსავლის დროული და სრული გადამუშავების ორგანიზაციას. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის ყველა მშრომელის გერგილიან მიდგომასა და ინიციატივას. ეს გახლავთ აგრეთვე შესაბამისი სამინისტროების, ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ არ დავგვეკარგოს არც ერთი კილოგრამი მარცვალი, ხილი და ბოსტნეული. **(ხანგრძლივი ტაში).**

დანაკარგები თავისთავად როდი ჩნდება, მათს დაშვებაში კონკრეტულ ადამიანებს მიუძღვით ბრალი. ჩვენ სუსტად ვთხოვთ პასუხს ამ ბრალეულებს. მეორე მხრივ — ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისად არ ვახალისებთ იმათ, ვინც იცის ნედლეულის, სათბობის, ენერგიის დაზოგვა, ვინც იცის ყოველი სახელმწიფო კაპიკის ყადრი და უფრთხილდება მას. ამის კეთება კი საჭიროა, უსათუოდ საჭიროა, ამხანაგებო. ჩვენს მეურნეობას ტყუილად როდი ეწოდება სახალხო. მთელი მისი განვითარება სახალხო კეთილდღეობას ექვემდებარება, ჩვენ ძალგვიძს გადავკეტოთ დანაკარგების ყველა არხი, თუ საამისოდ დავრაზმავთ ყველა ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციას, მთელ ხალხს. ყველა მშრომელის აქტიური ჩაბმა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების საქმეთა მართვაში მასების მონაწილეობის კარგი ფორმაა.

ამხანაგებო!

სკკპ ოცდამეექვსე ყრილობამ მაცოცხლებელი იმპულსი მიანიჭა მთელი საბჭოთა ხალხის შრომითს და პოლიტიკურ აქტიურობას. ყრილობის გადაწყვეტილებანი ადამიანებს უღვიძებს აზრებს, უმახვილებს სიახლის ალღოს. აღმავლობის ატმოსფერო, რომელიც ყრილობაზე სუფევდა, მთელ ქვეყანას მოედო. ახალი ხუთწლედის გაზაფხულს საბჭოთა ადამიანები რიგიანად შეხვდნენ: სტატისტიკის მონაცემები ამას დამაჯერებლად მოწმობს. ახლა მთავარია, არ შევანელოთ ტემპი, მტკიცედ განვავითაროთ მიღწეული წარმატებები და განვაგრძოთ წინსვლა ახალი მიჯნებისაკენ. ვფიქრობ, თქვენი რესპუბლიკა არც აქ გვიმტყუნებს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ახლა მოკლედ შევეხო საერთაშორისო საქმეებს.

სკკპ XXVI ყრილობის საგარეო-პოლიტიკური იდეები თავისას შვრება, გზას უკაფავს სერიოზულ პოლიტიკურ დიალოგს, ომისა და მშვიდობის ძირითადი პრობლემებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებას. ჩვენს ყრილობას ეს დიდი და გაბედული ინიციატივები რომ არ წამოეყენებინა, მთელი თანამედროვე პოლიტიკური ლანდშაფტი ისეთივე უსახური და უღიმღამო იქნებოდა, როგორც კავკასია უკავკასიონოდ. **(ტაში).** სამი თვე გავიდა ყრილობის შემდეგ — და ჩვენ მიერ განსახილველად წამოყენებული თემებიდან ერთიც არ გამხდარა ნაკლებ მნიშვნელოვანი. პირიქით, მათი აქტუალობა იზრდება.

ავიღოთ, მაგალითისათვის, ახლო აღმოსავლეთის რაიონი, რომელიც საქართველოსათვის, საერთოდ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, ნამდვილად ახლოა. ის, რაც იქ ხდება, სასტიკი, ტრაგიკული და საშიშია. განა შეიძლება თვალი აარიდო მილიონობით პა-

ლესტინელის უუფლებო მდგომარეობას და ტანჯვა-ვაებას? განა შეიძლება გულგრილად შეჰყურებდე ლიბანის ბედს, ისრაელის მხედრიონი რომ ჯიჯგნის და პირდაპირ სისხლით იცლება? საკმარისია ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი, და ომის ხანძარმა შეიძლება ახლო აღმოსავლეთის მთელი რაიონი მოიცვას. და ვინ უწყის, რამსიშორეზე დაიფანტება ხანძრის ნაპერწკლები.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება, რომელიც იმის კარგ შანსს იძლევა, რომ კოლექტიურად გავისარჯოთ ახლო აღმოსავლეთში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით. საქმე ეხება ამ საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას: ჩვენმა წინადადებამ ამის თაობაზე ფართო დადებითი გამოხმაურება პოვა არაბულ ქვეყნებში და ბევრ სხვა სახელმწიფოში.

ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ გაიმართოს აქტიური მოლაპარაკება საერთაშორისო ურთიერთობის გასაჯანსაღებლად. ეს სავსებით ეხება სპარსეთის ყურეში და ავღანეთის გარშემო შექმნილ სიტუაციას. სიტუაცია კი იმან გაამწვავა, რომ ვაშინგტონმა სცადა უხეში ძალდატანება მოეხდინა ირანზე და მოაწყო ინტერვენცია ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ. ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების არნახულმა კონცენტრაციამ მთელ ამ რეგიონში.

როგორ განვმუხტოთ ვითარება? ჩვენ გვესახება რამდენიმე შესაძლებლობა: ცალკე მოვითათბიროთ სპარსეთის ყურის რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ და ასევე ცალკე — ავღანეთის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის მოგვარების შესახებ, ანდა განვიხილოთ ამ ორივე საკითხის საერთაშორისო ასპექტები ერთმანეთთან დაკავშირებით, ამასთან, რა თქმა უნდა, აღნიშნული ზონის ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტი საიმედოდ უნდა იქნეს დაცული. მათს საშინაო საქმეებში ჩარევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასე რომ, საბჭოთა კავშირი მზად არის მოლაპარაკებისათვის, თანაც სხვადასხვა ვარიანტით. ოღონდ უბედურება ის არის, რომ ნატოს ბანაკში, სადაც ასე უყვართ ერთი ამბის ატეხა „საბჭოთა ექსპანსიის“, „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, დღემდე კრინტი არ დაუძრავთ ჩვენი წინადადებების პასუხად.

ავღანეთის მიმართ ჩვენი პოზიცია ნათელია. ჩვენ მისი სრული დამოუკიდებლობის მომხრენი ვართ, პატივს ვცემთ მის სტატუსს — მიუმხრობელი ქვეყნის სტატუსს, სსრ კავშირი, ისევე როგორც თვით ავღანეთი, მომხრეა პოლიტიკური მოწესრიგებისა, რომელიც ბოლოს მოუღებდა ავღანეთის წინააღმდეგ მიმდინარე გამოუცხადებელ ომს და მისცემდა მას ჩაურევლობის საიმედო გარანტიებს.

პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ შეთანხმება შესაძლებლობას მოგვცემდა ავღანეთის მხარესთან შეთანხმებით დაგვედგინა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის ვადები და წესი. ავღანეთის წინააღმდეგ ინტერვენციის განუახლებლობა საიმედო და გარანტირებული უნდა იყოს. ჯარების გამოყვანა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მიღწეულ მორიგებათა შესრულების კვალობაზე. საქმეს, უწინარეს ყოვლისა, ის აბრკოლებს, რომ პაკისტანის ხელმძღვანელები ჯიუტად უარს ამბობენ მოელაპარაკონ ავღანეთს და შეწყვიტონ მის საქმეებში ჩარევა.

ამხანაგებო! ჩვენ ახლახან ვიდღესასწაულეთ გამარჯვების დღე. ერთი თვის შემდეგ კი ორმოცი წელი სრულდება დიდი სამამულო ომის დაწყებიდან. ეს თარიღები — 9 მაისი და 22 ივნისი გვაიძულებს კვლავ და კვლავ დავუბრუნდეთ იმას, თუ რა ხდება ევროპაში, სადაც ორჯერ დაიწყო მსოფლიო ომები. სამოცდაათიან წლებში ევროპამ გემო გაუგო დაძაბულობის შენელებას. მაგრამ ახლა მდგომარეობა უარესობისაკენ იცვლება. უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ ნატომ გადაწყვიტა დასავლეთ ევროპაში განალაგოს ახალი ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტები. ნატოს ეს გეგმა, ცოტა ხნის წინათ კვლავ რომ დადასტურდა ამ ბლოკის საბჭოს რომის სესიაზე, მოწოდებულია უზომოდ დახარბებული პენტაგონის მადის დასაკმაყოფილებლად. ევროპელთა უშიშროების ინტერესებს იგი არამც და არამც არ შეესაბამება. ევროპაში ძალების ბალანსის, თანასწორობის პრინციპის დაცვის საფუძველზე რაკეტულ-ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის და თუნდაც შემცირების საკითხი შეიძლება გადაიჭრას და უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებისათვის. ახლა ვაშინგტონის ჯერია.

ამასთანავე სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ: ჩვენ უშედეგოდ ვერ დავტოვებთ ევროპის მიწა-წყალზე ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებას, რომელიც სსრ კავშირსა და ჩვენს მოკავშირეებზე იქნება დამიზნებული. ამ შემთხვევაში ჩვენ მოვალენი ვიქნებით ვიზრუნოთ დამატებითს თავდაცვითს ღონისძიებებზე. თუ საჭირო გახდა, ჩვენ გამოვნახავთ გვარიან საშუალებებს, რათა დავიცვათ ჩვენი საარსებო ინტერესები. დაე, მაშინ ნუ გვიწყენენ ნატოელი მგეგმავები. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ, ვიმეორებ, ეს ჩვენი არჩევანი როდია. ერთმანეთის დაშინებაზე დაფუძნებული მშვიდობა ჩვენ არ გვიხიბლავს. ჩვენ ვამჯობინებთ მშვიდობას, რომლის დროსაც შეიარაღების დონე სულ უფრო და უფრო კლებულობს, ხოლო ყველა დარგში თანამშრომლობის მასშტაბი და ხარისხი მატულობს და იხვეწება. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი ისეთი შეთანხმებების მომხრეა, რომელთაც ძალუძთ დააცხრონ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო კონფრონტაციის სიმძაფრე. **(ტაში).** ამ მიზნებს ემსახურება, კერძოდ, წინადადება ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხთა კონფერენციის მოწვევის შესახებ. ახლა კონფერენციის საკითხს განიხილავენ მადრიდის 35 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრაზე. მისი მოწვევის დაბრკოლების აღმგველი დიდი ნაბიჯი გახდა სსრ კავშირის განცხადება იმის შესახებ, რომ მზად ვართ ნდობის ღონისძიებანი გავავრცელოთ ჩვენი ქვეყნის მთელ ევროპულ ნაწილზე. ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ შესაბამის ნაბიჯს გადმოდგამენ დასავლეთის სახელმწიფოებიც. მაგრამ ისინი რატომღაც ისე იჭერენ თავს, თითქოს ეს ავიწყდებათ, თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ არიან მზად, გვითხრან ახლა რა საპასუხო ნაბიჯს გადადგამენ ნდობის ღონისძიებათა ზონის გასაფართოებლად, მაშინ შეუძლიათ პასუხი გაგვცენ არა მადრიდში, არამედ უშუალოდ კონფერენციაზე.

ამჟამად დასავლეთევროპის ქვეყნებში იზრდება მოძრაობა ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების რაც შეიძლება მალე დაწყებისათვის. ბევრ იქაურ სახელმწიფო მოღვაწეს ესმის, თუ რაოდენ საჭიროა შევინარჩუნოთ დაძაბულობის შენელება. და სულ უფრო მატულობს იმათი რიცხვი, ვინც შეიგნო: მოლაპარაკებაზე უარის თქმის პოლიტიკა, სამხედრო ძლიერების იმედით ყოფნა საღ აზრზე უარის თქმის პოლიტიკაა.

დიდმა რუსთაველმა რვა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბრძანა:

„კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი...
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი“. **(ტაში).**

კარგი იქნებოდა, ყურად ეღოთ ეს ბრძნული მოწოდება. მიებაძათ მისთვის ადამიანებს ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე დღეს, როცა, უკვე გამოჩნდა ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის პარმაღი! **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! მშვენიერი დღესასწაული გაქვთ, და თქვენს იუბილეს ღირსეულადაც აღნიშნავთ. თქვენი საიუბილეო ზეიმობა, შეიძლება ითქვას, განმსჭვალულია ხალხთა მეგობრობის, კარგი შრომითი აღმავლობის სულისკვეთებით, ნაღვაწისათვის სიამაყით და დიდი სამერმისო გეგმებით. და ეს ძალიან კარგია. **(ტაში).** წინ ხომ ყველას დიდი, დაძაბული სამუშაო მოგველის.

აბა, რა გისურვოთ სამერმისოდ? იმოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი. საბჭოთა ადამიანებს სჯერათ, რომ თქვენი მზიური რესპუბლიკა კიდევ არაერთგზის გაახარებს სამშობლოს ახალი შრომითი გამარჯვებებით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გისურვებთ ახალ წარმატებებს, ამხანაგებო, და დიდ პირად ბედნიერებას! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ოთხგზის ორდენოსან საბჭოთა საქართველოს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ძმური სალამი საქართველოს კომუნისტებს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას!

**(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. სხდომის მონაწილენი ერთხმად გაიძახიან: „დიდება სკკპ!“, „მეგობრობა!“, „მშვიდობა!“, გაისმის შეძახილები „ვაშა!“).**

# ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

**ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!**
**ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!**
**ამხანაგებო!**
**მეგობრებო!**

ახლა, როცა ლეონიდ ილიას ძე ტრიბუნაზე იდგა და ლაპარაკობდა, და ჩვენ ყველანი უდიდესი გულისყურით, სუნთქვაშეკრულნი ვუსმენდით მას, ყოველ ჩვენგანს ერთი და იგივე ფიქრები, ერთი და იგივე გრძნობები მოეძალა.

უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ მაღალი გრძნობა პარტიისა და ხალხის ცხოვრების ყოველ დიდმნიშვნელოვან მოვლენასთან საყოველთაო წილნაყარობისა. ასეთი მოვლენაა დღეს თბილისში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის დღეს გამოდის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. შემდეგ, ეს გახლავთ მგზნებარე სურვილი სამუდამოდ, შენი სიცოცხლის ბოლომდე შეისისხლხორცო ეს მომენტი, ეს შეგრძნება: ლეონიდ ილიას ძე ყოველ ჩვენგანთან ერთად, ყველა ჩვენს სტუმართან ერთად, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად იზიარებს ჩვენს ზეიმს, დღევანდელი დღის სიხარულს, ჩვენთან არის ლხინში. და, ბოლოს, ეს გახლავთ უდიდესი სურვილი ახლავე ეკვეთო სამუშაოს, დაუყოვნებლივ სახელოდაკაპიწებული შეუდგე საქმეს და პრაქტიკულად გადაწყვიტო ამოცანები, ახლა რომ წამოაყენა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ბევრი სასიხარულო, ღირსსახსოვარი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებაში. ეს გახლავთ მეათე ხუთწლედის ყველა ძირითადი მაჩვენებლის დავალებათა ვადამდე შესრულებაც, თქვენი გულითადი მილოცვაც, ლეონიდ ილიას ძევ, და საქართველოს ზედიზედ მერვედ დაჯილდოებაც გარდამავალი წითელი დროშით. ეს გახლავთ მაღალი შეფასებაც, თქვენ რომ მიეცით საქართველოს კომპარტიის მუშაობას საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობისადმი. ეს გახლავთ რესპუბლიკის მუშაკთა დიდი ჯგუფის დაჯილდოებაც და ამასთან დაკავშირებით თვით ყრილობაზე ნათქვამი კეთილი, გულის სიღრმიდან მომავალი სიტყვები.

მაგრამ, ალბათ, ყველაზე დიდ შეფასებას, ყველაზე მაღალ ჯილდოს, შეიძლება ითქვას, ყოველთა ჯილდოთა ჯილდოს წარმოადგენს თქვენი ახლანდელი ჩამობრძანება თბილისში საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. (მქუხარე ტაში). და ამ ყველაზე მაღალი ჯილდოსათვის უდიდეს მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის, მთელი ჩვენი ხალხის სახელით. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ მუდამ გვეხსომება თქვენი დღევანდელი სიტყვა — შესანიშნავი, ღრმაშინაარსიანი, ლენინურად ბრძნული. ჩვენ ყველანი ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ნაღვაწის მაღალი შეფასებისათვის და ამავე დროს სრულად ვიღებთ სავსებით სამართლიან კრიტიკას ჩვენი მისამართით. პრობლემები და სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენ, სამწუხაროდ, მართლაც საკმაოდ გვაქვს.

თქვენს მიერ დასახულ ყველა საკითხსა და ამოცანას ჩვენ ყურადღებით შევისწავლით, გავაანალიზებთ და განვიხილავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, და მთელ პარტიულ აქტივთან ერთად შევიმუშავებთ კონკრეტულ ღონისძიებებს თქვენი გამოსვლის ყოველი დასკვნის, თითოეული დებულების განსახორციელებლად. თავს ნებას მივცემ აღგითქვათ, რომ ყველა თქვენს რჩევა-დარიგებას, რეკომენდაციას და მითითებას უთუოდ შევასრულებთ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

თქვენთვის დამახასიათებელმა არაჩვეულებრივმა, უფაქიზესმა ტაქტმა, ლეონიდ ილიას ძევ, ამ საიუბილეო დღეებში ძვირი არ გათქმევინათ ჩვენს სხვა ნაკლოვანებებზე, არ გათქმევინათ უფრო მკაცრად, უფრო მომთხოვნელად. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა ნაკლოვანებანია ეს, და რამდენი გვაქვს ისინი ეკონომიკაშიც, სახალხო მეურნეობის მართვაშიც, შინაგანი რეზერვების გამოყენებაშიც. ბევრი, ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ დავძლიოთ მოდუნებისა და მოშვების, უდისციპლინობის ელემენტები. სამწუხაროდ, დღესაც გვიხდება იმის თქმა, რომ ბოლომდე არ ამოგვიძირკვავს ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა. ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში.

ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ, ყოველივე ეს ჩვენ ვიცით, ყოველივე ეს ცხადად და ნათლად გვაქვს შეგნებული. და სწორედ ეს გარემოება გვისახავს რწმენას, რომ არსებულ ნაკლოვანებებს დავძლევთ, თან — დავძლევთ საბოლოოდ!

დღეს, როცა თავის მე-60 წლისთავს ზეიმობს, საბჭოთა საქართველოს თითქოს თვალწინ უცოცხლდება თავისი ისტორია, იგი კიდევ და კიდევ ავლებს გონების თვალს 1921 წლის დაუვიწყარი თებერვლის დღეებიდან, იმ დღეებიდან გამოვლილ გზას, როცა საბჭოთა რუსეთი, უცხოეთის ინტერვენციით თავად დაუძლურებული, სამოქალაქო ომით გაჩანაგებული, გამოეხმაურა საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა თხოვნას და მოძმე ხალხს დასახმარებლად მოუვლინა გმირული მე-11 წითელი არმია. ჩვენ კვლავ და კვლავ ვიხსენებთ ამ გზას, 1981 წლის ღირსსახსოვარ თებერვლის დღეებამდე, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, ძალზე მაღალი შეფასება მიეცით ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას.

60 წლის წინათ — 1921 წლის 25 თებერვალს — თბილისიდან მოსკოვში, კრემლში გაიგზავნა დეპეშა: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ და რამდენიმე დღეში იქიდან, მოსკოვიდან თბილისში მოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წერილი: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“. (ხანგრძლივი ტაში).

ლენინი საქართველოში არ ყოფილა, თუმცა კი ეწადა ჩვენთან ჩამოსვლა. მაგრამ მოსკოვიდან თბილისში მოდიოდა ლენინის წერილები კავკასიის კომუნისტებისადმი, ყურადღებითა და მზრუნველობით აღსავსე ბარათები, რომლებშიც გვირჩევდა ყოველნაირად განგვევითარებინა მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, უფრო სრულად გამოგვეყენებინა ბუნებრივი რესურსები, უდიდესი წიაღისეული სიმდიდრენი — ნავთობი, მანგანუმი, ქვანახშირი, სპილენძი, დაგვეწყო ელექტრიფიკაციისა და რწყვის დიდი სამუშაოები, რაც, ვლადიმერ ილიას ძის თქმით, „ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აალორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

გავიდა 60 წელი, და სწორედ მოსკოვში, კრემლში, ყრილობათა სასახლეში, სკკპ XXVI ყრილობაზე შეხვდა საბჭოთა საქართველო თავის იუბილეს. სწორედ ყრილობაზე გვინდოდა ხაზგასმით აღგვენიშნა, რომ ჭეშმარიტად ლენინური მზრუნველობით, ლენინური სულისკვეთებით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი ფუნდამენტური დადგენილებანი, ამ ბოლო ათი წლის მანძილზე რომ გამოიტანეს საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელებისათვის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თათბირზე მიღებული დადგენილებით დაწყებული.

ამ ცნობილ დოკუმენტს საფუძვლად დაედო თქვენი გამოსვლა თბილისში 1971 წლის საიუბილეო ზეიმზე, როცა თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, მიგვითითეთ მთელ რიგ დიდ ნაკლოვანებებსა და ნეგატიურ მოვლენებზე, მოიქეცით ისე, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომელიც ამბობდა, რომ წლისთავის დღესასწაულობის საუკეთესო საშუალებაა ყურადღება მივაპყროთ მის გადაუჭრელ ამოცანებს.

ასრულებდა რა პროგრამას, რომელიც თქვენ დაუსახეთ ათი წლის წინათ, საქართველოს სს რესპუბლიკამ წარმატებით გაართვა თავი მეათე ხუთწლედის გეგმას, ბევრად შეამცირა ჩამორჩენა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით და ახლა იგივე მაჩვენებლებით მოწინავე პოზიციებზე გადის.

ხუთწლედში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა გაიზარდა 42 პროცენტით და მეტად, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 46 პროცენტით, მრეწველობის პროდუქციის წარმოების მატების ტემპმა შეადგინა 41 პროცენტი, სოფლის მეურნეობისამ — 34, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი პროგრამა შესრულდა გასული წლის 7 ნოემბრისათვის, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობამ 21 პროცენტს გადაამეტა.

საქართველოში საქმე კარგად მიდისო, ბრძანეთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში.

დიახ, მეთერთმეტე ხუთწლედში წარმატებათა მისაღწევად ჩვენ მართლაც ყველანი დარაზმულნი ვართ. საქართველოს კომუნისტებს, ყველა ჩვენს მშრომელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან საერთო-საკავშირო, საერთო-სახალხო დოვლათში რესპუბლიკის წვლილის გადიდების გზაზე. მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაიზრდება 30-33 პროცენტით, სოფლის მეურნეობისა — 22-24 პროცენტით. სახალხო მეურნეობის განვითარების ასეთივე სწრაფი ტემპი უნდა შევინარჩუნოთ მეთორმეტე ხუთწლედშიც.

ამ ხუთწლედში კარგი სტარტი ავიღეთ. ოთხ თვეში მრეწველობის

პროდუქციის წარმოების მოცულობის მატებამ შეადგინა 5,6 პროცენტი, შრომის ნაყოფიერებისამ— 4 პროცენტი, რის შედეგადაც მიღებულია სამრეწველო წარმოების საერთო მატების დაახლოებით სამი მეოთხედი. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

როცა საბჭოთა საქართველოს მიერ გამოვლილ სამოცი წლის გზას მიმოვიხილავთ, გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის ყოველივე ძვირფასია ამ გზაზე, ყოველივე ეს ჩვენია, ჩვენი ლვიძლია, ჩვენი სისხლი და ხორცია, ყოველივე ეს დიდი ჯაფისა და თავდადებული შრომის ფასად არის მიღწეული. ჩვენ, ცხადია, ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, ჩვენი ძველთაძველი კულტურით, განსაკუთრებით კი ჩვენი რევოლუციური წარსულითა და იმ უდიდესი წვლილით, ქართველ რევოლუციონერთა ლენინურმა პლეადამ რომ შეიტანა სრულიად რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში.

მაგრამ ჩვენს უზენაეს სიამაყეს იწვევს დღევანდელი დღე, ჩვენი დროის, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეპოქის ნაღვაწი და მონაპოვარი. ამასთანავე მთელი ჩვენი არსებით და აზრებით მივისწრაფვით მომავლისაკენ, ხვალინდელი დღისაკენ, და დარწმუნებულნი ვართ, ვიცით, რომ ის მნიშვნელოვანი საქმეები, ჩვენ რომ უნდა განვახორციელოთ, კიდევ უფრო მეტი პატივისცემის ღირსი იქნება, კიდევ უფრო მეტ სიამაყეს ჩაგვისახავს.

და ისევე როგორც წინა ათწლეულში, საქართველოს კომპარტია თანამიმდევრულად ახორციელებდა თქვენს მითითებებს, ლეონიდ ილიას ძევ, ასევე თქვენი დღევანდელი გამოსვლაც გახდება რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებისა და ბრძოლის კონკრეტული პროგრამა 80-იანი წლებისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის. (მქუხარე ტაში).

და სწორედ დღეს, ამხანაგებო, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა თავის წარმატებას საქართველო აღწევს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში, მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებისა და მუდმივი მხარდაჭერის მეოხებით.

ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობა მატებდა და მატებს საბჭოთა საქართველოს ენერგიასა და შემოქმედებითს ძალებს ეკონომიკის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობაა ჩვენი კულტურის განვითარებაში შთაგონების წყარო. ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობის ნათელი აცისკროვნებს საბჭოთა საქართველოს მთელ 60 წლის გზას.

ეს გზა გაშუქებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოხსენებაში, რომელიც სამი დღის წინათ გამოქვეყნდა გაზეთებში.

ამიტომ ვუძღვნით ჩვენს დღევანდელ სიტყვას მეგობრობას, ჩვენს ძმობას, ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობარი, მეგობრობა — რა შეედრება ამ სიტყვებს! მეგობრობა ხომ, როგორც ბრძენს უთქვამს, სიცოცხლის მასულდგმულებელია. და მართლაც, ქვეყნად არაფერია მეგობრობაზე უკეთესი, ქვეყნად არაფერია მეგობარზე ძვირფასი.

დღეს მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულზე შეიკრიბა საბჭოთა ხალხების მთელი დიდი ოჯახი. და მეგობრობის სადიდებელი ჩვენი პირველი სიტყვით მივმართავთ ჩვენს უფროს ძმას ამ ოჯახში — დიდ, გენიალურ რუს ხალხს, — შემოქმედ ხალხს, რევოლუციონერ ხალხს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

მოსკოვი... რა ბევრ სათქმელს შეიცავს ეს სიტყვა — რუსის გულში ჩაღვრილი, რა ბევრ ფიქრს აღძრავს გამოძახილით! — წერდა პოეტი, და არა მარტო რუსის, არამედ უკლებლივ ყველა ადამიანის, ყველა ხალხის გულშიც.

მთელი ეს ექვსი ათწლეულია საბჭოთა საქართველო თავის დროს ამოწმებს მოსკოვის, კრემლის კურანტების — პლანეტის უახლესი ისტორიის მთავარი საათის მიხედვით. კრემლის კურანტების სამაისო რეკვა ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას და ჩვენს მერმისს. მოსკოვიდან, კრემლიდან, ისევე როგორც სამოცი წლის წინათ, საქართველოში მოდის წერილები, რომლებიც აღსავსეა ლენინური მზრუნველობითა და ყურადღებით რესპუბლიკის კომუნისტთა საქმეებისა და გეგმებისადმი.

დაე, საგაზაფხულო მოსკოვის — რუსეთის ქალაქთა დედაქალაქის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს გულის, პლანეტის მეცნიერული აზროვნების უდიდესი ცენტრის მადლი გადმოსხმოდეს ჩვენ დღევანდელ დღესასწაულს. და ჩვენ სულით და გულით მივესალმებით ძვირფას სტუმრებს, გმირი ქალაქის მოსკოვის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვიქტორ ვასილის ძე გრიშინის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

მაისი ზაფხულის აისია. და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ყოველ ქალაქში ამ თვალწარმტაც დროს თავისი განუმეორებელი სილამაზე, თავისი ეშხი, თავისი ლაზათი აქვს.

ლენინგრადში თეთრი ღამეები დაიწყო. საამო სანახავია ნევისპირა ქალაქი! იგი უსაზღვროდ ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის, ისევე როგორც უსაზღვროდ ძვირფასია ყოველი ადამიანისათვის სახე დიდი ლენინისა, რომლის სახელსაც ამაყად ატარებს ოქტომბრის რევოლუციის მშობელი ქალაქი. აქ გაისმა „ავრორას“ ზალპი, რომლის ნიშანზეც ხალხები აღდგნენ ძველი სამყაროს შესამუსრად. აქ, პეტროგრადში იღებს სათავეს ჩვენი მესამოცე წლისთავიც. უმაგალითო ვაჟკაცობისა და სახელოვანი ტრადიციების ქალაქი — ლენინგრადი საბჭოთა საქართველოს სისხლი და ხორცი გახდა თავისი გმირული ისტორიით და სასიქადულო, მშვენიერი ანმყოთი.

და დღეს ჩვენ ვხარობთ, ძვირფასო ლენინგრადელებო, რომ ჩვენთან ხართ ლხინში, იზიარებთ ჩვენს დღესასწაულის სიხარულს. გაზიარებული მეგობრის სიხარული, — ეს ხომ ორმაგი სიხარულია. ჩვენ გულითადად მივესალმებით გმირ ქალაქ ლენინგრადის დელეგაციას პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ამხანაგ ნიკოლოზ იაკობის ძე სუსლოვის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

მხურვალედ და გულითადად მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვს — ადამიანს, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, მისი შეიარაღებული ძალების — საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის ერთგული დარაჯის, საყოველთაო მშვიდობის ბურჯის — განსამტკიცებლად. (მქუხარე ტაში).

ჩვენ ძალზე გვახარებს, რომ გვეწვია სახელგანთქმული, ლეგენდარული მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი დიდად პატივცემული ივანე ქრისტეფორეს ძე ბაგრამიანი, რომელიც ღვიძლად არის დაკავშირებული თბილისთან. (მქუხარე ტაში).

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით კოსმოსის დამპყრობთა სახელოვანი გვარდიის წარმოგზავნილს — სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, ავიაციის გენერალ-მაიორს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს ამხანაგ პეტრე ილიას ძე კლიმუკს. (მქუხარე ტაში).

მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ რუს და ქართველ ხალხებს, თითქმის 200 წლის წინათ დამოყვრდნენ საქართველო და რუსეთი და თავიანთი მეგობრობა შეადუღაბეს გეორგიევსკის ტრაქტატით, რომელსაც ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკიმ უწოდა „ორთა კავშირი... კავშირი ძმური და მეგობრული“. ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით მუდამ ხედავდნენ საქართველოს სოციალური და ეროვნული განთავისუფლების გზას მჭიდრო ერთიანობაში რუსეთის რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან.

და დღეს საბჭოთა რუსეთს — ძმათა შორის უფროსს — წამყვანი ადგილი უკავია საერთო-საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. იგი ძლიერი ფესვებით უკავშირდება ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკას.

შესანიშნავია დიადი და მძლავრი რუსული ენა — ლენინის ენა. იგი ერების ურთიერთობის ენად იქცა. სწორედ რუსული ენის წყალობაა, რომ ქართულ კულტურას, ქართულ ლიტერატურას ეზიარა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მრავალი ხალხი.

და ყველა აქ მყოფი ამხანაგის სახელით ჩვენ მხურვალედ, მთელი სულით და გულით მივესალმებით დღეს საბჭოთა რუსეთის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ მიხეილ სერგის ძე სოლომენცევის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

კიევში ახლა მაისია — უკრაინულად „ტრავენი“, ჩვენებურივარდობისთვის შესატყვისი. ყვავის კრეშჩატიკის განთქმული წაბლის ხეები. და ეს ყვავილობა საუცხოოდ გამოხატავს 50-მილიონიანი აყვავებული უკრაინის — ჩვენი ძვირფასი, ღვიძლი ძმის იერსახეს. ქვეყნის ეკონომიკაში უდიდესი წვლილი შეაქვთ უკრაინის მშრომელებს. სახელგანთქმული ქვანახშირის აუზები, მძლავრი ელსადგურები, მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი ქარხნები, ასეთია ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ცენტრის — რესპუბლიკის დღევანდელი დღე.

ზაპოროჟიელ და რუსთაველ მეტალურგთა „მეგობრობის ნადნობი“, ნიკოპოლელ და ჭიათურელ მაღაროელთა, გენიჩესკელ და მახარაძელ მიწათმოქმედთა ტრადიციული შეჯიბრება — ყოველივე ეს ჩვენი ხალხების ძმური ურთიერთობის ნიშანსვეტებია.

ჩვენი ხალხების გულისთქმას ყველაზე მეტად გაეხმიანა მგოსნის ქნარი: ტარას შევჩენკო დიდი კობზარი გახდა ქართველი ხალხისთვისაც, დავით გურამიშვილმა მეორე სამშობლო პოვა უკრაინის მიწა-წყალზე, ხოლო საქართველოს ცის ქვეშ ლესია უკრაინკას ლირიკული საგალობელი გაისმოდა.

მთელი ის სულიერი ღირებულებანი, წარსულში რომ შეუქმნიათ ჩვენს ხალხებს, უსაზღვროდ ძვირფასია ყოველი ჩვენგანისათვის. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ფასეულად მივიჩნევთ უკრაინული და ქართული კულტურების დღევანდელ ღირებულებებს, რომელთა ურთიერთგამდიდრება და ორმხრივი გავლენა არა მარტო გრძელდება სახელოვან ტრადიციათა საფუძველზე, არამედ განვითარების თვისებრი-

ვად ახალ დონეზეც აიყვანეს ეს სულიერი სიმდიდრენი.

ჩვენ მუდამ გვახსოვს ეს, და ამიტომაც მივმართავთ უმხურვალესი მისალმების სიტყვებით საბჭოთა უკრაინის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

მეგობრობა არ ბერდება. იგი წლითიწლობით მტკიცდება, იკრებს ახალ ძალებს. ასეთი მეგობრობა გვაკავშირებს მოძმე ბელორუსიასთან, რომელიც სოციალისტური მშენებლობის წლებში მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ, აგრარულ რესპუბლიკად იქცა და ასევე შეაქვს თავისი უდიდესი წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში. ამ მეგობრობისა და ამ ძმობის განსახიერებაა „ბელაზები“, რომლებიც გვეხმარებიან ვაშენოთ ჰიდროელექტროსადგურები ენგურის ნაპირებზე, და უნიკალური „ბელარუს“ ტრაქტორები, რომლებიც მთელი ქვეყნის მხვნელ-მთესველთა, მევენახეთა, მებაღეთა საიმედო თანაშემწენი გახდნენ.

თბილისს თავს წამოსდგომია სიმბოლური ფიგურა — ქართვლის დედა, რომელსაც ერთ ხელში ღვინის თასი უპყრია — მოყვრისათვის, და მეორეში მახვილი — მტერ-დუშმანისათვის. კეთილი გრძნობებითა და ძმური სიყვარულით სავსე თასს აწვდის დღეს ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ხალხი საბჭოთა ბელორუსიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ტიხონ იაკობის ძე კისელიოვის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

ბამბა არც ისე მსუბუქი ყოფილა, როგორც ამბობდნენ — შარშან ხომ უზბეკეთმა ქვეყანას 6 მილიონი ტონა თეთრი ოქრო მისცა. ეს დიდი შრომითი გამარჯვებაა, და რესპუბლიკა ასეთ გამარჯვებებს ყოველ წელიწადს აღწევს ბუნებასთან მძიმე ბრძოლაში.

დღევანდელი უზბეკეთი, ამასთანავე, ეს არის მსხვილი მრეწველობა, ეს არის სულიერი კულტურის ახალი აღმაფრენა და ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება.

შორია თბილისიდან ტაშკენტამდე. მაგრამ მეგობრობა სიშორეს არ დაგიდევს. ამის დასტურია რუსთაველის ქუჩა უზბეკეთის დედაქალაქში და ტაშკენტის ქუჩა — საქართველოს დედაქალაქში. ამის დასტურია საცხოვრებელი კორპუსები, ტაშკენტში რომ ააგეს თბილისელმა მშენებლებმა და თბილისში რომ ააშენეს მათმა უზბეკმა მეგობრებმა. ეს სახლები ჩვენთვის ძვირფასია, უნინარეს ყოვლისა, როგორც ურთიერთდახმარების სიმბოლო, როგორც მეგობრის მტკიცე, საიმედო ხელი. და ჩვენ სულით და გულით მივესალმებით საბჭოთა უზბეკეთის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

„ყაზახური მილიარდი“ — ეს გამოთქმა უკვე ჩვეული გახდა. სწორედ ამდენ ფუთ პურს გვაძლევს ყოველწლიურად ყაზახეთი, რომელიც რუსეთის ფედერაციასა და უკრაინასთან ერთად შეადგენს ჩვენი დიადი ქვეყნის სასურსათო ფონდის საფუძველს.

ყაზახეთს, როგორც ლეონიდ ილიას ძემ ბრძანა, ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავების ხანა დაუდგა.

რაც შეეხება ყამირის ეპოპეას, რომელსაც სათავეში ედექით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, იგი გახდა არა მარტო პურისათვის ბრძოლა, არამედ საბჭოთა ადამიანების ვაჟკაცობის სკოლაც. ყაზახეთში ადამიანმა გატეხა ყამირი, ყამირმა კი ვერ გატეხა ადამიანი. აქ გამოიბრძმედა და გამოიწრთო მთელი თაობის, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილთა ხასიათი. ყოველივე ამისათვის ჩვენ უსაზღვროდ მადლიერნი ვართ ყაზახეთის კომუნისტებისა, ყველა მშრომელისა, თვით ყაზახეთის მიწა-წყლისა. და სწორედ დღეს, როცა სამაისო ალმა-ათა გაფურჩქვნილი ვაშლის ყვავილებით არის გადაპენტილი, მინდა ვთქვა ეს, და გულითადად მივესალმო საბჭოთა ყაზახეთის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ დინმუჰამედ აჰმედის ძე კუნაევის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

კარის მეზობელი ნათესავზე ახლობელიაო, ამბობს ხალხური სიბრძნე. ჩვენი ასეთი მეზობელია ჩირაღდნების ქვეყანა — მოძმე აზერბაიჯანი.

ფართოდ მიაბიჯებს აზერბაიჯანი! — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებით, რომელიც უკვე ფრთოსანი გახდა, მოძმე რესპუბლიკა საქვეყნო მასშტაბის ნაბიჯებს დგამს სახალხო მეურნეობის განვითარების გზაზე. ათობით დასახელების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას უშვებს ახლა აზერბაიჯანი. ბევრ ქალაქშია ცნობილი აქაური კონდიციონერები, და ბაქოელებს ყველა საფუძველი აქვთ თქვან, რომ ისინი უქმნიან საბჭოთა ადამიანებს კარგ მიკროკლიმატს სამუშაოზე და შინ. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში). სულ უფრო შორს მიაბიჯებენ ზღვაში ნავთობის კოშკურები. წლითიწლობით სულ უფრო მაღლა მიიწევს ბამბის მთები, სულ უფრო მეტი ყურძენი იკრიფება.

არასდროს არ წაიშლება თაობათა ხსოვნაში ლეგენდარული ბაქოს რევოლუციური გმირობა, 26 უკვდავი კომისრის გმირობა. დღეს თბილისში, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქში, ჩვენ გულითადად მივესალმებით საბჭოთა აზერბაიჯანის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ გეიდარ ალის ძე ალიევის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

ახლა ვილნიუსში, ლენინის მოედანზე, იასამანი ყვავის: ყველგან იგრძნობა მაისის — „გეგუჟესის“ სუნთქვა. საბჭოთა ლიტვას — ცისფერი ტბებისა და ქარვის ზღვისპირეთის მხარეს — დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ეს გახლავთ ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა და რადიოტექნიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა და ჩარხმშენებლობა, გემთმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა — მთელ ქვეყანაში ფართოდ ცნობილი პროდუქცია.

ლიტვაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 70 პროცენტი უკავია მეცხოველეობას. აი, რატომ არის, რომ თავიანთი ლიტველი დობილების მოწინავე გამოცდილებას ეწაფებიან ქართველი მწველავები, იბრძვიან რა მეცხოველეობის, იმ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, რომელიც დღეს, ლეონიდ ილიას ძის თქმით, დამკვრელური ფრონტია სოფლად.

საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს ლიტვის მშრომელებმა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში, რაც აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე. და ამ წარმატებას ჩვენ სულით და გულით ვულოცავთ საბჭოთა ლიტვის დელეგაციას ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ პიატრას პიატრის ძე გრიშკიავიჩუსის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

ქვეყანაში მოწეული ყურძნის თითქმის მეოთხედს ამზადებენ ჩვენი მოლდაველი მეგობრები, და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია, რომ მოლდავეთის გერბს, ისევე როგორც საქართველოსას, ყურძნის მტევანი, ვაზის რქა ამშვენებს. მაგრამ მარტოდენ ვაზის რქა — ბუნებისა და გლეხკაცის მარჯვენის ეს გასაოცარი ქმნილება — როდი აახლოებს ჩვენი რესპუბლიკების მეურნეობებს, ჩვენს ხალხებს. ჩვენში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ფართოდ ვიყენებთ მოლდაველი ამხანაგების გამოცდილებას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში, სამეურნეობათშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დარგში.

დღეს ჩვენს ზეიმზე სიხარულით მივესალმებით საბჭოთა მოლდავეთის დელეგაციას მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ივანე პეტრეს ძე კალინის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

რიგა და თბილისი დამოყვრებული ქალაქები არიან. მათი ურთიერთობა და მეგობრობა დღითი დღე მტკიცდება. და ჩვენ დიდი სიხარულით აღვიქვით ის მაღალი შეფასება, სკკპ XXVI ყრილობაზე რომ მიეცა ლატვიის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, რომელმაც შეძლო შრომითი კოლექტივები, მართვისა და დაგეგმვის ყველა რგოლი დაერაზმა მრეწველობის პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

სიმბოლურია, რომ ლატვიის მრეწველობის მთავარი დარგები — მანქანათსაშენებელი, რადიოტექნიკური — ადამიანებს ეხმარებიან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში. ამ მიზნებს ემსახურება მთელ ქვეყანაში კარგად ცნობილი მაღალი კლასის რადიომიმღებები, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ტელეფონის აპარატები, თანამედროვე ტრამვაის ვაგონები, მიკროავტობუსები. კეთილხარისხოვანი, კარგი პროდუქციაა: იგი ამცირებს მანძილს, ანიჭებს ადამიანებს მეგობრული ურთიერთობის სიხარულს.

დღეს გულითადად მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე საბჭოთა ლატვიის დელეგაციას ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ავგუსტ ედუარდის ძე ვოსის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

მაღლა მთებში ცხოვრობს და შრომობს საბჭოთა ყირგიზეთი. დიდმა ოქტომბერმა თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა ყირგიზ ხალხს. ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მხარე.

ყირგიზეთის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის დღევანდელი შრომა მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ იმორჩილებს ადამიანი ბუნების ძალებს და როგორ აქცევს მათ ჩვენი დიადი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სამსახურში. უდიდესი ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია, ფერადი ლითონების აურაცხელი მარაგი, სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი პროდუქცია, მეცხვარეობის შემდგომი განვითარება — ასეთია ყირგიზეთის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში.

სულით და გულით მივესალმებით დღეს საბჭოთა ყირგიზეთის დელეგაციას ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პი-

რველი მდივნის ამხანაგ ტურდაკუნ უსუბალის ძე უსუბალიევის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

ქვეყნიერების ბანზე — პამირზე გადაშლილია საბჭოთა ტაჯიკეთი. ტაჯიკ ხალხს, სალ კლდესავით უტეხს, მთის მდინარესავით ბობოქარს, საერთო-სახალხო ყულაბაში შეაქვს ნურეკის ელექტროენერგია და განსაკუთრებით ძვირფასი ნაზბოჭკოიანი ბამბა და ბევრი სხვა რამ.

ტაჯიკეთი უძველესი და თავისთავადი კულტურის ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთმა სასიქადულო წარმომადგენელმა — კაბუსმა, XI საუკუნის ტაჯიკმა პოეტმა, თქვა: „ერთგული მეგობარი უდიდესი განძიაო“. ჩვენი ტაჯიკი მეგობრები ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. და ჩვენც ულრმესი სიყვარულით და პატივისცემის გრძნობით მივესალმებით დღეს საბჭოთა ტაჯიკეთის დელეგაციას, რომელსაც სათავეში უდგას ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯაბარ რასულოვი. (მქუხარე ტაში).

სომხეთი და საქართველო საუკუნეებმა დაამოყვრა. ერთი დროშა გვაერთიანებდა საუკუნეთა მანძილზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. წლითიწლობით მკვიდრდებოდა ჩვენი ძმობა, სულ უფრო მტკიცე ხდებოდა მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ ის, რაც სომხეთში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, ალგვაფრთოვანებს, გვისახავს უდიდესი პატივისცემის გრძნობას მისი გამრჯე, გმირი ხალხისადმი. გაიზარდა მზეთუნახავი ქალაქი — მილიონიანი ერევანი. გაყვანილია არფა-სევანის ორმოცდაათკილომეტრიანი გვირაბი. აშენდა ატომური ელექტროსადგური, მეტროპოლიტენი.

განსაკუთრებით გვამოყვრებს ჩვენ სულიერი კულტურა — პოეზია და არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება და მუსიკა. სულიერი მოყვრობა ის ფენომენია, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ჩვენი ხალხები, რომელსაც რუდუნებით იცავდნენ სტეფანე შაუმიანი და სერგო ორჯონიკიძე, ალიოშა მიასნიკიანი და ფილიპე მახარაძე, ოვანეს თუმანიანი და ილია ჭავჭავაძე, ავეტიქ ისააკიანი და გალაკტიონ ტაბიძე.

დღეს ჩვენ გულითადად ვულოცავთ პარტიის XXVI ყრილობაზე მიღებულ მაღალ შეფასებას და სულითა და გულით მივესალმებით მოძმე საბჭოთა სომხეთის დელეგაციას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ კარენ სეროფის ძე დემირჭიანის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ყარაყუმი, რომელსაც თურქმენეთის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 80 პროცენტი უკავია, ტრიალ, გადახრუკულ უდაბნოს წარმოადგენდა. ახლა კომუნისტების, მთელი ხალხის ნებამ და გარჯამ მას სახე უცვალა და აყვავებულ მხარედ გადააქცია.

დღევანდელი თურქმენეთი — ეს არის ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი. შუა აზია — ცენტრის მაგისტრალური გაზსადენი, რომელშიც ყოველდღიურად 170 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი თურქმენული ცისფერი ოქრო გადის, მეგობრობისა და ძმობის მაგისტრალი გახდა. განთქმულ თურქმენულ ყარაკულთან ერთად ოდითგან ფასობს თვალწარმტაცი თურქმენული ხალიჩა, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო გერბს ამშვენებს.

ჩვენ მოხარული ვართ დღეს ამ სადღესასწაულო მშვენიერ დარბაზში, ნაირფერ თურქმენულ ფიანდაზს რომ მოგვაგონებს, მივესალმოთ საბჭოთა თურქმენეთის დელეგაციას თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ბალი იაზყულიევის მეთაურობით. (მქუხარე ტაში).

ოდესღაც საქართველოდან ბალტიისპირეთში, ხოლო ბალტიისპირეთიდან საქართველოში ასახლებდა მეფის მთავრობა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, რათა დაეშორებინათ ჩვენი ხალხები, მათ შორის, ესტონელი და ქართველი ხალხები. მაგრამ არაფერი არ აახლოვებს ისე ადამიანებს, როგორც განმათავისუფლებელი იდეები, როგორც დემოკრატიის, მშობლიური მიწა-წყლის ღირსებისა და დამოუკიდებლობის იდეალები. ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ასობით ქართველი ჭაბუკი დააყენა გზაზე განთქმულმა ტარტუს უნივერსიტეტმა.

სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო ესტონეთის სახალხო მეურნეობის დინამიკური ზრდა, რომელიც ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ბაზაზე ვითარდება. და დღეს ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მოძმე საბჭოთა ესტონეთის დელეგაციას, რომელსაც სათავეში უდგას ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ივანე გუსტავის ძე კებინი. (მქუხარე ტაში).

თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. აქ რამდენიმე ათეული ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ, და ყოველმა თბილისელმა იცის კეთილი მეზობლობის ფასი, მეზობლობისა, რომელიც ძმობის სადარია. ამიტომაც მივესალმებით, ამხანაგებო, ასეთი სიხარულით ამ დღესასწაულზე ჩვენს ძვირფას მეზობლებს — კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეთა, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დელეგაციებს, რომლებსაც სათავეში უდგანან ამხანაგები სერგი თევდორეს ძე მედუნოვი, ვსევოლოდ სერაპიონის ძე მურახოვსკი, მაგომედ-სალამ ილიასის ძე უმახანოვი, კიშუკ აგიდის ძე კუშხოვი, ბილარ ემაზაის ძე კაბალოევი და ალექსანდრე ვლადიმერის ძე ვლასოვი. (მქუხარე ტაში).

ყოველ მხარესთან, თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკასთან უმჭიდროესი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა გვაკავშირებს... კრასნოდარი, სტავროპოლი, მახაჩყალა, ნალჩიკი, ორჯონიკიძე, გროზნო — ამ ექვს ქალაქს, ექვს ზღაპრულ ძმასავით, მტკიცედ ჩაუკიდია ხელი ერთმანეთისათვის და ნათელი მომავლისაკენ მიაბიჯებენ. ამ ქალაქებიდან თითოეული საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისს ულებს ფართო კარიბჭეს საბჭოთა რუსეთში, ქვეყანაში, რომელთან სიახლოვე და ღვიძლი კავშირი განსაკუთრებით ძვირფასი და წმიდათა წმიდაა ყოველი ჩვენგანისათვის.

მხურვალედ, სულითა და გულით მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს: ამხანაგებს ანდრია მიხეილის ძე ალექსანდროვს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ინოზემცევს, ზინაიდა მიხეილის ასულ კრუგლოვას, გიორგი ემანუილის ძე ცუკანოვს; ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს: ამხანაგებს ანატოლი ივანეს ძე ბლატოვს, ერლენ კირიკის ძე პერვიშინს. (მქუხარე ტაში).

მოხარული ვართ დღეს აქ ჩვენს ძვირფას სტუმრებს შორის ვიხილოთ ამხანაგები მიხეილ ესტატეს ძე მოგილევეცი, ვლადიმერ ევგენის ძე ოდინცოვი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბლოხინი, ნიკოლოზ ათანასეს ძე პონომარიოვი, პეტრე ალექსანდრეს ძე როდიონოვი, მიხეილ ვასილის ძე პოსოხინი, ჟურნალისტთა სახელოვანი გვარდიის წარმომადგენლები — პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები, ყველა ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ვინც მოისურვა ყოფილიყო აქ, ჩვენთან ერთად, და ისინი, ვინც დღეს აზრით ჩვენთან არიან ამ დარბაზში მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების წყალობით.

და სწორედ დღეს, ჩვენთვის ამ, შეიძლება ითქვას, სვებედნიერ ჟამს, გვაგონდება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები:

— მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთიანობა ალმასივით მტკიცეა. და როგორც ელვარებენ ნაირფრად ალმასის წახნაგები, ისე აელვარებს ჩვენი ხალხის ერთიანობას მრავალფეროვნება მისი შემადგენელი ერებისა, რომელთაგან თითოეულს ასულდგმულებს მდიდარი, მჩქეფარე, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

რა კარგად, რა ხატოვნად არის ნათქვამი! რაოდენ ღრმა აზრია ჩაქსოვილი ამ მრავლისმეტყველ სიტყვებში!

დამეთანხმებით, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ამ შესანიშნავი სიტყვების ცოცხალი, თვალსაჩინო დასტურია ჩვენი დღევანდელი საზეიმო სხდომა, თვით ეს სადღესასწაულოდ მორთული, ნაირფრად მოელვარე, ყვავილებით დამშვენებული დარბაზი, სადაც თავი მოუყრიათ ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს, ყველა იმ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებიც შეადგენენ ერთიან მძლავრ საბჭოთა კავშირს, ქვეყანას, მდიდარი, მჩქეფარე, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება რომ ასულდგმულებს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

და ჩვენი დღესასწაულის სულისკვეთებას, მის დედაარსს, მის ძირითად შინაარსს ყველაზე უკეთ ესატყვისება ის შესანიშნავი საჩუქარი, რომელიც თქვენ უბოძეთ დღეს, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, საბჭოთა საქართველოს მის მე-60 წლისთავის ზეიმზე. დიდი მადლობა თქვენდა! ეს შესანიშნავი ტილო, რომელიც მხატვრულად განასახიერებს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის პოლიტიკის გამარჯვებას, მუდამ გვექნება ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქართველოში ჩამოსვლის კეთილ მოსაგონრად. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის განვითარების შინაგანი კანონები ისეთია, რომ იგი შობს, ზრდის, აწრთობს და აყალიბებს ლენინური ტიპის, ლენინური ყაიდის ხელმძღვანელებს, წინამძღოლებს, ლიდერებს, რომლებიც მომწიფებულ ისტორიულ სიტუაციაში კისრულობენ უდიდეს პასუხისმგებლობას, მიუძღვებიან პარტიას ლენინის გზით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ასეთი ისტორიული შემობრუნების პუნქტი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმი. დაუფარავად, გულახდილად გეტყვით: ამ პლენუმს ყველანი დიდხანს ველოდით. და მისი გადაწყვეტილებანი, თუ გნებავთ, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის წვითა და დაგვით არის მოპოვებული, სოციალიზმის, კომუნიზმის და მშვიდობისათვის ბრძოლის ბედისთვის ამ გადაწყვეტილებათა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა მთელმა შემდგომმა მოვლენათა მიმდინარეობამ.

ჩვენი ეპოქის ასეთი დიდი, უთვალსაჩინოესი პიროვნებაა ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ოქტომბრის პლენუმი ჩვენი პარტიის ისტორიაში შევიდა იმით, რომ მან გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ისეთი საშიში, მე ვიტყოდი, ანტიხალხური, ანტიპოდური, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო მოვლენების დაძლევაში, როგორიც იყო სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი და სხვა გადახვევები პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისაგან. და

ამაში უდიდესი, გადამწყვეტი ღვაწლი მიუძღვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. (მქუხარე ტაში).

მას შემდეგ, რაც ლეონიდ ილიას ძე სათავეში ჩაუდგა ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მთელ პარტიაში იმძლავრა შემოქმედების სულისკვეთებამ, ინიციატივის სულისკვეთებამ და დიდი დემოკრატიზმის სულისკვეთებამ. როგორც ლეონიდ ილიას ძემ ბრძანა, ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთებამ. (მქუხარე ტაში).

როცა რესპუბლიკის მიერ 70-იან წლებში მიღწეულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მარტოდენ ტრიუმფული წინსვლა-განვითარების წლები როდი იყო. ამ პერიოდში გვქონდა სიძნელეებიც, გვქონდა გარკვეული სირთულეებიც, გვქონდა შეცდომებიც. მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და პოზიტიური ტენდენციების დამკვიდრების პროცესი ერთგვაროვანი როდი იყო. იგი უთანაბროდ, ძნელად, ზოგჯერ კი მტკივნეულადაც მიმდინარეობდა. და თუ ჩვენ მაინც ვაგნებდით რთული პრობლემების სწორ, უტყუარ გადაწყვეტას, ამაში მთავარი როლი ისევ ჩვენს ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს ეკუთვნის. მერწმუნეთ, ლეონიდ ილიას ძევ, ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ეს და დიდადაც აფასებს ამას. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მუშაობის ის მეცნიერული სტილი და მეცნიერული მეთოდები, რომლებიც განვითარებული სოციალიზმის, ჩვენი თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს შეესაბამება. მას ახასიათებს გასაოცარი უნარი — შეარჩიოს, შეაკავშიროს, დარაზმოს ადამიანები დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან ეყრდნობოდეს ყოველივე პოზიტიურს, დადებითს ტენდენციებს.

უსაზღვრო ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და ჭეშმარიტად ლენინური უბრალოება ლეონიდ ილიას ძის პიროვნებაში ერწყმის მაღალ მომთხოვნელობას და ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობას, გამჭრიახობას და სიმტკიცეს, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების, სოციალიზმისა და კომუნიზმის ინტერესების უსაზღვრო ერთგულებას. და ეს კარგად იციან როგორც ჩვენმა მეგობრებმა, ისე მტრებმაც მთელ მსოფლიოში. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა წვლილი შემატა განვითარებული სოციალიზმის მთლიანი, მწყობრი კონცეფციის, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთოსახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის, ადამიანთა ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების თეორიის შემუშავებას.

ლეონიდ ილიას ძემ გაამდიდრა ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ, დაასაბუთა ის დებულება, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში განუხრელად იზრდება ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, რომელიც მთელი ხალხის ავანგარდი, მთელი ხალხის პარტია გახდა.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული გრანდიოზული მშვიდობის პროგრამის შემუშავება და ქვეყნად მშვიდობის საქმის დაცვა.

ლეონიდ ილიას ძე დღესაც შთაგონებით ლაპარაკობდა კაცობრიობის ბედნიერი მერმისისა და პროგრესის საკეთილდღეოდ მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პოზიცია ჩამოაყალიბა. როგორც უკვე ითქვა, ჩვენ ვამჯობინებთ მშვიდობას, რომლის დროსაც შეიარაღების დონე სულ უფრო კლებულობს, ხოლო ყველა დარგში თანამშრომლობის მასშტაბი და ხარისხი მატულობს და იხვეწება. ამასთანავე, თუ დაგვჭირდა, ჩვენ გამოვნახავთ სათანადო საშუალებებს, რათა დავიცვათ ჩვენი საარსებო ინტერესები.

ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკურ კურსს და ასეთი პოლიტიკა თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ. ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ საბჭოთა საქართველო, ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკა მუდამ იქნებიან საიმედო ბასტიონნი ჩვენი დიადი სამშობლოს სამხრეთის მიჯნებზე.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

მთელი ამ აზრებითა და მთელი ამ გრძნობებით მინდოდა მომემართა თქვენთვის რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის, მთელი ჩვენი ხალხის სახელით სწორედ დღეს — საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის დღესასწაულობის დღეს.

ასეთი აზრებით, ასეთი გრძნობებით, ასეთი კარგი, ოპტიმისტური სამუშაო განწყობილებით გადაფურცლა საბჭოთა საქართველომ თავისი ისტორიის ახალი ფურცელი, და სვებედნიერმა, სიხარულით, ძალ-ღონითა და ენერგიით აღსავსემ შედგა ფეხი თავის მეშვიდე ათწლეულში.

როგორც თქვენ მიუთითეთ დღეს, ჩვენ ვიმოქმედებთ კიდევ უფრო გაბედულად, ვიმუშავებთ კიდევ უფრო მუყაითად და კვლავაც გავზრდით საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტს. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ: ჩვენი რესპუბლიკა შეეცდება კიდევ ბევრჯერ გაახაროს ქვეყანა ახალი შრომითი გამარჯვებებით!

დაე, მუდამ გამარჯვებული და აყვავებული იყოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკის მშრომელთა ავანგარდს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცად, მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ნამდვილი მეგობრობის სამშობლოს, ჭეშმარიტი ძმობის სამშობლოს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მის მეთაურს ჩვენს ძვირფას, დიდად პატივცემულ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

# 60

# საზეიმო სხდომაზე

შვილთა შვილებს გასწვდება ვარდობისთვის იმ საზეიმო და დაუვიწყარ დღეთა სითბო.

ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავის ზეიმზე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხრიდან მრავალი ძმა და მეგობარი გვესტუმრა.

ყველაზე ნანატრი, ყველაზე ძვირფასი სტუმრის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლამ მეტი ლაზათი და ელფერი შემატა საყოველთაოსახალხო ზეიმს.

22 მაისის დილის 11 საათია.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. ა. ალიევი, ტ. ი. კისელიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე.

მათთან ერთად ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები: ლიტვისა — პ. პ. გრიშკიავიჩუსი, ლატვიისა — ა. ე. ვოსი, ყირგიზეთისა — ტ. უ. უსუბალიევი, ტაჯიკეთისა — ჯ. რ. რასულოვი, სომხეთისა — კ. ს. დემირჭიანი, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. პ. კალინი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. იაზყულიევი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გ. კებინი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ი. სუსლოვი, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ს. თ. მედუნოვი, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მურახოვსკი, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ი. უმახანოვი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ს. კუშხოვი, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ე. კაბალოევი, სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ვ. ვლასოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ი. ქ. ბაგრამიანი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი პ. ი. კლიმუკი.

აქვე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ე. ოდინცოვი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, პარტიის, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომას ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები.

რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებს მარშის ხმებში დარბაზში შემოაქვთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროშა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

დარბაზში დიდხანს ქუხდა ოვაცია, როცა ტრიბუნაზე ავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

დამსწრეთ უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა. დღესასწაულის სამახსოვროდ ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მთავრობას გადასცა ცნობილი საბჭოთა მხატვრის იური კოროლიოვის სურათი „ერთიან ოჯახში“, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ გვესახება.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

სხდომის მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს სახელოვანი იუბილე გულითადად მიულოცეს მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციების ხელმძღვანელებმა.

დასასრულ, სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

— დაე ყველგან, — აღნიშნა მან, — მთელ რესპუბლიკაში, თითოეულ ქალაქსა და ყოველ რაიონში უქრობ ჩირაღდნად გიზგიზებდეს დღევანდელი დღის სულისკვეთება, სუფევდეს ის მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალური აღმავლობა, რომლითაც აქ ყოველი ჩვენგანი განიმსჭვალა!

ფანფარებისა და დაფდაფების ხმებზე დარბაზში შემოდიან პიონერები და მოსწავლეები. მათ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, სხვა ამხანაგებს ყვავილების თაიგულები გადასცეს.

საზეიმოდ გაისმა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ფიცი.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება.

მისი მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

კვლავ ქუხს ტაში. დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სადიდებლად.

23 მაისს თბილისში, სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა დიდებული დემონსტრაცია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე





# მოლოდინის ბალადა

ოთარ ჭელიძე

ღრუბლები საავდროდ დაირაზმნენ,
როდესაც, უცნობი სტუმარივით,
ვერ მიცნო — ვინც ოდის აივანზე
დამიხვდა გლეხური კურმარილით.

— გეტყობა, შორიდან მობრძანდები,
დღეს ჩვენთან იკადრე დაპურება, —
მთხოვა მან რაჭული მოკრძალებით, —
— ი ბიჭიც საცაა დაბრუნდება.

გავხედე — ლოგეზე გადამძვრალი
ხვიარა ბოსტანში ბიბინებდა
და ჩალა — ხეებზე ნაზამთრალი
ეკიდა ოქროსფერ გვირგვინებად.

— ი ბიჭმა ჩაყარა, გაახარა
ამ ბაღში რაც დიდი კაკლებია, —
თქვა მან და სუფრაზე დაახვავა,
რაც კი რამ ქალაქში დამკლებია.

— ი ბიჭი საცაა დაბრუნდება, —
ამბობდა ლოდინით დაქანცული.
მისხამდა, თან შარას გაჰყურებდა
რაჭველი დედუკა გულკეთილი.

სახეზე სიბერის დასასრული
უკრთოდა უთვალავ ნაოჭებად;
ამბობდა ლოდინით დაქანცული:
— ი ბიჭი საცაა გამოჩნდება...

ვინც ლუკმა გამიყო გასაყოფი —
გული არ ეგულა საგულეში;
ლოდინით დაღლილი ავადმყოფი
მოუვასმა ვერაფრით ვანუგეშე.

და თითქოს მეზობელ ოთახიდან
ელდიან თვალებში არეკლილი
„ქვედრულას" მაღვრიდა ომახიანს
ბავშვობა — ზარივით დარეკილი.

ჩიტებმა წვიმაში დასველებამ
არჩიეს ბუდეში დაბუდება.
დროთაგან მოყრილი მახსენდება:
— ი ბიჭიც საცაა დაბრუნდება.

ჭანჭახი საავდროდ გაჰყვიროდა
და ნისლის ნაკმეველს უნელებდა
ვეება მწვერვალთა თავყრილობა
ალპიურ სათიბთა სურნელებას.

არ ვიცი, სუფრიდან ადგომისას,
ვარამი, თუ ღვინო მაბრუებდა,
თუ ზარის წკრიალი ბალღობისა,
რომელიც აროდეს დაბრუნდება...

იქუხა და ძლივსღა ჩავისუნთქე
ჰაერი — ელჭექით დანაღმული:
შეშლილის თვალებში მაისოგდა
კედლიდან მზირალი გაზაფხული—
ი ბიჭი — სულ ახლო — მამისონთან
ორმოცი წლის წინათ დამარხული!

# ნურც დამშრალა

ბორის შენგელია

ცივი ერთ პატარა მდინარეს ჰქვია ჩვენში. იგი კოლხეთის მთიანეთში, ჩეგოლას კალთებთან იბადება. სათავესთან ყინულივით ცივია და ჩქარი, შხუილით მოქრის ქარაფებში, როცა გაივაკებს, წყნარდება, მდორე და უფერული ხდება. სულ აღარ ჰგავს თავის განუყრელ ძმობილს ტეხურს, რომელიც მის გვერდით მოაქანებს ტალღებს და ყველგან, — მთაშიც, ბარშიც, გრილია და კამკამა.

სოფელ ზანაში, კორტოხზე წამოდგმული პატარა ოდის აივნიდან, ვეება ცაცხვი რომ გადმოჰყურებს, გადახედავდა ხოლმე დატობაბა ცივის ჭალას და შუბლშეჭმუხნული იტყოდა:

— იცოდეთ, შვილებო, პატარა ცივი ულონოდ გაჩვენებთ თავს, მაგრამ დიდი ძალა აქვს. მთაშია შობილი; გულიც ერჩის და ძალაც.

ასეც იყო: მოდიდდებოდა ხოლმე ცივი, გადაირეოდა, აიკლებდა მთელ ჭალას, მილეწ-მოლეწავდა ყველაფერს, მოიოხებდა გულს და მიწყნარდებოდა.

აბა, მაშინ ვინ გაბედავდა, ახლო მისულიყო უხიდო ცივთან. ვერც გერა ბიძია ბედავდა ხარები შეება ურემში, დატობაბას სამი ქალიშვილი დაესხა ზედ, ფონზე გაეყვანა და სკოლისკენ მიმავალ გზაზე დაეყენებინა. რჩებოდნენ გოგოები შინ. აივანზე დიდცაცხვის ჩრდილში ამზადებდნენ გაკვეთილებს, მერე ძაძუ დედულიას ეხმარებოდნენ საოჯახო საქმეში.

ოდის გვერდით, დატობაბას პატარა წყარო, ღარიას რომ ეძახდნენ სიყვარულით, ყოველთვის ერთნაირად მოწანწკარებდა. არც დარში იკლებდა, არც ავდარში იმატებდა. ერთთავად ცივი და საამო სასმელი იყო.

— დაილოცოს ღარია, — იტყოდა ხოლმე დატობაბა, — ცივია, საამო და ანკარა.

დაიხრებოდა წყაროსთან, პეშვს აივსებდა მაცოცხლებელი წყლით, შეისხამდა სახეზე, გაგრილდებოდა და ისევ წამოიწყებდა:

— ეჰ, ნეტა ერთი ამისი ტოტი გაღმა სკოლის ეზოში მიმაყვანინა. გაიხარებდნენ, ნამდვილად გაიხარებდნენ წყურვილით გათანგული პატარები.

ზაფხულის პირი იყო.

დატობაბა წინა დღით ქალაქში წავიდა მექი ბიძიას სანახავად.

დედულია დილით ადრე ადგა. ტაბლის გარშემო დასხა გოგოები. რძით სავსე ჯამებთან ერთად ახლად გამომცხვარი „ჭვიშტარი" ჩამოურიგა.

— იწვიმა წუხელ, შვილებო. მდინარე თუ სავსე დაგხვდათ, არ გაბედოთ გასვლა, უკან გამობრუნდით, — დაარიგა დედამ შვილები.

ცივი მოდიდებული იყო. წყალს წაეღო მდინარეზე გადებული ძელი. უფროსმა გოგონებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, ფეხსაცმელები გაიძრეს და ხელების ქნევით გატოპეს გაღმა. გამოღმა დარჩენილი გუგულია სევდიანად გასცქეროდა უფროს დებს.

— კოჩობა! კოჩობა! — დასჭექეს გოგოებმა.

გაღმა მცხოვრები ბიძაშვილი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. სამუშაო მიატოვა, მდინარესთან მოირბინა, შარვალი აიკაპიწა, მარდად გავიდა ფონს, ზურგზე აიტატა ციცქნა გუგულია და მშვიდობით გაიყვანა ნაპირზე.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დაიზარდნენ დატობაბას გოგოები. დათხოვდნენ. თავიანთი კერიები დაანთეს.

კოჩობა, ობლობაში გაზრდილი, ტანმაღალი, ბრგე ბიჭი — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში გაეშურა.

იმარჯვა სწავლას მოწყურებულმა. წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი. მთებს და მინდვრებს მიაშურა. მიწის გულში ჩაწვდომა, მადნეულის ძიება და მოპოვება დაიწყო...

მდინარეში აკაპიწებული შარვლით, მხარზე ატატებული პატარა ბიძაშვილით მიმავალი კოჩობა დღეს პატივცემული მიხეილ აფაქიძეა. იგი ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მმართველია. ხალხის რჩეული, ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობს.

ძირი, მამაპაპისეული ფუძე და ძირი არ დაუკარგავს მიხეილს. იგი ხშირად ჩადის მშობლიურ სოფელში. ხვდება მოყვრებს, მოკეთეებს, მეზობლებს. ცდილობს, რითიც შეუძლია, შემწეობა გაუწიოს სოფელს.

იმ დღესაც სიკეთეზე ფიქრით ჩამოვიდა მიხეილ აფაქიძე სოფელში. დასხდნენ. დიდხანს საუბრობდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე გვასალია, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნიკო მირგატია და მიხეილ აფაქიძე.

მეორე დღეს მათ მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოიკრიბეს და მიწას დაჰკრეს ბარი.

გაიჭრა ფერდობი. ჩაღრმავდა და გაგრძელდა ორმოები. საგულდაგულოდ ამოთხრილ მიწაში, მისდგნენ, წყაროდან სოფლის ცენტრამდე მილები ჩაყარეს. სკოლის ეზოში მალე გულისგასახარებლად აჩქეფდა მაცოცხლებელი მთის ანკარა წყაროს წყალი.

ცივზე ხიდის გადებასაც მოევლება. ეს კი არა, ცხაკაიას საბაგირო გზის მშენებლობასაც უნდა დავეხმაროთო, ამბობს მიხეილ აფაქიძე და ქალაქის ჩრდილოეთით აღმართულ მთა-პარკს გასცქერის.

წყაროსავით უშრობია მიხეილ აფაქიძის სიტყვა და საქმე. ნურც დამშრალა იგი!

# მგზნებარე ხელოვანი



მას ყველგან იცნობენ, ყველგან სიყვარულსა და პატივს მიაგებენ მუსიკოსები, მუსიკისმოყვარულნი, ფართო საზოგადოებრიობა. ჩვენი ქვეყნის ყველა მხარე, საზღვარგარეთი მოიარა ჭეშმარიტი ნიჭით მადლცხებულმა მისმა ქმნილებებმა. ვის დაავიწყდება საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატის, კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ ტრიუმფული სვლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ანდა მისი სავიოლინო და საფორტეპიანო კონცერტების, სიმფონიების, რომანსების, „მონოლოგებისა“ და „ფრესკების“, „გორული პოემის“, გუნდების, საფორტეპიანო პიესებისა და სხვა ნაწარმოებთა ესოდენ დიდი წარმატება!

ალექსი მაჭავარიანის მუსიკას მუდამ მქუხარე ტაშით აცილდოებენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მგზნებარე ხელოვანის შემოქმედებამ კარგა ხანია საქვეყნო აღიარება ჰპოვა და საერთაშორისო ავტორიტეტი დაიმკვიდრა.

დიახ, დიდია ალექსი მაჭავარიანის მუსიკის ძალა, მისი ზემოქმედების უნარი, დიდია მისი პიროვნების ძალაც. კომპოზიტორის მუსიკასთან ყოველი ახალი შეხვედრა უკვე თავისებური ზეიმია, მის პიროვნებასთან გაცნობა კი — ჭეშმარიტი სიხარული.

ნიკო ნიკოლაძის ქუჩა № 1. აქ ცხოვრობს და შემოქმედებითი გზნებით იღვწვის სასიქადულო ხელოვანი. აქ, ამ შენობის კედლებში, ვინ მოთვლის, რამდენი ლამაზი მელოდია დაბადებულა, აფრენილა და ხალხის გულისკენ გაუკვალავს გზა!

აქ ყველაფერი მუსიკით სუნთქავს. კედლებიდან კომპოზიტორის მშობლებისა და მეგობრების — ცნობილი მუსიკოსების ფოტოები გვიმზერენ; კედლებზევე გაკრული აფიშები კი უტყუარი მოწმენი გამხდარან ხელოვანის შემოქმედებითი თუ საავტორო კონცერტებისა, მის ქმნილებათა სცენური სიცოცხლისა.

როცა არ უნდა მიხვიდეთ, ყოველთვის საქმიანობს — უკრავს, თხზავს, წერს, კითხულობს; ფუტკარივით მშრომელია, დაუღალავი, საოცრად ენერგიული, ხალისიანი, სტუმართმოყვარე, ტკბილმოუბარი.

ამოუწურავია ა. მაჭავარიანის მუსიკა. მისი პიროვნება კი საუკეთესო მაგალითია კეთილშობილების, სიწმინდის, სიკეთის, ადამიანური ღირსებების და უდიდესი ნიჭიერების შერწყმისა. ა. მაჭავარიანის მუსიკის ყოველი ახალი მოსმენისას შეიგრძნობთ ახალ სილამაზეს, ივსებით ხალისითა და ენერგიით, თითქოს ყველა და ყველაფერი ლამაზია, კეთილი, წმინდა; ლამაზია ის საქმეც, რომელსაც ემსახურები.

„არიან ადამიანები, რომელთაც შუბლზე აწერიათ რანი არიან ისინი, — წერდა აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი, — ალიკოს ნამდვილად შუბლზე აწერია, რა სულის ადამიანია იგი, როგორია მისი შინაგანი ბუნება. ახდილი და გაშლილი შუბლი, ცისფერი, სიმშვიდით, ღიმილით და ხალისით აღსავსე თვალები; საიდანაც ხასიათის სიმტკიცე და ნებისყოფა გამოსჭვივის. უაღრესად კეთილი და ვაჟკაცური, სასიამოვნო ტემბრის ხავერდოვანი ხმა — გამოკვეთილი დიქციით, დინჯი გამოთქმით. საუბარი ძარღვიანი, ხალისიანი, სიცილი — სანდომიანი, ქცევა — დარბაისლური, თავად უშუალო და გულუბრყვილო. ეს ყოველი ნათელს ჰფენს მისი პიროვნების საერთო სახეს, ზნეს, თვისებას. ჩემი აზრით, მის მუსიკაშიც არის ეს საოცრად მომხიბვლელი, ცხოველმყოფელი, ღრმა, ხალისით და მჩქეფარე ტემპერამენტით სავსე შინაგანი იმპულსი, რომელიც აიძულებს მსმენელს გულდასმით, ყურადღებით გაჰყვეს მისი მუსიკის სვლას და დინებას...“

ესპანელი კომპოზიტორი კარლოს პალასიო კი შემდეგს აღნიშნავს: „ალექსი მაჭავარიანი საშუალო ტანისაა, მხრებგანიერი. თვალები მუქი ცისფერი აქვს, ესპანური ცის მსგავსი. მათში იგრძნობა კეთილშობილება, სისადავე და კრძალვა. ესოდენ დამახასიათებელი ალალი, უანგარო, გულღია, სუფთა გულის ადამიანისათვის. ლაპარაკის დროს იგი გამუდმებით უყურებს მოსაუბრეს, თითქოს სურს მის სახეზე ამოიკითხოს გრძნობათა ყოველგვარი ნიუანსი, უკეთესად შეიცნოს იგი.

ა. მაჭავარიანი არაჩვეულებრივად სტუმართმოყვარეა, ენაწყლიანი. ესპანეთში არ მეგულება ადამიანი, რომელიც მისებრ გულითადად და სიტყვაკაზმულად იტყოდა სადღეგრძელოს. რამდენი სიყვარული, რამდენი სიმპათია აქვს მას ადამიანებისადმი!

ადამიანი და ხელოვანი განუყოფელია მასში და მტკიცედაა დაკავშირებული თავის სამშობლოსთან, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებასთან... დღეს საქართველო დაბეჯითებით, რწმენით შეჰყურებს მომავალს — მისი ცხოვრების საფუძველი ხომ თავისუფალი შემოქმედებითი შრომაა და სულიერი სიმდიდრე ისეთი ადამიანებისა, როგორიცაა ალექსი მაჭავარიანი — უძველესი ქართული კეთილშობილური მიწის კეთილშობილი შვილი...“

ა. მაჭავარიანის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები 40-იანი წლების დასასრულს უკავშირდება. მანამდე კი გორში გატარებული ბავშვობის წლები, თბილისის კონსერვატორიაში პროფესიული დაოსტატების ხანა... ზ. ფალიაშვილისა და დ. არაყიშვილის მუსიკით გატაცება, ლენინგრადელ პროფესორ პეტრე რიაზანოვთან მიღებული გაკვეთილები... კომპოზიციის საიდუმლოების შესწავლა, პირველი შემოქმედებითი წარმატებები...

„მრავალმა წელმა განვლო, რაც მშობლიური გორიდან წამოვედი, — იგონებს კომპოზიტორი, — ამ ხნის მანძილზე მრავალი ქვეყანა შემოვიარე, გავიცანი მრავალი ერის წარმომადგენელი თავისი ზნით, ჩვეულებებით; მრავალჯერ ვიგემე შემოქმედებითი შრომის დიდი სიხარული, მაგრამ ისეთი ძლიერი შთაგონებისა და შთაბეჭდილებების ძალა, როგორიც გორში მივიღე ბავშვობისა და ყრმობის პერიოდში, ჩემს გორში, ოჯახში, მეგობრებთან ურთიერთობაში, აღარსად არ მიმიღია.

საოცრად ლამაზი, მრავალფეროვანი, მდიდარი და ჯანმრთელი, რომანტიკული მგზნებარებით აღსავსე იყო ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე, გორი, გორის ციხე, გორიჯვარი, „ახალი ბაღი“, ლიახვისა და მტკვრის შესართავი, მტკვრის მორევებში ცურვისა და ყვინთვის ოსტატობის ათვისება, ლიახვის უსწრაფეს ტალღებში ტივტივი, ქვიშაზე მეგობარ ბიჭებთან შაირობაში შეჯიბრი, ქართული ჭიდაობის ილეთების შესწავლა; სკოლაში ლექსების შეთხზვაში კონკურსების საოცრად საინტერესო საათები... უფლისციხე... ამ საიდუმლოებით მოცული კლდის ქალაქის დარბაზებში ფიქრი, ოცნება, ჭვრეტა და განცდა... ატენი, სამთავისი, მცხეთა, ჯვარი, ზედაზენი, ქვათახევი...

კალოობა... ეს ხომ საოცარი რომანტიკაა!.. ხილის კრეფა, რთველი, საწნახელში ყურძნის წურვა, ქვევრში მაჭრის ჩუხჩუხი, სიმღერები — „ყურძნის წვენო“, „მრავალჟამიერ“, „შევსვათ წითელი“... დაუსრულებელი რიგი საოცრად ლამაზი, საოცრად ამაღლებული, სუფთა და ჯანმრთელი მრავალხმიანი სიმღერებისა.

ფანტასტიკური სილამაზით იყო სავსე ჩემი ბავშვობა-ყრმობა: გორი-ცხინვალი, მთელი ქართლი გახდა უშრეტი წყარო ჩემი ახალგაზრდული შთაგონებისა, შთაბეჭდილებებისა, ფიქრებისა, ოცნებებისა“.

ა. მაჭავარიანის ტალანტი შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე ყველასთვის ნათელი გახდა; კომპოზიტორის პირველმა ნაწარმოებმა „ხორუმმა“ ცხადყო, რომ მისი სახით ქართულ მუსიკას ახალი დიდი ძალა მოევლინა, რომელიც თავის სიტყვას იტყოდა ქართული მუსიკისა და საერთოდ, ეროვნული კულტურის აყვავების საქმეში.

ა. მაჭავარიანის შემოქმედებას ახალ გრძნობათა, ახალ ემოციათა სამყაროში შევყავართ, მან ახლებურად აამღერა ინტონაცია, მის შემოქმედებაში ქართულმა მრავალხმიანობამ ლოგიკური განვითარება ჰპოვა. კომპოზიტორი ღრმად, ძირფესვიანად ჩასწვდა თავის გმირთა სულიერ სამყაროს, მათ მხატვრულ სახეებს.

მაჭავარიანის შემოქმედება — ეს არის სარკე მისი პიროვნების სულიერი რაობი-

სა; მაჭავარიანის შემოქმედება და მისი პიროვნება ერთ მთლიანს წარმოადგენს, რომელშიც დიდი ადამიანური ღირსებები, პიროვნების მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობები იკითხება.

ა. მაჭავარიანი შემოქმედი-ნოვატორია. იგი ნოვატორული სიახლეებითა და შედევრებით ამდიდრებს ქართულ მუსიკას. მაჭავარიანის ქმნილებათა მნიშვნელობა სცილდება ეროვნული მუსიკის ფარგლებს და საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. ამის საწინდარი კი ისაა, რომ მან მაღალნიჭიერულად განაზოგადა ეროვნული, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის მიღწევები, უზადოდ შეურწყა ტრადიცია და ნოვატორობა ურთიერთს და საერთაშორისო ჟღერადობამდე აიყვანა. მაჭავარიანის შემოქმედებაში ერთნაირი ძალით, მაღალნიჭიერულად აჟღერდა განსხვავებული სახეები — ქართველი არსენა მარაბდელი, გიორგი კუჭატნელი თუ მავრი ოტელო, იტალიელი დეზდემონა, დანიის პრინცი, ქართვლის დედა, ნესტანი, ტარიელი... მაჭავარიანის მუსიკა აღსავსეა გრძნობით, აზრით, ემოციით, ნებისყოფით, სწრაფვით, უშუალობით, ოპტიმიზმით, ადამიანისადმი უდიდესი სიყვარულით. და ყოველივე ეს მის ნაწარმოებთა პირველსავე ტაქტებში იგრძნობა, რომელიც ელვის სისწრაფით იპყრობს მსმენელს და „აიძულებს“ ბოლომდე გაჰყვეს მის დინებას, სრულად ჩასწვდეს მის საიდუმლოებას, ეზიაროს სილამაზესა და მშვენიერებას. ამიტომ გააჩნია მაჭავარიანის მუსიკას შთაგონების დიდი ძალა, ამიტომ უძლებენ მისი ნაწარმოებები დროს. კომპოზიტორის მიერ ჯერ კიდევ 1938 წელს შექმნილი პირველი საფორტეპიანო პიესა „ხორუმი“ ისევე საინტერესოდ და ახლებურად ჟღერს დღესაც, როგორც 40 წლის წინათ. იგივე ითქმის ხელოვანის სხვა ქმნილებების მიმართ.

ა. მაჭავარიანის ახალ ნაწარმოებთა შესრულება ყოველთვის დიდ მოვლენად იქცევა ხოლმე ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში. აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბალეტი „ოტელო“, რისთვისაც კომპოზიტორი მილანის ბრაიდენზეს ხელოვნების გალერეის ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა; სავიოლინო კონცერტისათვის — სახელმწიფო პრემია მიენიჭა, „ხუთი მონოლოგისთვის“ კი — შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

ალექსი მაჭავარიანის პოეტური, ზეაწეული, ცეცხლოვანი მგზნებარებითა და მელოდიური ელვარებით აღსავსე თანამედროვე ჟღერადობის ნაწარმოებები კარგა ხანია გულით შეიყვარა ხალხმა და ეს იმიტომ, რომ მის მუსიკას ყოველთვის ახლავს თავისებური ფილოსოფია — ჩაუნერგოს ადამიანს სიცოცხლის, სილამაზის რწმენა, [illegible] ძალა, [illegible] თის უკვდავების მარადიულობა. ამ დიდ ადამიანურ ღირსებებს შესანიშნავად განასახიერებს თვით მაჭავარიანის პიროვნებაც, პიროვნება, რომელსაც ბუნებამ ერთად დააბერტყა თავისი ბარაქიანი კალთა — იყოს ბრწყინვალე მუსიკოსი და პოეტი, დიდბუნებოვანი ადამიანი და მოქალაქე, შესანიშნავი პედაგოგი-აღმზრდელი, პატრიოტი, დიდი მამულიშვილი.

**ეთერ ლონდარიძე,**
მუსიკათმცოდნე.



# ივანე თარბა



ივანე თარბას პოეზია მრავალფეროვანია, როგორც განცდებით, ისე თემატიკითაც. მისი შემოქმედება თანამედროვეობის სულითაა გამთბარი, გვაგრძნობინებს დღევანდელობის სიდიადეს, მომავლის ნათელ კონტურებს. პოეტი ყველგან გვიდასტურებს, რომ დიდი საბჭოთა პოეზიის მაგისტრალს მიჰყვება, შემოქმედებითად ითვისებს როგორც რუსული, ისე ქართული ლიტერატურის საუკეთესო მიღწევებს. ეს რემინისცენციები კი არ არის, მაჯისცემის გრძნობაა მხოლოდ. უმთავრესი ღირსება თარბას პოეზიისა კი უეჭველად ისაა, რომ მისი ლექსებიდან მზიური აფხაზეთი გვეცქერის, ჩვენი თანამედროვეობა [illegible] [illegible] სახით, როგორც სრულიად ახალი, ხოლო მომავალში კიდევ უფრო მშვენიერი სამყაროს შემქმნელი.

თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით ივანე თარბამ არა მარტო აფხაზურ ლიტერატურაში დაიკავა უაღრესად თვალსაჩინო ადგილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანე თარბა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა, რომელმაც ბევრი გააკეთა ახალი მხატვრული ცნობიერების დამკვიდრებისათვის და, უეჭველია, კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაამდიდრებს მშობლიური მწერლობის საგანძურს.

ივანე თარბას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. სულითა და გულით მივესალმებით ჩვენს დიდ მეგობარს, მრავალ ახალ შემოქმედებით სიხარულს ვუსურვებთ მას.

**გიორგი ჯიბლაძე,**
აკადემიკოსი.

## ვახტანგ ხარჩილავა

### ვ ე დ რ ე ბ ა

თავდავიწყების და ალტაცების
დროვ, არ დამთავრდე დროო, გაგრძელდი,
და მაპოვნინე, სანამ დავცხრები,
სანამ დანყდება გულის ძარღვები.
არ დამანყნარო, არ დამამშვიდო,
არ დამაძინო მშვიდი სიზმრებით.
შენი ქარ-ნვიმით სანამ დამშლიდე,
სანამ გავქრები და მივიქცევი,
არ დამიკარგო ჩემი სიმართლე,
სულსა და სახეს ნულარ შემიცვლი.
შემისისხლხორცე და მიმიმატე
და მამსახურე შენი ცრემლისთვის.
იქ გამიშალე ბოლოს სანოლი,
ნარსული ჩემი სადაც ბინადრობს,
აქ ერთხელ მოსვლით ისე მაცხოვრე,
სხვა ცხოვრება რომ აღარ ვინატრო.
ჩემს ერს უმრავლე ძმა, მეგობარი,
ნუ დაუმუქებ დილას ბინდივით.
მამულისათვის ისე მომკალი,
რომ არ შემშურდეს სხვისი სიკვდილი.
შენი მზითა და მთვარით ალმანთე,
სანამდე ვცოცხლობ და ნინ მივინევ,
ეს შემისრულე, მერე გამაგდე,
დროო, შენგან და გადამივინყე.

* * *

მე თქვენ მიყვარდით!
ა. პუშკინი.

მე თქვენ მიყვარდით! ახლა როდესაც
აღარ მიყვარხართ, ეს უნდა გითხრათ.
ხომ უნდა მეთქვა თქვენთვის ოდესმე
ძნელად სათქმელი ეს სამი სიტყვა.
„მე თქვენ მიყვარდით“, — ოდესღაც ნიგნში
ჩამჭკნარი სამი ყვავილი მინდვრის,
ვიცი, რომ ახლა არაფერს ნიშნავს
დიდი ხნის შემდეგ ნათქვამი რიდით.
ძალდატანებით ვსაუბრობთ მაინც,
ბოლოდროინდელ ჩემს ლექსებს მიქებთ.
მე სამოცდარვის გახსენებთ მაისს,
თქვენ შემოდგომის იგონებთ კიკეთს.
ჩვენ ბედს თავისი გზებით მივყავდით,
არც მახსოვს, მაშინ სად გავიყარეთ,
რად გეუბნებით: „მე თქვენ მიყვარდით“,
დღეს, როცა უკვე გადაგვიყვარეთ.
რად მოხდა ასე? ასე მალულად
იმ ნათელს ღამეს რატომ ვუთევდი,
თქვენც გენანებათ ის სიყვარული,
ის სამი სიტყვა თქვენთვის უთქმელი?
თუ ასე იყო, არ თქვათ უარი,
ისეც ბევრია ძველი დარდები.
ან მაშინათვე გითხრათ თუ არა,
თუ ხელმეორედ შემიყვარდებით.

* * *

შენ რადგან ნვიმა გიყვარს,
მეც ნვიმად უნდა ვიქცე,
შენ რადგან ქარი გიყვარს,
მეც ქარად უნდა ვიქცე.
მე, ნვიმამ, შენთვის მოვხიო
ცისფერი კალთა ნისლებს,
მე, ქარმა, მკლავი მოგხვიო
და გაგიტაცო ცისკენ.

### შეგონება სახლში ჩაკეტილი ქალისთვის

გარეთ გამოდი, გუგუნს გასნავლის
ქარი — ნაჩვევი ლამეს და ნყვდიადს,
ტირილს გასნავლის ის მანანნალა,
თვალცრემლიანი ნოემბრის ნვიმა.
გარეთ გამოდი, სადაც მზე ინვის
და შეერიე დედაბუნებას,
და გლოვის ნიჭიც, სიმღერის ნიჭიც,
სიცოცხლის ნიჭიც დაგიბრუნდება!

„დროშის" კონკურსში გამარჯვებული

# არ ნაშალო!

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი.

ავთანდილ გალდავაძე

დილალამიანად, მცხრალი, კაუჭა მთვარე რომ მიილია, თავშეუკრავი ფარეხიდან ფარა გამოლალა, დაურიალა და ყორულში გაშალა, ფათერაკს არსაიდან პირი არ უჩანდა.

მარტო იყო დღეს გოგალე, სამი ყურდაჭრილი ნაგაზის ამარა. მეწყვილემ, ძია ანდრომ, თავნიერმა, დამჯდარმა კაცმა, ცხენმაზიდი გამოამზადა, ორი ბოლვერა გაიყოლა და წვრილმანი საყიდლებისთვის ბარე ორი დღის სავალზე, დასახლებისკენ გასწია. ამ დასახლების აქეთ არც დაბა იყო, არც სოფელი, არც თემი და, რა თქმა უნდა, არც სავაჭრო ნერტი.

ჩვეულებრივი, სუსხნაკრავი, კოჭებამდე თოვლში ჩაფლული თებერვალი იდგა შირვანში.

მარჯვნივ, ცხვრის ერთ მუქარა გასალალავზე, შავად მოლაპლაპე მტკვარი დუდუნით მიიზლაზნებოდა, კასპიისკენ მიუყვებოდა და ცისა და ქვეყნის ალიან-ჩალიანს უყვებოდა ცისკიდურიდან ცისკიდურამდე გადაჭიმულ ჭალა-მინდვრებს.

დროდადრო თხელი ფომფოში ნამოიზეზევდებოდა, დროდადრო დოსავით შედედებული ჯანღი, დროდადრო კიდევ აშარი ქარი წამოუბერავდა, ხორხოშელა, ხოშორ თოვლს წამოყრიდა და მეთოვლიების ბოინს წამოაფარფატებდა.

განერბილი, თვეში ჩამდგარი, აგერ-აგერ დასადოლებელი ცია ცხვარი ქსიტინით, ხუხვნითა და ხოხოვნა-კორტნით შეეფინა მლაშე ლიხს-ავშანს, ბატიფეხას, ვაცინვერას, კაპეტს, კლანჭას, უროს, ყარლანსა და ხურხუმოს.

ფარას აქა-იქ, იდუმალად გადევნილი ნერბების (ვაი, სირცხვილო!) ცოდვის შვილები, ბიჭა ბატკნები შერეოდნენ, კუნტრუშობდნენ და ფიფქის კორიანტელს აყენებდნენ.

გოგალემ ნაგომრალში ატეხილი ხმელი ჩარანი, ჩალა და ლერწამი დატეხა, ერთ ადგილზე მოზიდა,ააჩხორვა, ცეცხლი წაუკიდა, ალი ააბურბურა. ორსართულიანი გუდა მოიხსნა, გაზელილი ხალი და გადაზელილი კალტი ამოალაგა და ჭამად დაჯდა.

მადიანად იყმინდებოდა და დედის რძესავით ირგებდა ხალისა და კალტის ყუათს.

ქარი უბერავდა, ალი ბუქნაობდა, თოვლი წრიულად ლხვებოდა.

გოგალე სტვენითა და ჩოხ-ჩოხის ძახილით ცხვარს ეხმიანებოდა და კოცონის ირგვლივ ლუკმის ლეჭვა-ლეჭვით ადგილს ინაცვლებდა.

ადგილს ინაცვლებდა, კისერში ჩაცვენილ ხოშკაკალას სახოცით იმშრალებდა, თვალებზე ხელის ზურგს იფარებდა და ტიტველ, ალუბლისფერ სახეზე ალის ტალღა და ღიმილის ღელვა უთამაშებდა.

...არადა სამი წელი, თუ კიდევ მეტი, როგორ ფუჭად იტეხა თავი სიყვარულის ახსნა-გამხელაზე. მთელი დღეები ელიჯინებოდა თავის თანაკლასელს, თამრიკოს, ერთი წამით სკოლის მავან კუნჭულში გამოდიო. რის ხვეწნა-მუდარით დაიყაბულებდა და დიდ დასვენებაზე დაიმარტოხელებდა.

გეზად ახედავდა თვალმოჭუტული თამრიკო.

გოგალე ფეხს მოინაცვლებდა, ხელებს მოიფშვნეტდა, ირგვლივ მიმოიხედავდა და როდის-როდის პირში ენას მოაბრუნებდა:

— ერთი სათქმელი მაქვს თამრიკო, შენთან...

— რა სათქმელი გაგიჩნდა, გოგალე?

— იმის თქმა მინდა, თამრიკო, რომა...

— რისი თქმა გინდა, გოგალე, რომა?

და გოგალეს მეტყველების ნიჭი წაერთმეოდა, გაშტერებულ თვალებს შხვართ ფეხებზე დააყრიდა მოპაემნეს და კრინტს ვერ ძრავდა.

ყურებაძგიბული თამრიკო რამდენიმე წამს დაელოდებოდა, ჭცმუკდებოდა, ენის წვერით ჩამარწყებულ ტუჩებს მოილოკავდა (თუ მოაჯეს გამოაჯავრებდა!) და საკლასო ოთახისკენ გაქუსლავდა.

კლასში ერთ მერხზე ისხდნენ.

გოგალე ხუთოსანი იყო, ხელი სულ აწეული ჰქონდა, ადგებოდა, მარცხენა მხარს შეატოკებდა, მასწავლებელს თვალს თვალში გაუყრიდა და სხაპასხუპით ჰყვებოდა გაკვეთილს.

„იქ რა დამბლა დაეცემა ენაზე?!" — გულში გაურბენდა გაგულისებულ თამრიკოს.

მომდევნო დღეებში ისევ თავიდან იწყებდა გოგალე.

დროს კი გაჩერება არა და არ ენერა.

და, ჰა და ჰა, სადაც იყო სკოლას დაამთავრებდნენ და ქეთოს მერცხალივით გაუფრინდებოდა კოკობი, თვალციმციმა, ცქრიალა თამრიკო.

ცქრიალა თამრიკო...

ალვისტანა თამრიკო რომ ალვანურს დაუვლიდა, ყველა მაცქერალს — ქალს, კაცს, დიდს, პატარას და არე-გარემოსაც კი ცმუკვა აიტანდა.

გამოსაშვები გამოცდები ჩამოდგა.

მწიფობაში შესულიყვნენ დამამთავრებელი კლასის მოწაფეები — გოგონებს გულმკერდი გამოკვეთოდათ, ვაჟებს პირსახეზე ღინღლი წამოშლოდათ.

საშუალო სკოლის დასასრული ყმაწვილკაცობის გზის გასაყარია — ვინ საით გაუტევს, ვინ — საით.

თამრიკო რას აპირებდა, გოგალემ არაფერი იცოდა. თავად კი გული ცხვრისკენ მიუწევდა. აცერილ-დაცერილი თუშეთი, ხიფათიან-ხარჯიანი გადასალალავ-გადმოსალალავი და ტრიალი, თვალუწვდენელი საზამთრო საძოვრები აკვნიდანვე ფიქრიან-ოცნებიანი ყმაწვილის ტრფიალი გახლდათ.

სიყვარულის ახსნა-განცხადება კი გაქირზე გამდგარიყო და ერთ ადგილს ტკეპნიდა.

და იყო ზარდამცემი შიში ეშხიანი და შახიანი თამრიკოს ხელიდან გაფრენისა.

კარზე მომდგარი პირველი გამოცდის წინ თამრიკომ გოგალეს ქართული ენის გრამატიკის კონსპექტი სთხოვა. ყმაწვილმა ფრენით შეუსრულა სურვილი და ბოლო გვერდამდე ჩანაწერებით ჩაწიკწიკებული საერთო რვეული გადასცა.

თვალი არ მოულულავს იმ ღამეს გოგალეს.

დილით, შეთანხმებულებივით, პირველნი მივიდნენ სკოლაში.

თამრიკო მაღალქუსლიან ქოშებზე შემდგარიყო, ქიშმირის პლისე ქვედატანზე მოკლესახელოებიანი, ქარქარა კოფთა ეცვა, გიშერი, ატალღებული თმა თეთრი ბაბთით შეეკრა.

გოგალეს გული გაელია. „გასაფრენად მომზადებულა", — გაიფიქრა მან; მაგრამ რის ვაი-ვაგლახით ღონე მოიკრიბა, შუბლი გაიტეხა და ერთხელ კიდევ სცადა ბედი:

— ერთი სათქმელი მაქვს, თამრიკო, შენთან...

— რა სათქმელი გაგიჩნდა, გოგალე? — გაინაბა გოგო.

— იმის თქმა მინდა, თამრიკო, რომა...

— ო, მომკლა ამ იწილო-ბიწილომ, აჰა შენი კონსპექტი! — იღლიიდან ფიცხლად გამოილო რვეული, ხელში შეაჩეჩა, ზურგი უბრუნა და ხალებით აფორაჯებული სპეკალი კეფა შეაქცია.

მინა გაუსკდა გოგალეს, გუნება ჩაუშხამდა, თავი ჩაჰკიდა.

თავი ჩაჰკიდა და ანაზდად რვეულს დააცქერდა: „ქართული ენის გრამატიკის კონსპექტი გოგალე ყიზილაშვილისა თამრიკო".

სახტად დარჩა, თავი ასწია, გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

— თამრიკო!

ქალიშვილი მყის მოტრიალდა, თაფლა თვალები შეანათა.

— შენ დაწერე?!

— მე!

— კი მაგრამ...

— ნავშალო?! — ალმური აუვარდა სახეზე, საწერ-კალამი ჩაბღუჯა, რვეულს წაეტანა.

— არ ნაშალო! — ხაფი ხმით დაიყვირა, ცალი ხელი მაჯაში უტაცა, ხოლო მეორეთი რვეული უკან გააქანა.

ამ დაყვირებაში ბრძანებაც იყო, მუდარაც და ჩოქზე დგომაც.

* * *

უსაშველოდ შორი მანძილია შირვანსა და ალვანს შორის. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ



თითო ბარათი წავიდ-წამოვიდა აქეთ-იქით.

„მე შოთა ლაგაზიძის ფერმაში ვარ, მენდნენ და ძია ანდროსთან ერთად სანამ დოლი დაიძვრებოდეს — დოლის დროს კაცს დაგვიმატებენ — ერთი ფარა ჩაგვაბარეს. ნაფრონტალი ძია ანდრო მოხუციცაა და პენსიონერიც, მაგრამ კავს ვერა და ვერ შეელია. მეტისმეტი შეჩვევა იცის ამ ტიალმა ბლავანამ და თვალწარმტაცმა გარემომ. შენ რასა იქმ? გამოცდებზე, მგონი, ბედი მოგისინჯავს? იცოდე, საეგებიო სტუდენტების სალაყბოზე თვალი არ გაგექცეს და სული არ დაიმძიმო. მელოდე, ცხვარს გამოვაზამთრებ და... გკოცნი უამრავს, შენი გოგალე“, — წერდა ახალბედა მეცხვარე.

„საეგებიო სტუდენტების თაობაზე მიეთმოეთებს თავი დაანებე. ჟურნალისტის სპეციალობა მქონდა გულში ამოჭრილი. გამოცდებზე, ოთხი ნელი შენი „სათქმელის“ მომლოდინე, რა თქმა უნდა, ჩავფლავდი. სულაც არ ვჯავრობ. ახლა ნაზო პეტრიაშვილის ბრიგადაში ვმუშაობ. ხელფასი და პრემია იმდენი გვაქვს, რომ ასოცმანეთიანი პენსიის მაძიებლები: რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები, ტელე და რადიოკომენტატორები, ქალაქური ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლები და სხვანი და სხვანი ფეტრის ფართოფარფლებიან შლაპის მაგივრად თუშურ ქუდს დაიკოსებენ და ბლატით, ყელის ღლეტითა და მუხლებზე დგომით მოდიან ნაზოსთან ღამის ყარაულად, ჯერის ჩამომრიგებლად ანდა, სულაც, ქუბების გამბალახებლად გვამუშავეთო. გელოდები... გამოზამთრებულს. შენი თამრიკო“, — პასუხს უბრუნებდა ნაინანატრი.

— ეჰეი, რა საპატარძლო ჰყავს გოგალეს!

ამ ზამთარს ცხვარ-ბატკანს უხარჯოდ გამოატარებს, საზაფხულო საძოვრებზე გაარეკავს, შევბულებას აილებს, მამაპაპურად შეკაზმავს შავრას, კისერზე წითელ ბაბთას შემოახვევს, ზედ მოპატიჟებს შესვამს, მოყვარე-მოკეთეებსა და ზემო-ქვემო ალვანების ასარბასარებს შეაქუჩებს და ფარსაგ ქორწილს გააჩაღებს. იქნება თამადის — თედო აბაშიძის ენამზეობა, ნედლი უღლის ლოცვა-კურთხევა, ჯიხვისა და ყანწის ტრიალი, გარმონის კვრა, „რა ლამაზი ხარ, თუშეთოს“ სიმღერა და ალვანური ცეცხლოვანი ცეკვა.

მოჰყვებიან ანეგდოტებს, თვალდაკრულსა და ყურმოკრულს.

და აუცილებლად გაიხსენებენ იმ ერთი ვეტექიმის მოარულ ამბავს.

...სტუდენტმა თბილისური ამბები ჩამოათავა, ვეტექიმის დიპლომი ცელოფანში გაახვია, ჯიბეში ჩაიდო და ქალაქელი, სალუქი, ოპერის მომღერალი რძალი მიჰგვარა დედმამას. არა მშვენება და არა სილამაზე მას არ აკლდა, ჩვენებურიც არ იყო ურიგო იერსახისა და ერთად რომ დადგებოდნენ, უკეთეს წყვილს ვერავინ ინატრებდა. ცით მადლცხებული მგალობლის საქმარეულოს როიალი არ ედგა სახლში, თუშური გარმონის აკომპანემენტზე დიახაც თავს იკავებდა, მაგრამ თუ ძალიან დაახათრებდნენ, პოზას დაიჭერდა და დასტურ ნარნარად და ნაზად იმღერებდა.

სპეციალისტმა, სადაც ჯერ არს, განცხადება შეიტანა და განწესება — რაიონის მომთაბარე ვეტერინარად დანიშვნა — მიიღო. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ბეითალი: აქეთ მამაპაპური სამსახური აიჩინა და იქით საშუალება მიეცა გაგიჟებამდე მისული საწადელი აუსრულოს ცოლიკოს: ანახოს ლალ-ლამაზიანი, ქალწულებრივი, ლილოჭრელი თუშეთი და მისი, — ვითარცა ქრისტეს დაბადებამდე, ისევე ქრისტეს შობის შემდეგ — სიმდიდრე: უნიშნო, ცია ცხვარი და მისი სიამაყე — მუხლმოუღლელი მეცხვარე.

თელავის აეროდრომზე შვეულმფრენში ჩაჯდა, გვერდი პატარძლით დაიმშვენა და თუშეთში გადაფრინდა. მთაში მყოფთ გაგონილი ჰქონდათ ახალი მომთაბარე ბეითალი მოდის თავისი მზეთუნახავი მომღერალი მეუღლითო და, ვისაც მოცლა ჰქონდა, შეჯარებული შეხვდნენ.

არტისტი აეროდრომზე მიბრუნდმობრუნდა, მზერა დაუტკბო გარემომ, მეშვიდე ცაზე აიტაცა ხილულმა თუშეთმა და სიმღერის ხასიათზე დადგა. მაისის ბულბულივით ყელი მოიღერა, ხალხს ირიბად დაუდგა, ხელები გადაიჯვარა, თვალები დალულა და რამდენიმე სიმღერა იმღერა უცხოური ოპერებიდან თუ ოპერეტებიდან.. ბოლოს ქვეყანაში არ გამოგვეწყვიტა, მადლი მოილო და „დაისიდანაც“ შეასრულა ერთი პარტია.

ყინჩად იდგა საქონლის ექიმი, თვალი მოეჭუტა და ფეხს მოლზე ატყაპუნებდა.

მწყემსები მომთაბარე ვეტერინარს და მის პატარძალს პატივით, თავაზითა და ხელგაშლილად შეეგებნენ და სიპით ნაგებ და ყარტით დახურულ ბინაში შეიპატიჟეს. კედლის გასწვრივ ორკაპა გრჯლები იყო ჩარჭობილი, მასზე გარდიგარდმო წვრილი ლატნები ელაგა, ლატნებზე — ლასტი, ხოლო ლასტზე ნაბადი წაეფინათ. ყველა ამას მეხი ეწოდება და მეცხვარის განცხრომის, დასასვენებელი და დასაძინებელი ადგილი გახლავთ. მეხის ქვეშ — კეხ-ნაბდები, ხაკები, ბარდანები, უნაგირები, თოქალთოები და დურები ეყარა; ქოხის თავხეზე გუდები, ტიკჭორები, წოპიანი ქუდები, ცხვრის ტყავები, ბატკნის მაჟდოები, დურკები, ხანჯლები, თოფები, ქალამნები, საქალამნეები და ქაფქირები ეკიდა.

სტუმრები ბინაში შეიპატიჟეს, მეხზე დააბრძანეს და ტრაპეზი გაუშალეს; თავაზობდნენ ტყავზე მოზელილ და ნაცარში გამომცხვარ ხმიადს, მოხარშულ გორდილას, ხალის გუნდას, კალტის კვერს, კალს, ჩოგს, ჩობანყაურმას, სულადის არაყსა და სვილის ლუდს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე, მოპირდაპირე კედელთან, დეკის ცეცხლზე მწვადები იხუხებოდა და ქვაბში ხაშლამა თუხთუხებდა.

ალაგ-ალაგ ჩამდგარი ბუკვანი საამო საკმალს აკმევდა და ლიფლიფით აშუქებდა სუფრას, სუფრიონს, სუფრის გარშემოს.

მწყემსები და მომთაბარე ბეითალი ხელებდამკლავებულნი შეექცეოდნენ ჭამადსა და სასმელს.

დამშეული პატარძალი, უნებლიე ცრემლი რომ სდიოდა და ამოლურჯებული უპეები ეთხუპნებოდა, გაფოცებით იცქირებოდა, აზიზად ნიწკნიდა ჩოგს, ცხვირზე თეთრი ხელთათმანი აეფარებინა და ისე სუნთქავდა მიწური ქოხის ნესტიანბოლიან-შმორიან ჰაერს.

— შენს დიაც-სახლობას გაუმარჯოს, ერთგულად ენიოს შენი ჭაპანი, ემრავლებინოს თუშობა, ცხვარძროხის პატრონი! — ბეითალს ერთხელ კიდევ დაულოცეს მეუღლე ქეიფში შესულმა, საქციელით სავსე, სიტყვა-პასუხიანმა მეცხვარეებმა.

„დიაც-სახლობას“ ჟრუანტელმა დაუარა, ადგა, წელში მოხრით, ჭერს თავი არ ავკრაო, ქოხი გაიარა და გარეთ გაუტია.

ქალს ქმარი გამოუდგა.

გაოგნებულმა, შეჟივჟივებულმა მწყემსებმა მხრები აიჩეჩეს, ხელები დაიფერთხეს, მხრებზე ნაბდები წამოიგდეს და ბინიდან გაიხიზნეს; მიუხედავად ლხინობის ჩაშხამებისა, მაინც დიდსულოვნად დაუთმეს სადგომი სიძე-პატარძალს.

ვეტექიმმა ენა მოილალა საფერაო სიტყვებით, ხვეწნა-მუდარის კორიანტელი დააყენა, გული მოულბო უღელტოლს და ქოხში მოაბრუნა.

ბუკვნების ციალ-კიალი ჩამცხრალიყო, ნაბადგადაფარებული მეხი მოიკვლიეს, დურა წაიხურეს და დაწვნენ.

ქმარმა თავი დადო უნაგირის კეხზე, ერთი დაამთქნარა და უმალ დაშაქრული ფშვინვა ამოუშვა.

მთელი ღამე შამფურივით ტრიალებდა უჩვეულო საწოლზე ძილგამფრთხალი ქალაქელი სტუმარი.

დილით ლოგინიდან წამოდგნენ მწყემსურად ძილგამომცხვარი კაცი და ძილგატეხილი თანამესარეცლე.

წამოდგნენ და ბეითალს ხარხარი აუტყდა, მომღერალს — კანკალი და ისტერიკა: მეხზე წარამარა ტრიალში პატარძალს უწყინარი, მწვანე ხვლიკი გაესრისა თავით.

მოხარხარემ ხელი გრძელ კუდში წაავლო სუნდაკრულ ქვეწარმავალს და გარეთ უნდა მოესროლა, მეუღლემ დაასწრო და დამდუღრულივით გავარდა კარში.

კოკისპირულადასხამდა მერეხი. ტბორი დამდგარიყო ადგილ-ადგილ.

სიამით ხვრინავდნენ ნაბადში გახვეული, ცის ქვეშ დაგორებული მეცხვარეები.

ორი დღე-ღამე არ დაწოლილა, არ დამჯდარა, წვეთი წყალი არ დაულევია, ლუკმა პური არ უგემნია მგალობელს.

— წამიყვანე, წამიყვანე აქედან! — პირველად ემუდარებოდა ამაყი, გოროზი, თამამი ქალი ქმარს.

უამინდობა იყო, ცა ფეხით ჩამოდიოდა, შევეულმფრენი ვერ ფრენდა.

ცხენი შესთავაზეს — ტანში გასცრა, ხელები გაასავსავა.

ქვეითად ვცადოთო, მაგრამ ხახაჩაბნელებულ ხრამებს რომ ჩახედა, სიკვდილის ფერი დაედო და კინაღამ ჭკუაზე გადაქანდა.

სხვა რა ჯარა იყო, ცირცელის ძელებისგან ჯალამბარი გამოანყვეს, ზედ დაასვენეს თვალდახუჭული თუშების ქალაქელი რძალი და ციმციმ გადმოატარეს შიშველი ჭიუხ-ქარაფებითა და თოვლჩაკრისტალებული ღრანტე-უფსკრულებით მოხატულ-მოქარგული კავკასიონის უღელტეხილი.

გზადაგზა, მთის ფრთებზე აკიდებულ-ჩაკიდებულ ცალბილიკს გადაუჭრიდნენ უბელო, ლივლივით მოთამაშე ზერდაგებზე ამხედრებულნი, ვინ მთისკენ, და ვინ ბარისკენ პირმიბრუნებული, პირმომღიმარი, პირმნყაზარი თუში ქალები და დიაცები...

ნეფე-პატარძლის ამბავს ჩამოათავებს მთხრობელი, მაცდურად ჩაიღიმებს, ულვაშებზე ნახაშლამარ, გაპოხილ ხელს გადაისვამს და ახარხარდება ქორწილი...

...ღიმილი ტუჩებზე შეახმა გოგალეს, ფერადი ფიქრების ძაფი გაუწყდა. ჯიქურ დაეტაკა რაღაც უხილავი, ჭიტლაყი ამოარტყა და კინაღამ ცეცხლზე გადაამხო. ძალი მოიკრიბა, ნელში გაიმართა, ქუდი ჩამოიფხატა, ნაბადში გაეხვია, გუდა აიკიდა, კავი მოიმარჯვა, ძაღლებს დაუტია და ფარას დაეხმაურა:

— ვრრრეეე , ვრრრეეე, ჰო, ჰო, ჰო!..

ატყდა ქარაშოტი, ამოვარდა კოხპინწხალი, აგურგურდა ბუქი... მეხივით გრგვინავდა და მორევივით ტრიალებდა გრიგალი. თოვლსა და ფაშარ სილამინას ხვეტავდა, მაღლა იტაცებდა, კორიანტელს ამთაგორებდა. მერე უცებ შეეშვებოდა და ზათქით ზვინად დაახვავებდა. ნუთით სულს მოითქვამდა. ყინი კვლავინდებურად ნამოუვლიდა, ზვინს ნამოუტევდა, ისევ ისე ზეაპრონიალებდა და გულს რომ მოიჯერებდა, ახლა სხვა ფორმით და სხვა ადგილას დაანარცხებდა.

გლარჯა, ლიხი და კაჭახი ცახცახებდა, დრკებოდა, სნორდებოდა და მიყინული ხურხლი და ახალდადებული ყაპყი ებერტყებოდა.

ბობოქრობდა, ბორგავდა, ყმუოდა გაშმაგებული, მგლისფერი ირგვლივეთი.

თავჩახრილი, ყურებჩამოყრილი, შეჯელგებული ცხვარი დოლაბივით ტრიალებდა, ერთმანეთს ეფარებოდა, ეტმასნებოდა და სტომაქქვეშ უძვრებოდა.

ბარდნიდა, თოლიასოდენა ფანტელი ცვიოდა.

ქარტეხილი ნიოდა, სიოდა, გოგალეს ქუდს გლეჯდა, ნაბადს ხდიდა, გუდას ფერცხალში ცემდა.

მგლისა და აფთრის ხროვა ქანჩახიან ფშანებში შეყუჟულიყო და უმწეოდ ღმუოდა.

ძაღლები ნკმუტუნებდნენ, ფორთხიალობდნენ, იჩაჩხებოდნენ და კლანჭებით ფუჭად ებლაუჭებოდნენ მინის თეთრ საფარს.

ჯაგი, ჩირგვი და ქანჩახი თოვლმა გადაგლისა.

და იყო უნიშნო თეთრი სივრცე, თეთრი მისადევარი, თეთრი უსასრულობა.

და არ იყო არავითარი ნიშანსვეტი, გეში და გეზი.

ცხვარი ერთ ადგილზე ასე ფეხზე ყუდილს დიდხანს ვერ გაუძლებდა — ყინვა გათოშავდა, გათანგავდა და სულს გააცხებინებდა. და გოგალემ ძაღლები დაასაქმა, კავი დაატრიალა, თავსა და ბოლოში დაურბინა, დაურიალა და ფარა დაძრა.

ქარი დასავლეთიდან უბერავდა და ცხვარს, მეცხვარესა და ძაღლებს აღმოსავლეთით, კასპიისაკენ ერეკებოდა. კასპიის ზღვა ერთ ყოფაში იყო: აზავთებულ-ატალღებულ კალთებს აიკრეფდა, ზესკნელამდე აიყაყვებოდა, უფსკრულს გაიშიშვლებდა, ბათქით და დგაფუნით ჩამოშვავდებოდა, შხეფით ნუნავდა გარემოს და ყინულის ვარაყს იყენებდა.

ზღვა მძვინვარებდა, ზარავდა მზირალსა და გულს უგმირავდა გამგონელს.

ქარბუქი ფარას კასპიისაკენ ერეკებოდა... ცხვარს ამ უსასრულოდ თეთრ, მშიერ გარემოში შავად მღელვარე ზღვა მოლიან, მოლივლივე იალაღად ეჩვენებოდა და მისკენ მიიჩქაროდა, მიისწრაფვოდა, მიილტვოდა. და თუ სურვილს აისრულებდა და ზღვაში შეტოპავდა, მერე მოგჭამა ჭირი — შიგადაშიგ, ღრმად და ღრმად შევიდოდა საძოვრის საძებნად, სულ ერთიანად ჩაიძირებოდა, ჩაიხრჩობოდა და წყალში ჩაყრიდა ამოდენა სახალხო დოვლათს: ბატკან-ნაზარდს, მანიერ ხორცს, სნორუპოვარ მატყლს, უბადლო გუდის ყველს, საქურქე ტყავს...

ახლა მთავარია შიშმა არ აიტანოს გოგალე, არ დაიბნეს, თვალხმიერი იყოს, ძუ მგლის მუხლი გამოიბას. მთავარია ფარა ნოტო-ნოტო არ დაეფანტოს, ვაცი-ბელადი თავის ნებაზე არ მიუშვას, გეში შეუცვალოს, ცხვარი გაქაჩოს და ზღვის გარე-გარე ატაროს. და დაქროდა გოგალე წინ და უკან, ცხვრის წაპირ-ნაპირ, განუწყვეტლივ ეხმიანებოდა ფარასა და ქოფაკებს, ვაცს რქაში ეტანებოდა, გზას სტაცებდა ზღვისკენ სავალს ულობავდა და გეზად წარმართავდა.

ფარა ძუნძულით მოძრაობდა, გოგალე თავში ედგა, ძაღლები — ბოლოსა და გვერდებში.

სავალი ულევი იყო, დრო გაჩერებული: რიჟრაჟი არ იხედებოდა და მწუხრი, დილა არ დგებოდა და საღამო, დღე არ ჩამოდიოდა და ღამე.

ცხვარი გზადაგზა თოვლს ლოკავდა, ცოხნით კი არ იცოხნებოდა — სტომაქში არნატამალი არ გააჩნდა... და უჭმელობით შიმშილის ყარაო შეყროდა, — თვალი აჭრელებოდა და ვერარას ხედავდა.

გოგალემ რა ხანია გაფხეკილი გუდა მოისროლა, ძაღლებს მიუგდო საგლეჯად, შიმშილისაგან გული ეწრიტება და ყიოშ ლუკმას ნატრობს. ბოლვერებს ფერდები ჩაუცვივდათ, ფერცხლები და ლავიწები ამოეყუნტათ და სულლაფვით დაათრევდნენ მოსავებულ ფეხებს.

ნატარ-ნარბენი, დაქიმითებული ცხვარი ერთმანეთზე მიიწევდა, მატყლს აგლეჯდა, ჭამდა და ღეჭავდა...

მწყემსს ნალოკი ტუჩები დაუსკდა, ცრემლჩამონადენი ღაწვები დაეშაშრა, ხელ-ფეხი გაეთოშა. გაყინული, გახეხეშებული, უდრეკი სამოსი ფირფიცარივით ედგა ტანზე და ყოველგვარ მოძრაობაზე მისი გატეხვა უხდებოდა.

გოგალეს ხმა ჩაუწყდა, ილაჯი გაუწყდა, ქანცი გაეცალა, ხან ფეხით თოვლში ჩაეფლობოდა, ხან მუხლზე დავარდებოდა, ხან კიდევ გაიშოტებოდა და ძლივძლივობით, კბილების ღრჭიალით ნამოდგებოდა.

მწყემსს გული კვლავინდებურად ერჩოდა, მკლავში ძალის ნასახი კიდევ შემორჩენოდა, მუხლები კი მუხლები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ლალატობდნენ, ხოლო საქმის ღალატი გოგალე ყიზილაშვილს არა და არ შეეძლო! რას იტყვის თავკაცობა, სოფელ-ყურე, თამრიკო. რა პირით დაბრუნდეს ალვანში ილლიაში კავამოჩრილი, უცხვაროდ, უბატკნოდ, უბარგოდ...

ფარა ძუნძულით მოძრაობდა, გოგალე თავში ედგა, ძაღლები — ბოლოსა და გვერდებში.

ცხვარი უეცრად მეცხვარეს გაუტყვრა, ანდეზ გაუტია, ჩახრამულ-ჩაქცეულ ადგილში ჩაიშალა, ჩადგა, ჩაეფლო, სული ჩაიბრუნა. —

ჩადგა ცხვარი. ჩაიმუხლა მეცხვარემ. ჩაცუცქდა ძაღლი. ქშინავდა ცხვარი. ქოშინებდა მეცხვარე. ქასქასებდა ძაღლი.

ქარმა ნამოუბერა, თოვლი ფენაფენა, ფუმფულა საბანივით ნააფარა ფარას. კიდევ ცოტაც და ქვეშ მოიქცევდა, თეთრად დამარხავდა.

აფორიაქდა გოგალე, ერთხელ კიდევ მოიკრიბა ღონე, ერთხელ კიდევ დაატრიალა კავი, ერთხელ კიდევ შეაქეზა ძაღლები, ერთხელ კიდევ დაურიალა და ცხვარი ხრამიდან ნამოყარა.

ფარა ნამოშალა, ხიფათს გაარიდა, გახვითქული და ილაჯჩამოხარჯული თოვლში ჩაიკეცა. ჩაკეცილ მეცხვარეს ცხვარი მიუტრიალდა, ზოგი შარვლის ტოტში ჩაეტანა, ზოგი ნაბდის კალთაში ეჯაჯგურებოდნენ, აქეთ-იქით ექაჩებოდნენ. ენა არ ემორჩილებოდა დასატევად და ხელ-ფეხი — გასანძრევად. სიცხე ავარდნოდა, ალმური ასდიოდა, პირისახეზე ფანტელი ადნებოდა.

სხვა არაფერი შემორჩა გოგალეს მეხსიერებას...

მეოთხე დღეს, როგორც იქნა, სტიქიონი ჩაცხრა, მზემ ყური ამოჰყო, მილუშვილი ცხვარი ჯელგაჯელგად დაეყარა.

სამარისებური დუმილი დასადგურდა, ამაზრზენი დუმილი.

მადლობა ღმერთს, დუმილი მალე დაირღვა. შვეულმფრენმა ცა გახაზა და წუილითა და ბზრიალტრიალით ჩამოყარა დაწნეხილი თივის კონები... კიდევ მცირე ხანი და, გზის ტეხვით, ტანკიც მოგრიალდა, მონყვეტით დამუხრუჭდა, ლიუკი გაიღო, ძია ანდრო და ორი ჯარისკაცი ამოცვივდნენ, მიიხედ-მოიხედეს, თივას მისეული ცხვრის მილმა ოთხი შავი ადგილი დალანდეს.

უგონო მეცხვარის ირგვლივ უნიათო ძაღლები კუკზე ჩაყუნცულიყვნენ და ქანქარასავით ქანაობდნენ.

ბრგე ზემსახურმა ზემდეგმა მუხლები ჩაიკრიფა, ნელთბილ გოგალეს მკლავებში ჩაეჭიდა და ნამოყენება მოინადინა.

— Вставай, сынок!

— შენ დაწერე?! — მიკმენდილი ხმა გაიღო გოგალემ.

გოგალემ ხმა გაიღოო? ძია ანდრო პირით აღმოსავლეთისკენ დადგა, ჯარისკაცი გაიყოლია და ცხვარს და ძაღლებს მიუბრუნდა.

ჩაიხარა ზემდეგი, მკერდზე მიირქვა ავადმყოფი.

— არ წაშალო! — აღმოხდა ღონემიხდილ გოგალეს და თავი მხარზე გადაკიდა ჯარისკაცს.



# სიცილი

უილიამ საროიანი

მოთხრობა „სიცილი" ახლახან გარდაცვლილი გამოჩენილი ამერიკელი მწერლის უილიამ საროიანის კალამს ეკუთვნის.

— გავიცინო?!

იგი მარტო იდგა ცარიელ საკლასო ოთახში. დენ სიდი, ჯეიმს მიზოპო და დიკი, ალბათ, სადგურის პლატფორმაზე დარბოდნენ, იქაურობას სიცილით იკლებდნენ. იგი კი მარტო იდგა საკლასო ოთახში და მისს ვისინგის ეს ავადმყოფური ახირება გულს უწუხებდა.

— დიახ!

გამგმირავი მზერა. მკაცრად შეკრული ბაგე დროდადრო უკანკალებდა.

— გაიცინე!

ატმოსფერო დაიძაბა და დაიმუხტა. მისს ვისინგი იდგა გამშრალი და გახევებული, უხერხულად ამოძრავებდა მოუქნელ მკლავებს.

ციოდა. ბიჭს ტანში ავადმყოფურმა ჟრუანტელმა დაუარა.

— რატომ?!

რატომ? შეზღუდული და დახშულია ყველა გზა...

— იმიტომ, რომ უნდა იცინო. ერთი საათი უნდა იცინო, მონმეების გარეშე. კლასში ხომ იცინოდი? ახლა აქაც იცინე; ეს არის შენი სასჯელი, დროზე დაიწყე, თორემ ოთხი წუთი უკვე გავიდა!

რა საზიზღრობაა. სულ არ ეცინება. გაკვეთილების შემდეგ იმიტომ დატოვეს, რომ იცინოს, რა სისულელეა. ვინ იცინის ასე უაზროდ. რაზე უნდა იცინოს. რაიმე ხომ უნდა იყოს სასაცილო, ოდნავ გამამხიარულებელი მაინც. საოცარია, რამ მოაფიქრა. როგორ იქცევა. როგორ მიშტერებია. რამდენი ზიზღია მის თვალებში. შიშმა შეიპყრო...

— ბოდიშს გიხდით სიცილისათვის!

თავდახრილი ყვავილი, დარცხვენილი. გულწრფელად რცხვენოდა და ნუხდა — მისს ვისინგის გამო ნუხდა; სულ ახალგაზრდაა; გეოგრაფიის მასწავლებელს ცვლის დროებით. რაღაც სევდას დაატარებს, გაუგებარს და შორეულს. ყოველ დილით ეს სევდა ზანტად შემოდიოდა მასთან ერთად საკლასო ოთახში და ეს აცინებდა; მისი ლაპარაკი, მიხრა-მოხრა, გამოხედვა, ყველაფერი აცინებდა; განზრახ კი არ იცინოდა, ძალაუნებურად იცინოდა. უეცრად მის მზერას ნააწყდა, გაუცნობიერებელს, შემდეგ — განრისხებულს, ზიზღნარევს და ბოლოს: „გაკვეთილების შემდეგ ჩემთან მობრძანდებით!".

ნუხდა. რცხვენოდა. განზრახ არ გაუცინია. უნებლიედ გაეცინა და ამიტომ ნუხდა. რცხვენოდა კიდეც, ველარ უნდა გაიგოს, ბოლოს და ბოლოს?

— დროს ნუ კარგავ, დაიწყე სიცილი!

ზურგი შეაქცია და დაფის წმენდა დაიწყო. ჯერ დაფაზე დაწერილი ნაშალა: აფრიკა, ქაირო, ნილოსი, სფინქსი, შემდეგ — წლები: 1865, 1914. დაძაბულობა მაინც არ განმუხტულა; პირიქით, საკლასო ოთახის სიცარიელეში კიდევ უფრო გამოიკვეთა, გამძაფრდა, ორივეს აზრი ერთ ატმოსფეროში დატრიალდა, ორივეს დარდი ერთ ოთახში ჩაიკეტა და დაუპირისპირდა ერთმანეთს. რატომ? სულ არ უნდოდა მისი გაბრაზება, სულ არ უფიქრია. პირიქით, იმ დილით, კარი რომ შემოაღო, დამეგობრება მოუნდა მასთან. მაშ, რატომ გაიცინა? რატომ შეტრიალდა ყველაფერი ასე?! რაღა მაინცდამაინც მაშინ ატკინა გული, მასთან დამეგობრება როცა გადაწყვიტა?!.

— არ მეცინება! — გაჯიუტებულმა ყელში მობჯენილი სიბრაზისა და სირცხვილის ცრემლი გადაყლაპა.

რა უფლებით აიძულებდნენ, თვითონვე ჩაეკლა საკუთარი გულუბრყვილობა. ბოროტებით ხომ არ მოსვლია. რა მიუხვედრელია. რას გადაეკიდა. უცებ ზიზღმა მოიცვა; არ გავიცინებ! დაუძახოს მისტერ კეისველს და გამროზგონ, მაინც არ გავიცინებ. ძალად ხომ არ გამიცინია. დაე, გამროზგონ, მეტკინება, მეტი ხომ არაფერი. ამაზე საშინელი რაღა იქნება. ერთხელ გამოცდილიც მაქვს, დიდი არაფერი ტკივილია.

კეთილი, გამროზგონ! სიმწრისაგან ზურგი აეწვა და ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა. ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, ქედს მოიხრის, მაგრამ მაინც არ გაიცინებს!

მისს ვისინგი კათედრასთან იჯდა და თვალებში შეპყურებდა. ყვირილის შემდეგ დასუსტებული და დამფრთხალი ჩანდა. ისევ შეებრალა და ეს შებრალება სახეზე გამოეხატა. გული ეტკინა, ისე შეებრალა. რას ერჩის, რა დაუშავა ამ ახალგაზრდა, მშვენიერმა ქალიშვილმა, განა იმ ბებრუხანა გეოგრაფიის მასწავლებელს აღარ ჯობს?!

— გაიცინე, გთხოვ!

ეს რაღაა? აღარ უბრძანებს, თავს იმცირებს, ევედრება, გაიცინოს. მას კი არ ეცინება. არ იცის, რა ქნას, როგორ მოიქცეს, ისევ რომ არ ატკინოს გული. ან რას გადაეკიდა ბოლოს და ბოლოს. რა უნდა, რა სიამოვნებას მიანიჭებს მისი სიცილი... რა უაზრობაა ეს ცხოვრება! რა უცნაური სურვილები აქვთ ადამიანებს. გრძნობებს უმალავენ ერთმანეთს. ელიან ერთს და მეორეს იღებენ, ერთის გაცემა სურთ და როგორც წესი, მეორეს გასცემენ. ერთს თესენ და სულ სხვას იმკიან. კეთილი, უნდა რომ გაიცინოს, არა?! გაიცინებს. იმიტომ კი არა, რომ ეცინება, იმიტომ რომ ევედრება. რადაც არ უნდა დაუჯდეს, გაიცინებს. უნდა გაიგოს, რა ხდება. აღარ აიძულებს, სთხოვს, ევედრება, რომ გაიცინოს. ვერ მიმხვდარა, რაშია საქმე, ძალიან კი აინტერესებს. იქნებ, რაიმე სასაცილო ამბავი გავიხსენოო,— გაიფიქრა. ვერაფერს იხსენებს. აი, ბებია ენი როგორ დადის სასაცილოდ. არ ეცინება. ჰენრი მეიოს მიერ წაკითხული ჰაიავათას სიმღერა მოიგონა; იგი პოემის კითხვის დროს ისე სასაცილოდ ამახინჯებს სიტყვებს, კლასში ბავშვები სიცილით კვდებიან. ნეტავ, რა აცინებთ, რა არის ამაში სასაცილო. არა, არაფერი გამოვა, ვერ გაიცინებს! მსახიობები რომ იცინიან ხოლმე სცენაზე, იქნებ ისე გაიცინოს: ჰა, ჰა, ჰა. ღმერთო! თითქოს ყველაზე იოლი რამ მისთვის, ყველაზე ბუნებრივი, რა ძნელი ყოფილა, ჩაიხითხითოს მაინც.

როგორღაც დაიწყო სიცილი. რცხვენოდა და ეზიზღებოდა საკუთარი თავი. თვალებში შეხედვის ეშინოდა. საათს მიაშტერდა. ცდილობდა, როგორმე კიდევ ცოტა ხანს ეცინა. წარმოუდგენელია, ადამიანს ერთი საათი სიცილი შეუკვეთო, თხოვო, შეევედრო, იცინოს, როცა არაფერია სასაცილო. მაინც გაიცინებს. შეიძლება ერთი საათი ვერ იცინოს, მაგრამ ეცდება მაინც. ისე, ამ წუთას მართლა სასაცილო სანახავია. როგორ იცინის! რა ყალბია და ნაძალადევი ეს სიცილი. სასაცილოა, აბა რა?! რა ბედნიერია. ეცინება. საკუთარ სიცილზე ეცინება; მართლა ეცინება, ისე, რომ სუნთქვა ეკვრის, ძარღვებში სისხლი ეყინება, აღარ რცხვენია, გაქრა სირცხვილი, რადგან მართლა ეცინება, არ თვალთმაქცობს.

ცარიელი საკლასო ოთახი მისი სიცილით აივსო. ყველაფერი დამშვიდდა და თავის კალაპოტში ჩადგა. რა კარგია, რა კარგი! ახლა სასაცილო ამბები თავისთავად ამოტივტივდნენ მეხსიერებაში; ან რა უნდოდა მათ მოგონებას, განა მთელი ქალაქი სასაცილო არ არის თავისი ყოველდღიურობით, ქუჩაში მოფუსფუსე ხალხი ერთობ სერიოზული გამომეტყველებით, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ათასგვარი ფრაზებით დამძიმებული საუბარი ქუჩებში დიდი ბიზნესის გარშემო. მერედა მან ხომ კარგად იცის, რა შრომად უღირს ხალხს ამ სერიოზული გამომეტყველების მიღება ანდა ამ შინაარსდაცლილი საუბრების შეთხზვა, ვის ატყუებენ, ვის ეკაალუცებიან... სასაცილოა აბა რა?! გულიანად იცინოდა.

შემდეგ მამაო გაახსენდა: „უფალო, ესე არს ნეშტ შენი", — უწინათოდ რომ ჩაიჩიფჩიფებს ხოლმე ლოცვას, ყურს კი არავინ უგდებს, არავის სჯერა მისი. შეძლებულნი ამა ქვეყნისა დაქრიან ავტოსტრადებზე მანქანებით, ვითომ წასასვლელი ადგილი ბევრი ჰქონდეთ. გაახსენდა, როგორ გუგუნებენ ჯაზბანდები, უფრო დიდი სისულელე! სასაცილოა აბა რა! უფროსი ვაჟები ცოფიანებივით დასდევენ უფროს გოგონებს — ასაკი აქვთ ასეთი. ქუჩებში აღმა-დაღმა დაზოზინებენ მრავალსართულიანი ავტობუსები და შიგ, როგორც წესი, ორ კაცზე მეტი არა ზის. სასაცილოა აბა რა! ამხელა ავტობუსში ერთი დედაბერი და მისივე ასაკის ერთი ულვაშებიანი ბერიკაცი ზის. იცინოდა, გულის წასვლამდე იცინოდა, ჭარხალივით გაწითლდა. აღარაფრის აღარ რცხვენოდა. გულწრფელად იცინოდა და შიგ თვალებში შეპყურებდა მისს ვისინგს.

რა ხდება, რა ატირებს? მას ხომ არ დასცინის! სულ სხვა რამ აცინებს — ცხოვრებისეული წვრილმანები აცინებს, ეს არის და ეს. სიყალბეს დასცინის მხოლოდ. ყოველთვის ასეა. ერთის გაკეთება უნდა და მეორე გამოსდის. უნდოდა გაეგო, რას თხოვდნენ, რატომ უნდა გაეცინა, მისს ვისინგის ფიქრის გაგება უნდოდა. გაუმხელელი და დამალული ფიქრის და იმიტომ გაიცინა. მისი სურვილი რომ აესრულებინა, მისთვის რომ ესიამოვნებინა, იმიტომ გაიცინა. საკუთარი სურვილით ხომ არ გაუცინია და აი, რა გამოვიდა: მისს ვისინგი იდგა მის წინ განადგურებული, თვალცრემლიანი და აცახცახებული. იგი კი იცინოდა. ახლა უკვე სიბრაზისგან, უიმედობისგან, გულგატეხილობისგან იცინოდა. დასცინოდა ყველაფერს ამაღლებულს, გულისმომკვლელს და გრძნობებისამშლელს: უპატრონო ძაღლებს, ქანცგაცლილ ცხენებს, დაღლილობისგან ძლივს რომ ითქვამენ სულს, მხედრები კი მაინც წინ მიერეკებიან მათრახის ქნევით, მოკრძალებულ ხალხს, თავხედები რომ მუდამ ფეხქვეშ თელავენ და ზედ გადადიან, დასცინოდა ბუდიდან გადმოვარდნილ და ტროტუარებზე დახეთქებულ უსულო ბარტყებს. დასცინოდა ადამიანებს შორის გაუგებრობას, გაუთავებელ შუღლს და ანგარებას, იმ თვისებებს, ადამიანს რომ მავნედ და ნაძირალად აქცევს. გაბრაზდა. ცრემლები წასკდა.

ახლა ორნი იდგნენ ცარიელ საკლასო ოთახში, გაშიშვლებულნი თავიანთი სიმარტოვით და უნუგე-

**ირაკლი ბაზაძე**

## იოსებ ნონეშვილის გახსენება

სიცხიან ქალაქზე გადირბენს ფიქრი;
ფიქრს ფრენჩის აერლვა ფართო ჯიბე,
თანდათანობით ეშვება კიბე,
ლაჟვარდის კიბე ეშვება დაბლა.

მერე იცეკვებს ბუხართან ჭინკა,
ტაბლაზე თიხის წაგიქცევს ჭიქას,
გულში აგიწვავს ძმასა და ჯიგარს,
რომ უსაშველოდ გაწამოს მერე.

მერე გაკრთება ზმანება დედის,
უკანასკნელად ცას თეთრი გედი
შეაფრინდება და... ალავერდი
გალღვება თვალში ფერგაცლილ სივრცედ.

მერე სოფელში იმრავლებს ცრემლი,
მთელ საქართველოს ჩაივლის ცრემლი,
მოყვასის ცამდე მართალი ცრემლი,
გაარღვევს შენი სამარის კედელს.

მერე უდაბნოს გაუტევ შარას,
ასე მალიად რომ გადაშალა
რაზისები... მინდორი... ჭელა...
გაუტევ შარას რწმენით და ეჭვით.

ალარ, ან ალარ... მშობელი მთები,
არც ანანური — ოცნებას ფრთები,
ალარც გომბორზე ნისლების თმები
არ ააჩქამებს შენს მგოსნურ მზერას.

ალარ, ან ალარ... ველი ალაზნის,
არ დასათმობი, მართლაც, არასგზით,
დალლილო ლექსის მცხუნვარ ყანაში
ვაი, სიცხადის გადალმა რჩები.

ალარ, ან ალარ... ძალუმი ტაში,
ტაში ჩაქრება ჟამთასვლის ხმაში,
შენ კი ცის... მხოლოდ ცისფერი ბავშვი —
პოეტი ქართულ ცას შეერიე.

სიცხიან ქალაქზე გადირბენს ფიქრი.

**ვახტანგ ძნელაძე**

## გაზაფხულის ლექსები

1.

ყვავილების მოვითა
გაზაფხული მოვიდა,
დღეთა სწორუპოვართა
ნიაღვარი მოვარდა.

მღერის წყარო ანკარა,
სიცოცხლემ გზა გაკვალა.
მიწამ ცის და ცამ მიწის
წრფელი გულისთქმა იცის...

ეფერება ქვეყანას,
კოცნის მზე სხივოსანი,
გაზაფხული ლექსია,
სიყვარული — მგოსანი.

2.

მხარში უდგას სიმს სიმი,
გული გულს და ბწკარი ბწკარს;
სიხარულის ციმციმი
ვარდს რგავს, ეკალს გარიყავს.
გზა რას ფიქრობს, ციხე — რას,
ან მზის სხივი ბრიალა,
მინდა ვუთხრა სიმღერას,
იქნებ დაცხრეს იარა.
სიცოცხლეო, ბექთარი
შენი იმად მჭირდება,
რომ ბრძოლა მსურს მედგარი
და არა დამშვიდება.
სასახლეში თუ ქოხში
ტრფობა მზეობს, დგას შუქად,
სიყვარული სამყაროს
გაზაფხულმა აჩუქა.
გულთა ამფეთქებელი,
სიყვარულმა მზე შობა.
შვენის კეთილ გაზაფხულს
სიყვარულის ელჩობა.

**გიორგი პაიაშვილი**

## მადლობელი დავრჩები

ჩემთან დაისადგურე,
მტერი გამინადგურე,
დამიკნინე მოცილე,
ერი ამილორძინე.
მიწა არ დამიგვალო,
მუშა არ დამილალო,
ვაზი არ შემინაცრო,
სული არ გამიბაწრო.
ბნელი ცა გამიბაცე,
ღრუბელი დამიკაწრე,
ტრაქტორი აგვირგვინე,
ყანა ამიბიბინე...
თუ გამომესარჩლები,
მადლობელი დაგრჩები,
მარად ჩემი ნეტარი
დედაენა მიცოცხლე!

**თენგიზ კობერიძე**

## დღეგრძელი იყოს...

თავისი მზით და
თავისი მთვარით,
თავისი დღით და
თავისი ღამით,
თავისი ზღვით და
თავისი ნავით,
თავისი მთით და
თავისი ბარით,
თავისი ტყით და
თავისი ზვარით,
თავისი ხმლით და
თავისი ფარით,
თავისი ძით და
თავისი ქალით —
დღეგრძელი იყოს,
დღეგრძელი იყოს,
დღეგრძელი იყოს,
მშობელი ხალხი!

შობით — და-ძმა, სისხლი და ხორცი; ორთავეს ერთი სწყუროდა — სათნოება და პატიოსნება ამქვეყნად. ერთსაც და მეორესაც უნდოდათ თავიანთი სიმართლე გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის, მაგრამ მაინც მარტონი იდგნენ ცარიელ საკლასო ოთახში, ერთმანეთისთვის უცხონი და შორეულნი.

უცებ გაიგონა, მისს ვისინგმა როგორ გადაყლაპა ყელში გაჩხერილი ცრემლი.

მერე ყველაფერი დატრიალდა, ყირაზე დადგა და ბიჭი ხმამაღლა აქვითინდა, გულამომჯდარი ატირდა, გულწრფელად, როგორც პატარა ბავშვი, თითქოს რაღაც დიდი უბედურება შეემთხვაო. სახეზე ხელები აიფარა, აზლუქუნდა, სუნთქვა შეეკრა და სიკვდილი ინატრა — ყველაფერზე უფრო სიკვდილი ინატრა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იტირა. უცებ გამოერკვა — ალარ ტიროდა, არც იცინოდა. საკლასო ოთახში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ვაი, სირცხვილო. თავის აწევის რცხვენია. მისს ვისინგს თვალს ვერ უსწორებს. ისევ სიკვდილი ინატრა.

— ბენ! — მისის ვისინგის მშვიდი, აუღელვებელი, ძალზე თვითდაჯერებული ხმა.

როგორ შეხედოს თვალებში?!

თავი ასწია. შეხედა. ცრემლი გაშრობია და თვალები უკაშკაშებს.

— ცრემლები მოიწმინდე. ცხვირსახოცი გაქვს?

ცრემლები მოიწმინდა, ცხვირი მოიხოცა. რა მძიმეა ეს დედამიწა და რა მიუსაფარი!

— რამდენი წლისა ხარ, ბენ?

— ათის.

— მერე რას აპირებ?

— არ ვიცი.

— მამაშენი ვინ არის?

— მამაჩემი მკერავია.

— მოგწონს აქაურობა?

— ისე რა.

— და ან ძმა თუ გყავს?

— სამი ძმა და ორი და.

— სხვა ქალაქში წასვლაზე თუ გიფიქრია როდესმე?

რა უცნაურად ესაუბრება, როგორც დიდს, თითქოს მისი საიდუმლოების ჩაწვდომა სურს.

— კი, მიფიქრია.

— მაინც სად?

— არ ვიცი, ალბათ, ნიუ-იორკში, ან იტალიაში!

— იტალიაში?

— დიახ, მამაჩემი მილანელია.

— მართლა?!

მასაც უნდოდა, რაიმე ეკითხა მისს ვისინგისთვის. დიდი რომ ყოფილიყო, კითხავდა, ახლა კი ერიდებოდა. მისს ვისინგი გარდერობში გავიდა, პალტო, ქუდი, ჩანთა აილო და ჩაიცვა.

— მისს შორბსი გამოვიდა სამუშაოზე. ხვალიდან ალარ შემოვალ თქვენს კლასში. საერთოდ, მივდივარ აქედან!

ბიჭი შეწუხდა, მაგრამ ვერაფერი სანუგეშო ვერ მოიფიქრა სათქმელად. მისს ვისინგმა პალტოს ქამარი შეიკრა, ქუდი გაისწორა და გაულიმა.

რა არ ხდება ამქვეყნად. ამ ქალიშვილის გამო ჯერ იცინა, შემდეგ იტირა და ახლა... გული წყდება. სად მიდის, ნუთუ ველარასოდეს ველარ ნახავს?!.

— წადი, ბენ, თავისუფალი ხარ!

თვალებში უყურებდა და წასვლა არ უნდოდა. ერთხანს კიდევ უნდოდა იქ მჯდარიყო და მისთვის ეცქირნა... ფეხის თრევით გავიდა გარდერობში და კეპი აილო. კარს რომ მიუახლოვდა, საშინელი მარტოობა იგრძნო. მიიხედა, უკანასკნელად რომ შეეხედა მისთვის.

— მშვიდობით, მისს ვისინგ!

— მშვიდობით, ბენ!

რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა სკოლიდან. მისს ვისინგი შუა ეზოში იდგა და თვალს არ აშორებდა. თვითონაც არ იცოდა, რა ემართებოდა. საშინელმა სევდამ შეიპყრო, უკან მიხედვა უნდოდა, მაგრამ ეშინოდა, იცოდა, რომ იგი იქ იდგა და უყურებდა. მერე იფიქრა, ვიჩქარებ, იქნებ სადგურზე დენ სიდს ან დიკ კორკორენს მივუსწროო. ვინ გაიგებდა, რა მოხდა იმ დღეს კლასში — როგორ აცინა მისს ვისინგმა და შემდეგ როგორ ატირა.

მთელი გზა ირბინა, მაგრამ სადგურზე ვერც ბიჭებს მიუსწრო და ვერც შუადღის მატარებელს. დააგვიანდა. ევკალიპტის ხის ქვეშ ჩაცუცქდა. ისევ დატრიალდა ქვეყანა მის წინ და იგი ისევ აქვითინდა.

ინგლისურიდან თარგმნა
**მანანა დუმბაძემ.**



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვთაებრივ ხილვათა ღამე

ვლადიმერ ალფენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიბოედოვის სიზმრები ილია ჭავჭავაძის მამა-პაპისეულ სახლში, ყვარელში, ილიას დაბადებამდე თხუთმეტი წლით ადრე...

ფრაგმენტი რომანიდან „მწვერვალები და უფსკრულები“

იმპერიასავით ვეება მეფისნაცვალი ერმოლოვი სავარძელში თვლემდა, როცა ადიუტანტმა პოხვისნევმა მოახსენა, ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი სერ რობერტ ლაიელი აუდიენციას ითხოვსო.

ერმოლოვმა ცალი თვალი გაახილა, ჩიბუხი გადმოაგდო პირიდან და ერთი ისეთი შეუბღვირა პოხვისნევს, იმ საცოდავმა იგრძნო, რომ ენა მართლა ჩაუვარდა მუცელში. როცა ერმოლოვმა მეორე თვალიც გაახილა, ჩია პოხვისნევი უკვე არსად ჩანდა. ზარის ხმაზე მის ნაცვლად მეორე ადიუტანტი ზონზროხა ტალიზინი შემოვიდა.

ფაფარაშლილი ერმოლოვი ისევე ვერ ეტეოდა თავის კაბინეტში, როგორც მეფის რუსეთი კავკასიაში.

— არავითარი ლაიელი! — იყვირა ერმოლოვმა, — ეგ ქაღალდიჯღაბნია ინგლისელი გრიბოედოვმა მიიღოს. მე მეფის ნაცვალი ვარ. საგარეო საქმეთა მინისტრის ნაცვალი კავკასიაში გრიბოედოვია.

ტალიზინს გრიბოედოვი დაბარებულივით შეეჩეხა მეფის ნაცვლის სასახლის დერეფანში.

— ეგ ბრიტანელი შენ გიფეშქეშა სარდარმა, — ახარა გრიბოედოვს ტალიზინმა, — მიიღოს, ესაუბროს და სადაც უნდა იქ წაიყვანოსო.

გრიბოედოვი ამ დროს თავის კომედიას წერდა და ამ უცხო ლაიელისთვის სულ არ ეცალა, ერთხანს მეფისნაცვალთან შესვლა დააპირა, მაგრამ ტალიზინმა არ ურჩია: ისეთ დღეშია, საკუთარ დედას ვერ იცნობს. წუხელ ბანქოში დიდი ფული წაუგია, უხასიათოდაა, მერე დამთვრალა და ერთი ტყვე ჩერქეზი ქალიც შემოკვდომია ლოგინში.

— არა უშავს, ერმოლოვს შვიდი ცოლი ჰყავს, — ანუგეშა ტალიზინი პოხვისნევმა.

გრიბოედოვმა ნაცარქექია პოხვისნევს ზურგი შეაქცია და ისევ ტალიზინს მიმართა: სად უნდა წავიყვანო ის ინგლისელი?

— ჯანდაბაში, ჯაჰანაში. სადაც გაგიხარდება. ერმოლოვმა დიდი არჩევანი მოგცა.

გრიბოედოვმა არ იცოდა, რა ექნა. სარდარის ინსტრუქცია სჭირდებოდა, თუ როგორ მიეღო უცხოელი. ამიტომ ტალიზნს უთხრა, ისევ ჩამოეგდო სიტყვა უცხოელზე ერმოლოვთან, როცა ის გამოფხიზლდებოდა.

საღამოს, როცა ერმოლოვი გამოფხიზლდა, იგივე გაიმეორა, რაც სიმთვრალეში თქვა: ლაიელი გრიბოედოვს ჩააბარეთო.

რადგანაც ერმოლოვი სიმთვრალეშიც და სიფხიზლეშიც ერთსადაიმავეს ამბობდა, ყველას ეგონა, მისი ჭკუა არ თვრებაო. ეს შეცდომა იყო. ერმოლოვს ჭკუა არც სიმთვრალეში ჰქონდა და არც სიფხიზლეში. ამიტომ ამბობდა ერთსა და იმავეს მთვრალიც და ფხიზელიც. ღვინო აქ არაფერ შუაში იყო.

გრიბოედოვი კავკასიის მეფისნაცვლის კარზე საგარეო საქმეთა კანცელარიას, თურქეთისა და სპარსეთის საქმეებს განაგებდა და თითქოს არაფერი აკავშირებდა არც გეოგრაფიასთან და არც ინგლისთან, მაგრამ ერმოლოვს, გინდ მთვრალს, გინდ ფხიზელს არავინ ჰყავდა სხვა, ვისაც შეეძლო ამ ინგლისელისათვის ინტელექტუალური პარტნიორობა გაეწია გზაში. ამიტომ მეფისნაცვალმა არჩევანი გრიბოედოვზე შეაჩერა. ეგეც არ იყოს, გრიბოედოვი იმპერიის ელჩიონის დროს მდივანი იყო სპარსეთში და იქ, თეირანსა და თავრიზში ინგლისელ დიპლომატებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ფლობდა ინგლისურ ენას და შექსპირს უკეთ იცნობდა, ვიდრე იმპერატორი — რუსეთს.

ბევრი რაღა გავაგრძელო, 1822 წლის 22 ივნისს ალექსანდრე გრიბოედოვმა და ინგლისელმა გეოგრაფოსმა რობერტ ლაიელმა ტფილისი დატოვეს და კახეთად წარემართნენ...

მშვენიერი ამინდი იდგა. იმ დღეს მუხროვანამდე უნდა ევლოთ. ღამე იქ დაბანაკებული პოლკის ყაზარმებში უნდა გაეთიათ.[1] დინჯი, უტყვი ინგლისელი ლაიელიც კი ვერ ფარავდა აღტაცებას ბუნების სილამაზის გამო. გრიბოედოვი პოეტისა და ფილოსოფოსის თვალით უმზერდა უმშვენიერეს ქართულ სამყაროს. ღრმა ფიქრში იყო ჩაძირული.

საოცარია, გრიბოედოვმა არაერთხელ სცადა აეხსნა ქართული სინამდვილე თავისი ევროპული ცოდნით. მაგრამ ეს წყლის ნაყვა აღმოჩნდა. ასე გასაგები და იმავე დროს ასე მიუწვდომელია თურმე სხვა ერის სული...

— არა, ჩემო ძმაო, ამ სინამდვილეს ბეკონით, ვოლტერითა და რუსოთი ვერ ახსნი, — დაიჩივლა გრიბოედოვმა.

—მით უმეტეს, რომ ის რუსო სულაც არ არის რუსი, — ნიშის გებით შეეხმიანა რობერტ ლაიელი.

გრიბოედოვმა არაფერი უთხრა.

პოეტი ისევ მიეცა ფიქრს. ვერც რუსული და ვერც ინგლისური საზომით გაზომავ ამ მთებს და მონასტრებს, ერეკლეს სასახლეს და ალავერდის ტაძარს. ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ქართველს თავისი „მე“ არ ექნებოდა.

— საოცარია, „მე“ რა პატარა სიტყვაა, და რა ბუმბერაზ ცნებას გამოხატავს. როცა ქართველი ამბობს: „მე“, მასში მისი ბიოგრაფიაც ეტევა, მისი სამშობლოც, მისი ისტორიაც, აი, ეს ალავერდის ტაძარიც, ეს შუამთის მონასტერიც, ერეკლეს სასახლეც, თამარის სილამაზეც, შოთას სიბრძნეც, აღმაშენებლის სიქველეც, ქართველის კაცობაც, მისი ნამუსიც, სინდისიც და პატიოსნებაც, ცა და მიწა, ზღვა და ხმელეთი, წარსული და მომავალი...

ეს ყველაფერი ეტევა ერთ პატარა სიტყვაში — „მე“.

მაგრამ ქართველს თავისი „არამეც“ აქვს.

იმ „არამეში“ არის მოქცეული, რაც მის „მეს“ არ ეგუება: იმპერატორები, არაყჩეევები, ლურჯი მუნდირები, ნესელროდები, შაჰები და შაჰინშაჰები, „მორდები“ და „დერჟიმორდები“, ქართველი შადიმანები და ველიკორუსი სკალოზუბები...

— ასე, რომ, ბატონო რობერტ ლაიელ, მეტად მარტივია და იმავე დროს მეტად რთული „მესა“ და „არამეს“ ფილოსოფია ამ მთებში, — დაასკვნა გრიბოედოვმა.

— ამბობენ ფილოსოფია „ძენს“ ჩაის გემო აქვსო, ქართულ ფილოსოფიას კახური ღვინის სურნელი ასდის უთუოდ, — თქვა რობერტ ლაიელმა და ფილოსოფოსს ბეკონის პოზა მიიღო.

გრიბოედოვმა გაიცინა:

— რამდენიმე წელია ვაკვირდები ქართველთა ბუნებას და უნდა მოგახსენოთ, რომ ესენი რაც მეტს სვამენ, მით უფრო ფხიზლდებიან... დედამიწის ზურგზე არ მეგულება მეორე ერი, რომელსაც ღვინო ასე აკეთილშობილებდეს, აპოეტებდეს, აფილოსოფოსებდეს, აადამიანებდეს. იმას, რასაც სხვები ღვინოში კარგავენ, ესენი სწორედ ღვინოში პოულობენ...

ხანდისხან აგრე მგონია, რომ ის რომაელი, რომელმაც თქვა: ინ ვინჱს ვერიტას, ღვინოშია ჭეშმარიტებაო, ან ქართველი იყო, ან რომაელი, რომელიც ქართველთა შორის ტრიალებდა...

— რომაელი? საქართველოში? — გაუკვირდა რობერტ ლაიელს.

— ააა, გეოგრაფოსები ისტორიას ნაკლებად ეტანებით. ქართველთა მეფეს რომში ძეგლიც კი დაუდგეს.

— რას მეუბნებით? ნუთუ ეს მართალია? — გულწრფელად გაუკვირდა ინგლისელს.

— დიახ, თავის ცხენიანად დაუდგეს ძეგლი. როცა კახეთიდან დავბრუნდებით, პომპეუსის ხიდს გაჩვენებთ მცხეთაში, — დაპირდა გრიბოედოვი ლაიელს.

ინგლისელმა გაოცება გამოხატა და დიდი მადლობა მოახსენა რუს პოეტს.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ხანდისხან ცხენი თუ დაიფრუტუნებდა, ან კაზაკი შეუძახებდა იორღას.

გრიბოედოვი თავის მარადიულ საფიქრალზე ფიქრობდა. მან არაერთხელ სცადა აღმოსავლური ფილოსოფიით აეხსნა ქართული რეალობა. და მაინც არაფერი გამოვიდა.

— ერთ დროს აღმოსავლური ფილოსოფიით ვიყავი გატაცებული, — თქვა გრიბოედოვმა, აღმოსავლურ ფილოსოფიაში არის წმინდა წიგნების სამება — „ომს“ ეტყვიან. ქართველებთან წამომცდა ერთხელ „ომი“-მეთქი. კინაღამ ხმლით ამკუწეს, ასეა, ბატონო, ლაიელ, ბევრი რამ ჰგავს ერთმანეთს ცხოვრებაში, როგორც ის აღმოსავლური „ომი“ და ეს ქართული „ომი“ და იმავე დროს არაფერი აქვთ მათ საერთო. იმ „ომით“ ამ „ომს“ ვერ ახსნი. ის ლოცვაა, ეს სისხლისღვრა... საგანთა არსი ამ პატარა საქართველოშიც ისევე ძნელი ასახსნელია, როგორც დიდ ბრიტანეთში, ბატონო ლაიელ...

— გეთანხმებით, სერ, — თავაზიანად გაიღიმა ლაიელმა.

— ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა და ეს იმიტომ, რომ ვერ ჩასწვდეს ბუნების საიდუმლოს, — თქვა გრიბოედოვმა, — ასეთი ზღვარი დაუდო გამჩენმა ადამიანს.

— ეს აფორიზმია, — თქვა რობერტ ლაიელმა, — ეს უნდა ჩავიწერო.

გრიბოედოვმა ვერ გაიგო, ხუმრობდა თუ მართლა ამბობდა ამას ლაიელი.

გრიბოედოვმა და ლაიელმა ჩქარა იარეს კახეთის გზებზე... 23 ივნისს, საღამოს მუხროვანი დატოვეს. იორის ტალღებში შეაგდეს ცხენები და ცივგომბორს უწიეს.

24 ივნისს თელავის გზას დაადგნენ. თელავმა მოხიბლა რუსი პოეტი და ინგლისელი გეოგრაფოსი.

თელავში ადრე მეფე ერეკლე ხვდებოდა საქა-

---

[1] გრიბოედოვისა და ლაიელის კახეთში მოგზაურობის მარშრუტის შესახებ საინტერესო ცნობები მომაწოდა დოცენტმა გ. ჯავახიშვილმა (ავტ.).

რთველოს სტუმრებს. ამჯერად მეფის ნაცვლად მათ ახმახი მაიორი ვინმე ილინსკი გამოეგება.

— ისტორია ხუმრობს, ბატონო, — თქვა ლაიელმა, — სად ბაგრატიონები და სად ილინსკები?!

— დრონი მეფობენ და არა მეფენი! — თქვა ვილაცამ.

გრიბოედოვი დუმდა.

მაინც მოხიბლა სტუმრები უმეფო თელავმა თავისი სამეფო ციხეებით...

— აი, აქ მეფე ერეკლეს სააუდიენციო დარბაზი იყო! — თქვა მაიორმა ილინსკიმ.

— ახლა რა არის აქ? — იკითხა ლაიელმა.

მაიორი შეცბა.

— ახლა საჯინიბოა, ბატონო, — შენიშნა კახელმა თავადმა ჯორჯაძემ.

— მაიორო, — თქვა გრიბოედოვმა, — იმას, რაც ბონაპარტეს არ აპატია ისტორიამ, შენ ვინ გაპატიებს? რისი იმედი გაქვს?!

— არ მესმის, — თავი მოიკატუნა მაიორმა.

— ნაპოლეონმა ცხენები დააბა მოსკოვში სამეფო პალატებში და არ აპატიეს. მთელი ევროპა კიცხავს. შენ როგორ გაბედე აქ სამეფო პალატებში თავლა გაგემართა?! ვისგან ისწავლე ეს?

მაიორმა თავი ჩაღუნა, სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედა გრიბოედოვს. მაიორის თვალში ის მეფისნაცვლის კაცი იყო.

— თავადებო! — ქართველებს მიმართა გრიბოედოვმა, — ამის სიბრიყვე აპატიეთ იმპერიას.

ქართველი თავადები დუმდნენ.

აბა, სად ჰქონდა ალაზანს იმდენი ტალღა, რამდენი ცრემლიც და სისხლიც დაღვრილა აქ...

უჟამო ჟამი მეფობდა ერეკლეს სატახტო ქალაქში.

თელავში იქეიფეს და გზას გაუდგნენ.

იხილეს საოცარი ციხე-ქალაქები და სოფლები: ენისელი, გრემი, შილდა...

ბოლოს ყვარლის ციხეც გამოჩნდა.

იმ ღამეს ყვარელში, ჭავჭავაძიანთ ოჯახში, მიიწვიეს ალექსანდრე გრიბოედოვი და რობერტ ლაიელი...

იყო კახური სმა და პურობა...

ლხინმა შუაღამემდე გასტანა.

ის ღამე იქ გაათენეს. გრიბოედოვმა ჩაწოლაც ვერ მოასწრო ჭავჭავაძიანთ ლოგინში, რომ ქართული სიზმრების სამყაროში აღმოჩნდა. ეტყობა ლოგინი ჯადოსნური იყო...

ესიზმრა გრიბოედოვს ანგელოზი. მას პერგამენტი ეჭირა ხელში და საოცრად ნაცნობი ქართული სახე ჰქონდა. ალბათ, ასეთი იყო ათი წლის ღვთისმშობელი...

ჰო, ასეთი იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ასულის ნინოს სახე ჰქონდა სიზმარში ღვთისმშობელს. გრიბოედოვი წუხდა და ვერ გაეგო, რატომ ჰქონდა ღვთისმშობელს ნინოს სახე... არც ამ მინიერი ასულის ცაში გადაკარგვა სურდა (იგი მუსიკას ასწავლიდა ნინოს) და არც ღვთისმშობლის ჩამოსვლა მიწაზე... ჯერ არ იყო მზად ცოდვილი დედამიწა, გრიბოედოვის აზრით, ღვთისმშობლის შესახვედრად და არც ნინო იყო იმ ასაკში, რომ გაღვთისმშობლებულიყო... მაშ, რატომ რეკავდა ცა დროზე ადრე ზარებს. ჯერ ადრე იყო ცაშიც და მიწაზეც... მაშ რატომ ჰქონდა ღვთისმშობელს ნინოს სახე?! ვერა და ვერ აეხსნა ეს გამოცანა გრიბოედოვს.

როგორ ღვთაებრივად უკრავდა „ავე მარიას“ ნინო ტფილისში... რა ღვთაებრივად მღეროდა... იქნებ იმ მუსიკამ შვა ეს ალეგორია: ღვთისმშობელი, რომელსაც ნინოს სახე ჰქონდა...

ცა რაღაცას ანიშნებდა ადამიანს და ის კი ვერ ხვდებოდა...

იქნებ ღვთისმშობელი სახეს დაესესხა მასზე უფრო ლამაზ ნინოს...

ნინო უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ათი წლის ღვთისმშობელი. თუმცა ის კი ვერ გაიხსენა სანდრმა, სად ნახა ათი წლის ღვთისმშობელი. ან იქნებ ეს სიზმარეული გოგონა-ღვთაება წმინდა ნინო იყო და არა ნინო ჭავჭავაძე... არა, გრიბოედოვი აშკარად ხედავდა, რომ ღვთისმშობელს ნინო ჭავჭავაძის სახე ჰქონდა და არა წმინდა ნინოსი... იქნებ ღვთისმშობელმა თავად დაუთმო ნინოს თავისი ბავშვობის სახე? ვინ იცის...

რა ლამაზია და რა საოცარი საქართველო. მისი ბავშვების სახე ანგელოზებს შურთ, მისი ქალების სილამაზისა — თავად ღვთისმშობელს.

და შეეცოდა გრიბოედოვს ყველა ათი წლის ბავშვი, რომელიც ნინოსავით ლამაზი არ იყო... სიზმარი კი ისეთი ლამაზი იყო, გრიბოედოვს არც გათენება სურდა და არც გაღვიძება...

მერე ის იყო ესიზმრა ქართველი ქალი. თეთრი კაბა ეცვა. ტანაშოლტილი იყო და მკერდსავსე. მკერდიდან მირონი სდიოდა.

ჭავჭავაძიანთ დიასახლისს ჰგავდა საოცრად. ოქროს აკვანს არწევდა და ნანას უმღეროდა პირმშოს. ნანა მომხიბვლელი იყო, ტკბილ ჟრუანტელად უვლიდა ტანში გრიბოედოვს ის ნანა და ეცოდებოდა თავისი ბავშვობა, რომელსაც ეს ნანა არ მოესმინა...

ისევ ბავშვობაში მოუნდა დაბრუნება, რომ ის ნანა ჩაღვროდა სულში... მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გული დაწყდა...

უცებ გაირღვა სიზმარეულ ცაში ღრუბლები და გამოჩნდა მამალმერთი ბიბლიური წვერით, წარღვნამდელი სახით...

ასწია ჭავჭავაძიანთ ჭერი და მისგან ცა შექმნა...

საოცრება ნახა გრიბოედოვმა: ჭავჭავაძიანთ ჭერმა აიწია და ცად იქცა... პირველად ნახა ჭერის ცად გადაქცევა პოეტმა. საოცარი ის იყო, რომ ჭავჭავაძიანთ ჭერი ცად იყო არა მარტო ყვარელს, არა მარტო კახეთს, არამედ მიწვდა კავკასიის მაღალ მთებს და მერე შავ ზღვას და სრულიად საქართველოს ცად იქცა...

მოდიოდა სეტყვა, მაგრამ იმ ჭერში ვერ ატანდა, მოდიოდა წვიმა, მაგრამ სახურავს წყალი არ გასდიოდა..

საოცრება ნახა იმ ღამეს გრიბოედოვმა ილია ჭავჭავაძის მამაპაპისეულ სახლში, ილია ჭავჭავაძის დაბადებამდე თხუთმეტი წლით ადრე...

ახლა აკვანში ჩაიხედა გრიბოედოვმა. საოცრად ლამაზი ბიჭი იწვა აკვანში. შუბლზე ვარსკვლავი უბრწყინავდა. ღვთისმშობელი ეჯდა სასთუმალთან და ძუძუს აწოვებდა, წმინდა ნინო ნანას უგალობდა...

საოცარი ის იყო, რომ მეაკვნემ ის აკვანი თურმე დავით აღმაშენებლის კუბოს ფიცრისაგან გამოთალა...

ვერ გაიგო გრიბოედოვმა ეს რად იყო საჭირო. თუმცა კუბოს აკვნად გადაქცევაში უთუოდ დიდი აზრი იყო ჩადებული. ეტყობა, ამ ბავშვის დაბადება აღმაშენებლის გაღვიძებას უდრიდა.

მერე ვილაც ქალი შემოვარდა...

„ხმელი ნიფელი აყვავდაო!“

„ჯერ რომ არ გამხმარაო“, — შეეპასუხა ვილაც.

„მაინც აყვავდაო“, — უპასუხა ქალის ხმამ. აქ მთლად დაიბნა გრიბოედოვი. ვერ გაიგო, ის ნიფელი რაღა ახლა აყვავდა, გაზაფხულის საქმე ზაფხულისათვის რატომ გადადო?!

— აცალეთ კიდევ თხუთმეტი წელი! — თქვა მამალმერთმა, — და მერე ეს სიზმარი გააცხადეთ!

— ამ რუსს საოცრად ქართული სიზმარი დაესიზმრა! — შეაქო გრიბოედოვი მამალმერთმა.

ეს თქვა და ღმერთი ცაში ამაღლდა.

გრიბოედოვმა სიზმარეულ ცაში თვალი გააყოლა მამალმერთს...

და გაეღვიძა.

სადღაც ყიოდნენ ყვარლის მთვარიან ღამეში მამლები, მზის ფრთოსნები...

გრიბოედოვმა ჭავჭავაძიანთ ჭერს ახედა. გაუკვირდა: ადგილზე იყო, ჯერ ცად არ ქცეულიყო.

მერე თავი სიზმრით ინუგეშა, მამალმერთმა ხომ თქვა, თხუთმეტი წელი აცალეთო.

მეორე მხარეზე გადაბრუნდა გრიბოედოვი და ისევ სიზმარში აღმოჩნდა.

ვილაცა მოდიოდა სისხლიანი ნაჯახით ხელში. დემონი იყო... არა, უფრო სატანას ჰგავდა... რაც უფრო უახლოვდებოდა გრიბოედოვს, მით უფრო ემსგავსებოდა არაყჩეევს... არაყჩეევს მეფისტოფელის როლში...

ეშმამ გრიბოედოვის საწოლს ჩაუარა და აკვნისაკენ გაემართა...

მოდიოდა ეშმა სისხლიანი ნაჯახით ხელში. მის თავზე იმპერატორის თითი მოჩანდა ნისლში, ღრუბელივით რომ ეხვია გარს ეშმას... თითი აკვნისკენ იყო მიშვერილი, ეშმასაც ნაჯახი აკვნისკენ ჰქონდა მოღერილი, აკვნისკენ, რომელშიც შუბლვარსკვლავა ბიჭუნა იწვა... ბიჭუნა, რომელსაც ღვთისმშობელი აწოვებდა ძუძუს... დაბადებამდე ძუძუს აწოვებდა ღვთისმშობელი...

ალბათ მესია იბადებოდა...

ეშმას უკან, ნისლში ვილაცის ხმა ისმოდა. არ ვიცი იმპერატორისა, არ ვიცი მეფისნაცვლისა. ორივეს ხმას ჰგავდა და არც ჰგავდა თითქოს...

ის ხმა ალბათ იმ მისტიკური თითის პატრონს ეკუთვნოდა...

— გადააქციეთ აკვანი ისევ კუბოდ!

ამ ნების აღმსრულებლად მოდიოდა ეშმა.

— გაახმეთ ისევ ხმელი ნიფელი, ახლა რომ აყვავდა, გაახმეთ ისევ! და თუ არ ინებოს, მოკვეთეთ ძირში! — ბრძანებდა ვილაც ნისლში და ის მისტიკური თითი სისხლიან ნაჯახს ხმელი ნიფელისაკენ უთითებდა...

სანდრს მოესმა, ვილაც ეძახდა.

— უშველე, სანდრ! ის ძმაა ჩემი!

ნინო იყო. არა ნინო კი არა, ანგელოზი იყო, რომელსაც ნინოს სახე ჰქონდა. მწუხარე ანგელოზები მოთქვამდნენ მის გვერდით.

ნინო აკვნისა და ბავშვის გადასარჩენად უხმობდა სანდრს.

გრიბოედოვი წამოიჭრა ლოგინიდან, წაავლო ხელი ხმალს თუ პისტოლეტს და წინ გადაუდგა ნაჯახიან ეშმას.

— გზა! — იწივლა ეშმამ და ნაჯახი სასიკვდილოდ მოუქნია გრიბოედოვს.

აუკრა ხმალი გრიბოედოვმა ეშმას.

ეშმამ მეორედ მოუქნია ნაჯახი სანდრს...

— აკვანი! — იკივლა გრიბოედოვმა, — აკვანი გადაარჩინეთ!

ხმაურზე ჭავჭავაძიანთ ოჯახი ფეხზე წამოდგა.

— რა აკვანი? — კითხულობდნენ მასპინძლები.

— ბავშვს უშველეთ! — ყვიროდა ნახევრად ნამძინარევი გრიბოედოვი.

— ძილში აბოდებს! — თქვა ვილაცამ.

ჭავჭავაძეები მეტად შენუხდნენ.

თამადას უსაყვედურეს, უზომოდ რად ასვიო ღვინო სტუმარს.

გრიბოედოვი გამოერკვა.

ცუდი სიზმარი ვნახეო, მოუბოდიშა მასპინძლებს. გაუკვირდა ჭავჭავაძიანთ საგვარეულო ხმალი ხელში რომ ეჭირა. მერე მიხვდა: ამ ხმლით ებრძოდა თურმე ეშმას სიზმარში.

ხმალი ისევ კედელზე დაჰკიდა...

ისევ სიმშვიდემ დაივანა ჭავჭავაძიანთ ჭერქვეშ.

სადღაც ყიოდნენ მამლები ყვარლის ღამეში...



ქართველ დიზაინერთა ერთი ჯგუფი. წინა პლანზე პროფესორი დავით ლოლობერიძე

# ქართველი დიზაინერები

ოცდახუთი წელია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არსებობს სამრეწველო ხელოვნების კათედრა. იგი შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის აპოლონ ქუთათელაძის ინიციატივითა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით. ოცდახუთი წელია, კათედრის დაარსების დღიდან, მას სათავეში უდგას საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, პროფესორი ნოდარ ლოლობერიძე.

კათედრაზე აღიზარდა სხვადასხვა ეროვნების მრავალი მხატვარ-კონსტრუქტორი. ისინი წარმატებით მუშაობენ, როგორც რესპუბლიკის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, კეთილი წვლილი შეაქვთ ხატოვანი და ლამაზი სამრეწველო პროდუქციის შექმნაში.

სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს აკადემიის ახალგაზრდა დიზაინერების ხელოვნება. კერძოდ, მანქანათმშენებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მათ მიერ გაფორმებულმა ჩაის საკრეფმა და სატვირთო მანქანებმა, წყალქვეშა ფრთიანმა კატარღამ, „ელმავალმა", „ელექტრომობილმა", „სამთოთვითმავალმა", მცირეგაბარიტიანმა ტრაქტორმა „რიონმა", ელექტროგამომთვლელმა მანქანამ „გელათმა".

ეს აღიარება შემთხვევითი როდია. ამ უკანასკნელ ხანებში აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები ფაბრიკა-ქარხნებისა და მათი საკონსტრუქტორო ბიუროების ხშირი სტუმრები არიან. ასეთი „ვიზიტები" განსაკუთრებით საჭიროა სამრეწველო პროფილის სტუდენტებისათვის, მომავალ მხატვარ-კონსტრუქტორებისათვის. შემოქმედებითი შეხვედრები დიდად ეხმარება როგორც აღმზრდელებს, ისე მათს აღსაზრდელებს და წარმოებაში მომუშავე სპეციალისტებს. ასეთმა საქმიანმა ურთიერთობამ ბევრად გააუმჯობესა კათედრის სადიპლომო ნაშრომების ხარისხი.

კათედრაზე დაცული სადიპლომო ნამუშევრებიდან უმეტესობა საუკეთესო შეფასებას იმსახურებს.

აკადემიის სამრეწველო ხელოვნების კათედრამ 1975 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა დიზაინერთა მოსკოვის მე-9 მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, მას შემდეგ იგი გავიდა ფართო ასპარეზზე.

ქართულ დიზაინს დიდი მომავალი აქვს.

**სიმონ ნაციაშვილი,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

თავგანწირულად უხმობდნენ ცისკარს და უხმობდნენ მზეს. ის კი არა და არ ჩანდა...

გრიბოედოვმა ცას გახედა სიზმარში. ყვარლის ახალი მთვარე არასოდეს არ ჰგავდა ისე ყანწს, როგორც იმ ღამეს. თითქოს გონიერ მასპინძელს ჭირვეული თამადისათვის წაერთმიოს ყანწი და ცაში ესროლოს.

დიდხანს უმზერდა მთვარეს გრიბოედოვი. არა, მთვარე შოთ პურს ჰგავდა, ჭავჭავაძიანთ თონეზე გამომცხვარ შოთ პურს.

მერე მისწვდა მთვარეს გრიბოედოვი ხელით.

— მთვარე მართლაც რომ შოთ პურად აქცია, ყველა მშიერი დაპურდებოდა, — გაიფიქრა მან.

უცებ სუფრა გაშალა გრიბოედოვმა. მთვარე შოთი პურივით დადო სუფრაზე და მასპინძლები დაპატიჟა. მთვარის პური მთვარის ქვა აღმოჩნდა. პური არ პურობდა. ყანწი არ ყანწობდა. ღვინო არ ღვინობდა. მთვარე არ მთვარობდა.

თითქოს ეშმაკს დაეწყევლოს სუფრა.

ღვინო ძმრად ქცეულიყო.

თამადას ენა დაბმოდა.

რას ნიშნავდა ეს ყოველივე, ნეტავი?

სიმწრის ოფლში იწურება გრიბოედოვი. ეს რა მოუვიდა? რა ტკბილი სუფრა გაუშალეს ჭავჭავაძეებმა და თვითონ კი რა დღეში ჩავარდა.... დასტრიალებს სუფრის თავს და არ იცის როგორ აქციოს მთვარე. შოთ პურად, ძმარი — ღვინოდ, დუმილი — სიტყვად, ბოროტება — სიკეთედ?!

აქ თითქოს გამოეღვიძა, მაგრამ არა. სიზმარი გრძელდებოდა ღამის წიაღ და წიაღ...

ახლა თითქმის აპოკალიფსური სიზმარი ესიზმრა: ჯვრის მონასტერზე ჯვარი მოემტვრიათ და არაყჩეევის ჩექმა ეკიდა.

სვეტიცხოველში არსაკიძის მარჯვენა ვიღაცას მოეპარა და შადიმანის მარჯვენის დაკიდებას ლამობდნენ...

კიდევ კარგი, რომ ეს სიზმარი პეტერბურღელს დაესიზმრა. ქართველს გული გაუსკდებოდა ძილშივე.

მერე ესიზმრა გრიბოედოვს ბერიკაობა თელავში.

პავლეს მოჭრილი თავი შაჰ-აბასისა და აღამაჰმად-ხანის თავებთან ერთად გამოებათ ვირის კუდზე და ზედ ბეჯითად აფურთხებდნენ თელაველი ჯეელები...

— ესეც შენი ვირბერიკაო, — ზედ დასძახოდნენ როყიო ხმით.

გამოეღვიძა გრიბოედოვს.

ლამაზად გალობდა ბულბული ყვარლის სანახებში... ისე ლამაზად გალობდა, თითქოს გაჩენის დღიდან სწყუროდა ბულბულს ის სიმღერა და ახლა პირველად მისცემიაო ამის საშუალება.

ისაუზმეს ჭავჭავაძეებთან სტუმრებმა და ისევ თელავის გზას დაადგნენ...

გამოიარეს სოფლები შაქრიანი, ნიკოლაევკა, სანიორე, ლალისყური... იხილეს ავალიშვილის ქალთა სალეგენდო სილამაზე...

გზაში ალვანელ თუშებს გადაეყარნენ.

მერე ალავერდისკენ აიღეს გეზი... როცა შორს გამოჩნდა ალავერდის თეთრი ტაძარი, თვით ვესტმინსტერის პატრონმა, ფლეგმატურმა ლაიელმაც ვერ დაფარა აღტაცება...

ალავერდი ქვაში გაცოცხლებულ თეთრ ოცნებას ჰგავდა...

არა, ალავერდი თეთრ, სალვთო, ცისკენ ყელმოღერილ დიდ ფრინველს ჰგავდა... და გრიბოედოვს შეეშინდა, ცხენების თქარუნზე ის არ დამფრთხალიყო და ცაში არ აფრენილიყო...

— ამ ტაძრის დანახვაზე თათარიც დაიწერს პირჯვარს, — თქვა პოეტმა და ლაიელს გადახედა.

ინგლისელი ლოცულობდა და თანამგზავრის სიტყვები არც გაუგონია.

გრიბოედოვმაც პირჯვარი გადაიწერა სამგზის და „აჩუ, შე სამგლეო", ცხენს შეუძახა ყიჩაად.

უცხო ფრინველი არ დამფრთხალა.

თეთრი ყელმოღერებული გედი—თეთრი ტაძარი მეფურად იდგა ტრიალ მინდორზე და ხიბლავდა ადამიანის თვალსაც და გულსაც... ის ღამე ტაძარში გაათიეს.

ალავერდიდან ისევ თელავს ჩავიდნენ, შემდეგ ცივგომბორი გადმოიარეს და ტფილისს მშვიდობით დაბრუნდნენ.

...გრიბოედოვი იმ ღვთიურ სიზმრებზე ფიქრობდა, რომლებიც ჭავჭავაძიანთ სახლში ნახა, იმ ღვთიურ სიზმრებზე, რომლებიც ცხადს სჯობდა. ოქროს აკვანზე, რომელმაც დუშეთში მოგზაურობა გაახსენა. იმ აკვანში იმედი იწვა... და ინატრა გრიბოედოვმა: ღმერთო, ერთხელ კიდევ დამაბრუნე ყვარელს, ერთხელ კიდევ მაჩვენე ის ღვთიური სიზმრები... მაგრამ გრიბოედოვის ამ ნატვრას ახდომა არ ეწერა... ღმერთი ყრუ იყო...




ეროვნული ბიბლიოთეკა

სანარმოო განყოფილების უფროსი ვახტანგ დოხნაძე — დაჯილდოებული ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ანზორ [illegible]ოგოლაძის ფოტო.

სერგო მამალაძე — დაჯილდოებული II ხარისხის შრომითი დიდების ორდენით.

# ჯილდოები ღირსეულთ

როგორც ჩვენი ჟურნალის მეხუთე ნომერში ვიუწყებოდით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, აგრეთვე ერთ-ერთ მათგანს მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.





მაღალი ბეჭდვის საამქროს უფროსი ვაჟა რამიშვილი — დაჯილდოებული მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

საამწყობო საამქროს ოსტატი დარეჯან რაშოევა — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

საამკინძაო საამქროს მემანქანე მარსელ შარიქაძე — დაჯილდოებული მედლით „შრომითი ნარჩინებისათვის".




# ჩვენი სერგო

ნლების მანძილზე ასე იწყება ყოველი სამუშაო დღე.

ვრცელ და ნათელ საამქროში ჩვეული დინჯი ნაბიჯით შემოდის სამუშაო სპეცტანსაცმელში გამონყობილი სერგო მამალაძე.

შეიყოვნებს. მიდგება-მოდგება. გაისაუბრებს, ხელის აწევით მიესალმება შემხვდურებს, ბეჭებში ნახრილ დამკაბადონებელს რჩევა-დარიგებას მისცემს და თავის სამუშაო მაგიდასთან მივა.

გრძელ და ვიწრო მაგიდაზე საამწყობო საამქროდან ახლად შემოტანილი უამრავი მოგრძო ლითონი აწყვია.

იცით რა არის ეს? სტრიქონები. მოთხრობების, ლექსების, ნარკვევების, რეპორტაჟების, წერილებისა და ინფორმაციების — ლინოტიპზე ჩამოსხმული სტრიქონები.

ახლა ნარკვევის სვეტებშუა ჩანყობილ სასტამბო ხაზებს დასცქერის ოსტატი.

ფიქრობს. ისევ ათასჯერ ზომავს, ნონის, აანალიზებს ყველაფერს და ლამაზი შრიფტით აწყობილ მასალას მოხდენილ სასტამბო ხაზებს უსადაგებს.

ძიება გრძელდება. რედაქციის მუშაკებთან ერთად გაუთავებელი კირკიტი, აწონ-დაწონა და ძიება.

იცვლება კლიშე. არჩევანი ჩერდება ახალ შრიფტზე. ტექსტმა რომ „ისუნთქოს", ზევით იწევს სათაური. ცოდნა, გამოცდილება, მონდომება, საქმის სიყვარული უფრო კოხტად და მოხდენილად კრავს გვერდს.

მაკეტით გათვალისწინებული გვერდების შეკვრა დამთავრდა. დამთავრდა ყოველგვარი ჩასწორება და გასუფთავება. ჯერი მბეჭდავებზე მიდგა.

კუთხეში აწყვია ხელით აწყობილი სათაურები, ნახატებისა და ფოტოსურათების კლიშეები, რედაქციიდან გამოგზავნილი მაკეტი.

მაგიდაზე მიხვავებული ეს ზღვა მასალა სერგო მამალაძემ ახლა მაკეტის მიხედვით უნდა განალაგოს, გვერდებად შეკრას, ოსტატური პოლიგრაფიულ-ტექნიკური გაფორმება მოუძებნოს.

ასეა! თითოეული ჟურნალ-გაზეთი მკითხველის ყურადღებას არა მარტო იდეურ-მაღალმხატვრული დონით, ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და აქტუალობით უნდა იმსახურებდეს, არამედ თავისი მაღალოსტატური ტექნიკური გაფორმებითაც.

დგას სამუშაო მაგიდასთან გამოცდილი დამკაბადონებელი სერგო მამალაძე. მკლავები აუკაპინებია. ბეჭებში ნახრილა და ჩვეული გულისყურით ჩაჰკირკიტებს თითოეულ სტრიქონს.

აი აქ, ამ გვერდში, მეტი სინათლე და სიხალვათე სჭირდება ტექსტს, კლიშემაც ცოტა ქვევით უნდა ჩაინიოს. შრიფტი: იქნებ შრიფტის შეცვლაც ჯობს? რა თქმა უნდა, ჯობს!

გიგრძვნიათ ახლად დაბეჭდილ ჟურნალ-გაზეთებზე სტამბის შეუმშრალი საღებავის სუნი?

რაღაც საამო და თილისმური სუნი აქვს ამ შეუმშრალ საღებავს.

ასეა თუ ისე, გამობრძმედილი პოლიგრაფისტი სერგო მამალაძე, როგორც თვითონ ამბობს — სტამბას ვერასოდეს მოშორდება!

სწორედ სტამბაში თავდადებული შრომით დაიმსახურა სერგო მამალაძემ შრომის წითელი დროშის ორდენი, III და II ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები, ისევე როგორც საერთო პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული.

ამას წინათ სერგო მამალაძე საამწყობო საამქროს უფროსად გადაიყვანეს, საქმემ მოითხოვა და გადაიყვანეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამწყობო საამქრო ახლა რიტმულად მუშაობს. პოლიგრაფისტები ენერგიას არ ზოგავენ, რომ უფრო უკეთ წარმართონ თავიანთი მუშაობა.

შოთა თევდორაძე



# ტყუილად როდი ვქომაგობდით...

**ფეხბურთი**


**ნოდარ გურეშიძე,**
„დროშის" სპეციალური კორესპონდენტი


ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართებოდა, უკვე ადრევე იყო ცნობილი. ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ასოციაცია, უეფა სამივე საფეხბურთო ტურნირის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის გათამაშების დასაწყისშივე ასახელებს ქალაქებს, სადაც ჩატარდება ფინალი. ამით უეფა, რა თქმა უნდა, არა პირდაპირ, მაგრამ რაღაც გუმანით მაინც გულისხმობს იმ ქალაქების თუ არა, იმ ქვეყნების გუნდებს მაინც, რომელთა ფინალში გასვლაც უფრო შესაძლებლად მიაჩნია. ეს თავისთავად განაპირობებს ფინალების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მაყურებელთა დასწრებას, ფინანსურ მხარეს და ა. შ.

მაგრამ, როგორც ეს არაერთხელ თქმულა, ფეხბურთში პროგნოზები საჩოთირო საქმეა. ასე აღმოჩნდა წელსაც. დიუსელდორფის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „ფორტუნა" უკვე მეოთხედფინალში გამოეთიშა გათამაშებას ლისაბონის „ბენფიკასთან" შეხვედრების შედეგად. დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" 13 მაისს, გადამწყვეტ თამაშში, თბილისის „დინამოს" და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის გუნდს „კარლ ცაისს" უნდა გაერკვიათ, თუ ვინ იქნებოდა საპატიო თასის მფლობელი.

ქართველ გულშემატკივართა სამოცკაციანი ჯგუფი 12 მაისს მოსკოვიდან ადრე დილით, „ილ-62"-ით მაინის ფრანკფურტისაკენ გაფრინდა. ჯგუფში სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის ადამიანები იყვნენ, ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებულნი, მისი ერთგული ქომაგნი. ბევრმა მათგანმა ზეპირად იცის არა მარტო თბილისის „დინამოს" ან სხვა საბჭოთა საფეხბურთო გუნდის, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის გამოჩენილი გუნდების რთული და მრავალმხრივი სტატისტიკა, მათი მოთამაშეების სპორტული ცხოვრებისა თუ ყოფის ყოველი წვრილმანი.

იმავე დღეს, მაინის ფრანკფურტისა და რაინიაპირა პატარა და ლამაზი ქალაქების გავლის შემდეგ, საღამოსას დიუსელდორფში ჩავედით და მის განაპირას პატარა სასტუმროებში „ინტერნაციონალსა" და „შუმანში" დავბინავდით.

დიუსელდორფი ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. ქალაქში შვიდასიათასამდე მცხოვრებია. აქ თავმოყრილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბევრი ბანკი და კონცერნი. დიუსელდორფი დიდი კულტურული ცენტრიცაა. აქ არის უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, სახელგანთქმული საოპერო თეატრი. უამრავი ადმინისტრაციული და კანცელარიული დაწესებულებების გამო დიუსელდორფს რაურის ოლქის „საწერ მაგიდასაც" ეძახიან. და რაც ყოველი მწერლისათვის უაღრესად საინტერესოა, დიუსელდორფი სამშობლოა უბრწყინვალესი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინესი.

როცა დიუსელდორფში მივდიოდი, იმედი მქონდა, რომ დავათვალიერებდი ჰაინესთან დაკავშირებულ ადგილებს. სამწუხაროდ, ჩვენი ექსკურსია ქალაქში ამ მხრივ ფრიად ზედაპირული აღმოჩნდა. მოგზაურობის რეგლამენტის გამო ქალაქის დაწვრილებით გაცნობა შეუძლებელი შეიქმნა.

ქალაქში დავეძებთ ფინალური თამაშის რეკლამებს და აფიშებს, ვათვალიერებთ გაზეთებს. თამაშის შესახებ ვერაფერს ვპოულობთ. გაზეთების პირველ გვერდებზე არშიიანი ასოებითაა აწყობილი, რომ მაინის ფრანკფურტში ჩვენი ჩასვლის წინადამით საკუთარ საწოლში მოკლული აღმოაჩინეს ჰესენის მხარის სოფლის მეურნეობის მინისტრი. ამიტომაც იყო ალბათ მაინის ფრანკფურტის აეროპორტში ასე საფუძვლიანად რომ გაგვჩხრიკეს. აეროპორტში სტენდებზე სარეკლამო საქონლის გარდა გამოკრული იყო ძიებაში მყოფი სუბიექტების სურათები.

თვითონ ფინალური მატჩის დღეს მოხდა შემთხვევა, რომლის გამო ლამის ჩაიშალა ტელერეპორტაჟის ტრანსლაცია „რაინშტადიონიდან", თუმცა ტელერეპორტაჟი ევროპისა და მსოფლიოს 42 ქვეყნისათვის იყო გათვალისწინებული.

დაახლოებით, საღამოს ექვსი საათისათვის ცნობილი გახდა, რომ დაჭრეს რომის პაპი, იოანე-პავლე მეორე. ამ ცნობამ მთელი მორწმუნე ევროპა დიდად შეაშფოთა. პაპი მორწმუნეთათვის მიწაზე ღმერთის შემცვლელადაა მიჩნეული და სულ ერთია, მორწმუნე კათოლიკე იყო იგი, პროტესტანტი, თუ მართლმადიდებელი, მისთვის ეს ამბავი თავზარდამცემი აღმოჩნდა. ტელევიზორში გადმოსცემდნენ პაპზე თავდასხმის მთელს მსვლელობას. შემდეგ ყოველ ნახევარ საათში იტყობინებოდნენ პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობას. როგორც შემდგომში დასავლეთ ევროპის გაზეთები წერდნენ, სხვა მიზეზებს გარდა ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „რაინშტადიონს" 13 მაისს მაინცდამაინც ბევრი მაყურებელი არ ჰყავდა — რაც შეეხება მატჩის ტელერეპორტაჟს, ფინანსურმა მოსაზრებებმა, როგორც ჩანს, მაინც თავისი გაიტანა და თბილისელთა ტრიუმფი მსოფლიოს ორმოცზე მეტმა ქვეყანამ ტელეეკრანების საშუალებით ნახა.

ისეთი პრინციპული და გადამწყვეტი მატჩი, როგორიც „დინამოსა" და „კარლ ცაისს" ჰქონდათ, ფაქტიურად არა მხოლოდ ორი გუნდის, არამედ მათი ქომაგების არაოფიციალური შეჯიბრებაცაა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საყვარელი გუნდისათვის მაყურებელთა და ქომაგთა მხარდაჭერას. ყოველივე ეს თბილისიდან ჩასულმა გულშემატკივრებმა კარგად ვიცოდით. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ თვითმფრინავში ყოფნისას დავაგუგუნეთ: „დი-ნა-მო, დი-ნა-მო"! ხოლო დიუსელდორფში ქალაქის მკვიდრნი, რომლებიც არ იყვნენ ინფორმირებული, ან ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული ამ მატჩის შესახებ, გაკვირვებულნი უსმენდნენ და უყურებდნენ ქალაქის ქუჩებში ჩვენს ხმამაღალ შეძახილებს და „დინამოს" ცისფერი ალმების ფრიალს.

დიუსელდორფში ღრუბლიანი დღე იდგა. ქალაქის დასათვალიერებლად ავტობუსში ჩავსხედით და მაღაზიებითა და რეკლამებით სავსე ქუჩებში დავსეირნობდით. დღის სამი საათისათვის შხაპუნა წვიმა წამოვიდა. დაახლოებით ორ საათს წვიმდა. შემდეგ გადაიღო.

თამაშის დროის მოახლოებასთან ერთად მღელვარება გვემატებოდა. სასტუმროში შევბრუნდით, თბილისიდან წაღებული „დინამოს" დროშებით, ალმებით და ტრანსპარანტებით აღვიჭურვეთ, საქართველოს ისტორიული ძეგლების, თბილისის და დინამოს ემბლემიანი სამკერდე ნიშნებით სავსე კოლოფები ჯიბეებში ჩავიწყვეთ და სტადიონზე გასამგზავრებლად გავემზადეთ.

სუვენირების დარიგებას ადრევე შევუდექით. დღისით ქალაქის ქუჩებსა და მაღაზიებში ჩვენით დაინტერესებულ მოქალაქეებს ვუხსნიდით, რომ საქართველოდან ჩამოვედით თბილისის „დინამოს" მხარდასაჭერად, ვურიგებდით სამახსოვრო საჩუქრებს და სტადიონზე ვეპატიჟებოდით.

მგონია, რომ ჩვენმა დაპატიჟებამ ნაწილობრივ მაინც გასჭრა და იმათ შორის, ვინც თამაშის დროს ჩვენებს მხარს უჭერდა და „დინამო", „დინამოს" ყიჟინებდა, ჩვენი მიწვეულებიც იყვნენ.

სასტუმროს წინ, ავტობუსთან, გარდა ჩვენი ჯგუფის წევრებისა, ისრაელიდან, რომიდან, პარიზიდან, ვენიდან, პრაღიდან, ჰაიდელბერგიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული „დინამოს" გულშემატკივრები დაგვხვდნენ. ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ 15-20 ქომაგის შემატებაც საქმედ მივიჩნიეთ. დროშები და სუვენირები მათაც დავურიგეთ და სტადიონისაკენ დავიძარით.

ფეხბურთის დაწყებას დაახლოებით საათნახევარი აკლდა. ცა მოიწმინდა, მზე გამობრწყინდა, დათბა და მშვენიერი სათამაშო ამინდი გამოვიდა.

„რაინშტადიონზე" ააოცრად აღგზნებულები „დინამო", „დინამოს" მძლავრი ძახილით შევედით და ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებზე მოვკალათდით. ეს იყო მეორე იარუსის ცენტრალური სექტორის პირველი რიგები, რაც ჩვენი „დინამოს" სტადიონის მეორე იარუსის მე-9 სექტორის პირველ რიგებს შეესატყვისება (ამ ადგილებზე ბილეთი საკმაოდ ძვირი — 50 მარკა ღირს, რაც დაახლოებით ჩვენს 18 მანეთს უდრის). ცოტა ხნის შემდეგ თბილისიდან ჩასულთ ევროპის სხვა ქალაქებიდან „დინამოს" მხარდასაჭერად ჩამოსული ქომაგებიც შემოგვიერთდნენ, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებიც შემოგვემატნენ და ჩვენმა ჯგუფმა 130-140 კაცს მიაღწია. ეტყობა, სისხლს მაინც თავისი გააქვს და ჩვენს შორის თურქეთში მცხოვრები რამდენიმე ქართველიც გაერია. ისინი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამუშაოს საძებრად ჩასულან და ახლა სტადიონზე თავიანთი ცოლები და პატარა ბავშვებიც მოეყვანათ, რათა ენახვებინათ მათთვის „დიდი მემლექეთის" გუნდი თბილისის „დინამო", გახარებულიყვნენ და ეამაყათ მისით.

თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, როცა სტადიონზე შემოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული „კარლ ცაისის" გულშემატკივართა დიდი ჯგუფი. ჩვენ გაგებული გვქონდა, რომ მათი რიცხვი ათასს აღემატებოდა, მაგრამ ახლა ამდენი ხალხი რომ ერთად შემოსული დავინახეთ, თითქმის ნახევრად ცარიელ სტადიონზე, მაინც შევშინდით, ვაითუ ჩვენზე უფრო ენერგიულად დაუჭირონ მხარი თავიანთ გუნდს და ჩვენი ხმა მათთან შედარებით არაფრად გამოჩნდესო.

მათი შეძახილების პასუხად მაშინვე ავაჭყვიტინეთ სტადიონის შემოსასვლელთან შეძენილი ლორონტოტოები და საყვირები. მათს ყიჟინს ჩვენი ყიჟინი შევაგებეთ.

ასე რომ „დინამოსა" და „კარლ ცაისს" შორის მატჩის დაწყებამდე 20-25 წუთით ადრე დაიწყო თავისებური შეჯიბრი ამ ორი გუნდის ქომაგებს შორის, რომელიც როგორც შემდეგ დასავლეთგერმანული პრესა წერდა, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

აქ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნო ის დიდი დახმარება, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის თხუთმეტამდე წარმომადგენელმა გაგვიწია. ისინი, იმავე დღეს, მოსკოვიდან საარბრიუკენს ჩასულიყვნენ და იქიდან მასპინძელთა თავაზიანი მხარდაჭერით პირდაპირ დიუსელდორფში, „რაინშტადიონზე" მოვიდნენ, თან მედოლე და აკორდეონისტი წამოეყვანათ. დოლისა და აკორდეონის ხმამ ტრიბუნებზე დიდი ხალისი და გამოცოცხლება გამოიწვია. „მცოდნოდა, წამოგიყვანდი მეთარეს, მედუდუკესა" — გამახსენდა გიორგი ლეონიძე.

დინამოელთა ქომაგებს „არსენალში" შემდეგი იარაღი გვქონდა შემონახული: ჯერ უნდა ოთხჯერ დაგვეგუგუნებინა „დინამო-დინამო-დინამო-დინამო!" შემდეგ ორჯერ „ბიჭებო, ბიჭებო, გამარჯვება, ბიჭებო!", ხოლო დროდადრო უნდა გვემღერა. სიმღერის თაობაზე შეძახილების რეპეტიციისას (ამ რეპეტიციებს თვითმფრინავიდან დაწყებული ავტობუსში მთელს გზაზე გავდიოდით) აზრთა სხვაობა წარმოიშვა. ზოგი ერთ სიმღერას გვთავაზობდა, ზოგი მეორეს. სხვისი რა მოგახსენოთ და ჩემთვის, წარმოუდგენელიც კი იყო ფიქრი ყოველგვარ სიმღერაზე. როცა ბურთი ან მოწინააღმდეგე, ან საკუთარი გუნდის კართან ტრიალებს, მაშინ კაცს რა გამღერებს!

მაგრამ დოლმა და აკორდეონმა სასწაული მოახდინა. „პერიო, პერიო, დავამარცხოთ მტერიო", — დაიწყებდნენ ბიჭები დოლისა და აკორდეონის თანხლებით, ამას რიტმული ცეცხლოვანი ტაში ერთვოდა, რომელიმე მოცეკვავე ხელებს არწივივით გაშლიდა და სიმღერის ხმას არა მარტო ჩვენები, მგონი ახლომახლო მჯდომი გერმანელებიც აჰყვებოდნენ ხოლმე.

სიმღერამ და ცეკვამ ტრიბუნაზე მსხდომთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჯერ თითო-თითოდ გვიახლოვდებოდნენ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად. ჩვენც მათი „გადმობირების" ტაქტიკას დავადექით. ვეძახდით, ახლოს, ახლოს მოდითო და დინამოს გულშემატკივართა რაზმს ახალ წევრებს ვუმატებდით.

ამიტომ არ გამკვირვებია, როცა მოსკოვსა და თბილისში მითხრეს, რომ თურმე „კარლ ცაისის" ქომაგთა მხარდაჭერაზე მეტად ტელევიზორში ჩვენი შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფის „დინამო-დინამო" ისმოდა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ ისიც იყო, რომ თუ „კარლ ცაისის" გულშემატკივართა დიდი უმრავლესობა ხანშიშესული ადამიანები იყვნენ, ჩვენი ჯგუფი უფრო ახალგაზრდული იყო და მეტ ტემპერამენტს ამჟღავნებდა.

არ შეიძლება მხურვალე მხარდაჭერისათვის დიდი მადლიერებით არ მოვიხსენიო თბილისის დაძმობილებული ქალაქის საარბრიუკენის დელეგაცია. მათ მოიტანეს ტრანსპარანტი წარწერით „საარბრიუკენი მიესალმება დაძმობილებული ქალაქის თბილისის წარმომადგენლებს". საარბრიუკენელები, რომელთა შორის ჩვენთვის კარგად ცნობილი რეჟისორი ჰერმან ვედეკინდიც იყო, ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენდამი ყურადღების გამოჩენას. ისინი ჩვენსავით გაიძახოდნენ „დინამოს" გამამხნევებელ შეძახილებს, ცხელი გულის გასაგრილებლად მოჰქონდათ ფოლადის ქილაში დაკონსერვებული უგემრიელესი ცივ-ცივი ლუდი.

თამაშის შემდეგ ვედეკინდმა აღტაცებით გვითხრა, ეს მხარდაჭერა კი არა ნამდვილი მომხიბლავი სპექტაკლი იყოო, და თბილისელ ქომაგებს ტაში დაგვიკრა.

იტალიელი მსაჯის რიკარდო ლატანცის საფინალო სასტვენის ხმამ გვაუწყა, რომ შეუმჩნევლად, სწრაფად გაფრინდა თამაშის 90 წუთი. გამარჯვებულები, ბედნიერები ერთმანეთს ვკოცნით და ვეხვევით, ბევრს თვალზე სიხარულის ცრემლი უკიაფებს, რამდენიმე კაცი გულამოსკვნილი ტირის. გვილოცავენ, ერთმანეთს მხრებზე ხელს ურტყამენ და ტირიან ჩვენი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულენი...

უეფას პრეზიდენტმა არტემიო ფრანკიმ ორკესტრის მარშის ხმებში სანუკვარი ჯილდო თბილისელებს საზეიმოდ ჩააბარა.

დინამოელებმა, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ახალმა მფლობელებმა, საპატიო წრე შემოუარეს „რაინშტადიონს", მერე თასით ჩვენი ტრიბუნისაკენ გამოემართნენ და ქომაგობისათვის მხურვალე მადლობა გადაგვიხადეს.

დიდი მოთხოვნილებაა „დინამოს" დროშებსა და ალმებზე, ქართულ სუვენირებზე... დინამოელთა გასახდელი სავსეა ფოტოკორესპონდენტებით, ჟურნალისტებით, ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებით. ჩვენთან მოვიდა და გამარჯვება მოგვილოცა „კარლ ცაისის" რამდენიმე ქომაგმა.

ქართველი გულშემატკივრები გამარჯვების სიმღერას აგუგუნებენ. ვიღაცას გასახდელიდან თასი გამოაქვს და თასით ხელში ვიღებთ სამახსოვრო სურათებს.

... გვიან ღამემდე გავაგრძელეთ სერობა სასტუმრო „შუმანში". ასეთი რამ ჩვენთან არ მომხდარაო, — ამბობს სასტუმროს პატრონი. დიდხანს ისმოდა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი დინამოელების სადღეგრძელოები.

დინამოელები მეორე დღეს სამშობლოში გამოემგზავრნენ, ჩვენ კი — საარბრიუკენში. ვინახულეთ კიოლნი, ორი დღე დავყავით მიუნხენში და იქიდან მოსკოვს გამოვფრინდით.

დასავლეთგერმანელები, რომელთაც ფეხბურთის რეპორტაჟი ტელევიზიით ენახათ, გვილოცავდნენ გამარჯვებას, თან საგანგებოდ აღნიშნავდნენ, ისეთი მხარდაჭერა, რაც თქვენ გუნდს აღმოუჩინეთ, იშვიათად გვინახავსო.

ჩვენც თავი ისე გვეჭირა, თითქოს თასი დინამოელებს კი არა, ჩვენ მოგვეგოს.

დასავლეთ ევროპის პრესამ მაღალი შეფასება მისცა თბილისელთა თამაშს. სპორტული მიმომხილველები და სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ დინამოელთა ტექნიკურ უპირატესობას და [illegible] თასი [illegible] მოიპოვა. „დარასელიამ გამარჯვების [illegible] დასვა", „გაბელიამ, ამ თბილისელმა კაცმა, შანსი არ დაუტოვა [illegible]", [illegible] დინამო გამარჯვებამდე მიიყვანა", „ყიფიანი შეუდარებელი რეჟისორი და ორგანიზატორია", „დინამო ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია", — წერდნენ „კიკერი", „დიველტი", „ფრანკფურტერ ალგემაინე" და სხვა გაზეთები.

მართლაც, დიდი და უაღრესად საპატიო გამარჯვება მოიპოვა „დინამომ". ასეთი გამარჯვებები სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით იწერება. ასეთი გამარჯვებები საამაყოდ გადაეცემა შთამომავლობას.

გამარჯვებული დინამოელები სიყვარულით ჩაიკრა გულში დედასამშობლომ. სსრ კავშირის და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა მათ, ვინც ჭედდა ამ გამარჯვებას, ვინც მონაწილეობა მიიღო გამარჯვების ბატალიებში.

თურმე 13 მაისის ღამეს თბილისს არ სძინებია. და არა მარტო თბილისს, ასევე არ ეძინათ „დინამოს" გულშემატკივრებს, საბჭოთა ფეხბურთის გულშემატკივრებს მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში, ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალ ქალაქსა და სოფელში.

უამრავი მისალოცი წერილი და დეპეშა მოსდით დინამოელებს როგორც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

მაგრამ მათი ყველაზე დიდი საჩუქარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვებია, რომელიც მან წარმოსთქვა 23 მაისს თბილისში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავ დარბაზობაზე, როცა ძვირფასმა სტუმარმა ჩვენი გუნდის წარმატება რესპუბლიკის საერთო მიღწევებს დაუკავშირა: „ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება-ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის, ეს კი ყველამ დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში. არც თბილისის დინამოელებმა გვიმტყუნეს: მოიპოვეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პრიზი. ტყუილად როდი ვქომაგობდით მათ".

ეს უმაღლესი შეფასება უდიდესი სიამაყის გრძნობით ავსებს და ახალი გამარჯვებებისკენ მოუწოდებს არა მარტო გუნდის წევრებს, არამედ ყოველ ჩვენგანს, ყველას, ვისაც საბჭოთა სპორტი უყვარს.

დიუსელდორფი — თბილისი,
1981 წ. მაისი

# რა არ ხდება

## ფრონტელი თანამგზავრი

ქალაქ პოლტავის მკვიდრმა ნ. სასკიმ ამას წინათ კალინინის ოლქში მოინახულა ადგილები, სადაც იგი დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა.

ერთ-ერთ სოფელში ომის ვეტერანმა ასეთი ეპიზოდი გაიხსენა:

— ამ სოფლის განთავისუფლებაში ჩემი ტანკიც იღებდა მონაწილეობას. როცა ფაშისტები გავრეკეთ, დავისვენეთ, ვისაუზმეთ და დასავლეთისკენ მიმავალ გზას დავადექით. შეტევა ისე სწრაფად დავიწყეთ, რომ რომელიღაც სახლში დამრჩა ჩემი ფრონტელი თანამგზავრი — ჯარისკაცული ქვაბუნა.

— აჰა თქვენი ფრონტელი თანამგზავრი! — წამოიძახა ხანშიშესულმა კოლმეურნე ქალმა და გაოცებულ სტუმარს ჯარისკაცული ქვაბი გაუწოდა.

ქვაბის ძირში გარკვევით ჩანდა დანის წვერით ამოფხაჭნილი წარწერა: „სასკი".

## ფუტკრის შხამი

ეს ამბავი ფსკოვის მახლობლად მოხდა.

ქალაქის მკვიდრი ნიკოლოზ მ. გარეუბანში მიაბიჯებდა, როცა სამიოდე წლის გოგონა დაინახა. ბავშვი სირბილით მიუახლოვდა სკას, დაიხარა და ფუტკრების სავალ ჭრილში ჩაყო ხელი.

სკიდან მაშინვე უამრავი ფუტკარი ამოფრინდა. ისინი გოგონას შემოეხვივნენ და უმოწყალოდ დაუწყეს კბენა.

ნიკოლოზი ბავშვთან მიიჭრა, ფუტკრები გარეკ-გამორეკა, პიჯაკი გაიხადა და სასოწარკვეთილ გოგონას გადააფარა.

გაავებული ფუტკრები ახლა ნიკოლოზს დაესიენ და ისე დაკბინეს, რომ იგი საავადმყოფოში გაქანეს.

ექიმებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ ფუტკრის შხამით მოწამლული ადამიანის გადასარჩენად.

## დამნაშავენი არიან... კაჭკაჭები

იმ საღამოს ქალაქის განაპირა უბანში მოულოდნელად ჩაქრა სინათლე. ქარხნებსა და ფაბრიკებში შეჩერდა მუშაობა, შეწყდა ელექტროტრანსპორტის მოძრაობა.

გამოირკვა, რომ კალინინგრადის ერთ-ერთ ქვესადგურში გამოირთო გამაძლიერებელი ტრანსფორმატორი, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებდა ქალაქის განაპირა უბანს.

ამაში დამნაშავე აღმოჩნდნენ... კაჭკაჭები.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ტრანსფორმატორთან თურმე ბუდის გაკეთება დაიწყეს კაჭკაჭებმა. ისინი ეზიდებოდნენ ალუმინის მავთულის ნაგლეჯებს, რომლებსაც ბალახს ახვევდნენ და თიხით ამაგრებდნენ.

ალუმინის მავთულის ერთი ნაგლეჯი შემთხვევით ჩავარდა ტრანსფორმატორში და მოკლე ჩართვა გამოიწვია.

## წერილი ალიასკიდან

თბომავალ „ფსკოვის" რადიოკვანძის უფროსმა მ. უდარცევმა 1979 წელს წყნარ ოკეანეში გადააგდო დალუქული ბოთლი, რომელშიც წერილი იყო ჩადებული.

„ვინც ამ ბოთლს იპოვის, ვთხოვ, მაცნობოს, სად და როდის იპოვა იგი",—წერდა მ. უდარცევი.

წერილში ზუსტად იყო აღნიშნული ოკეანეში ბოთლის გადაგდების თარიღი და მ. უდარცევის ბინის მისამართი.

„ფსკოვის" რადიოკვანძის უფროსი პენსიაზე გავიდა. ამას წინათ მან წერილი მიიღო ალიასკიდან. მეთევზეები წერდნენ, რომ მ. უდარცევის მიერ ოკეანეში გადაგდებული ბოთლი მათ ბადით დაიჭირეს კუკის სრუტეში.

## ტყუპის ცალები

ამას წინათ იაკუტიის სოფელ ბერდიგესტის მცხოვრებლებმა დღეობა გადაუხადეს ტყუპ და-ძმას ტატიანა და ფილიპ ზარავნიავებს, რომლებსაც ოთხმოც-ოთხმოცი წელი შეუსრულდათ.

ფილიპი დღესაც საუკეთესო მონადირეა. იგი ბეწვეულის დამზადებაზე მუშაობს და შორეული ტაიგიდან ცხენით ჩამოვიდა დღეობაზე.

და-ძმას 93 შვილი, შვილიშვილი და შვილთა შვილიშვილი ჰყავთ.

უცხოური ნოველა

მარიო სოლდატი

# მოხერხებული ბიჭუნა

ინგლისში ერთ დროს ცხოვრობდა სახელგანთქმული პოლკოვნიკი სიდნეი. ეს მამაცი, უშიშარი და მხიარული კაცი ყველას უყვარდა, განსაკუთრებით კი პატარა ვაჟიშვილი აღმერთებდა მას.

პოლკოვნიკს პურიტანები სასტიკად სდევნიდნენ და იგი იძულებული გახდა საკუთარ ციხე-კოშკში დამალულიყო.

ერთ დღეს კოშკში პურიტანები მოვიდნენ, ოჯახის უფროსი მოიკითხეს და სახლის ჩხრეკა დაიწყეს.

პოლკოვნიკის ცოლმა მტრები მოატყუა — სიდნეი შინ არ გახლავთ და კარგა ხანია არ მინახავსო.

მათ საუბარს ყური მოჰკრა სიდნეის პატარა ვაჟიშვილმა, რომელიც ერთ-ერთმა პურიტანმა შენიშნა და მეთაურს ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა.

—მართალი ხარ, ახლავე დავკითხოთ! — გაუხარდა მეთაურს.

პურიტანებმა დედა დაითხოვეს და ბავშვი იხმეს. ამაყად და წარბშეუხრელად იდგა პოლკოვნიკ სიდნეის ბიჭუნა, თავი კი მშვიდად ეჭირა, მაგრამ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. განა შეეძლო მის პატარა მხრებს ამხელა ტვირთის ზიდვა? — არც მამა უნდა გაეცა და ტყუილიც არ უნდა ეთქვა.

— ჩემო პატარავ, — დაუყვავა ბიჭს ერთ-ერთმა პურიტანმა, — ხომ იცი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, კარგად დაფიქრდი და სიმართლე მითხარი, როდის ნახე უკანასკნელად მამა?

— უკანასკნელად? — ხმა გაებზარა ბიჭს, — წუხელ!

— წუხელ?! — წამოიძახეს პურიტანებმა.

— დიახ! — უფრო გაბედულად მიუგო ბიჭმა, — და ასე მითხრა: პატივს სცემდე მეფეს, გიყვარდეს სიმართლე და შენი სამშობლოო.

— თუ წუხელ ნახე, გამოდის, რომ შინ ყოფილა! — ჩააცივდა ერთ-ერთი მათგანი.

— დიახ!

— გვიჩვენე, სად იჯდა მამაშენი?

— წამობრძანდით და გიჩვენებთ! ყველა ბიჭს გაჰყვა.

— აი, აქ ვნახე! — თქვა მან და საწოლზე მიუთითა.

— ეს ხომ შენი ოთახია? — მიმოიხედეს გაოცებულმა პურიტანებმა.

— დიახ, ბატონო.

— წუხელ მამაშენი აქ იყო?

— დიახ!

— მერედა სად წავიდა?

— არ ვიცი... მამა რომ მოვიდა, მეძინა, მაშინაც მეძინა, როცა იგი წავიდა.

— ამით რა გინდა თქვა?! — განრისხდა მეთაური.

— მხოლოდ ის, რომ უკანასკნელად მამა სიზმარში ვნახე! — მშვიდად მიუგო ბიჭუნამ.

**იტალიურიდან**
**თარგმნა ნუნუ გელაძემ.**

**გარეკანის პირველ გვერდზე: ბედნიერი ბავშვობა.**
**ანზორ გოგოლაძისა და ჯაბარ ლომაძის ფოტო.**

გადაეცა წარმოებას 5. V. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. VI. 81 წ. უე 08462 ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 55.000, შეკვ. 1321 ფასი 30 კაპ.
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ.პ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография Издательства ЦК КП Грузии,
Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

26 ბაქოელი კომისრის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ოთხფიგურიანი კომპოზიციის გახსნა.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.



# ტყუილად როდი ვქომაგობდით...



გამარჯვებული თბილისის „დინამო“.

დიმიტრი ლოლაძის ფოტო.



ქართველი გულშემატკივრები დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“




გამარჯვება მძიმედ დაიწყო. ტაბლოზეა 1:0 „კარლ ცაისის“ სასარგებლოდ. მაგრამ „დინამო“ უტევს. წუთიც და ბურთი გერმანელთა კარის ბადეში გაეხვევა.







ქართველი ფეხბურთელები გამარჯვებულნი ბრუნდებიან „ბრძოლის ველიდან“.



სიხარული.



მაგრამ იყო მძიმე წუთებიც. ჩასაფიქრებელი ჰქონდა თბილისელთა უფროს მწვრთნელს, ამჟამად საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს.



საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისელთა ბომბარდირი დავით ყიფიანი საპატიო თასით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგობრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056

ანზორ გოგოლაძისა და ჯავარ ლომაძის ფოტო.



ცხენოსნები.